

მურად შონია

ვერბალური კომუნიკაციის
სოციოლოგია

თბილისი

2013

მონოგრაფიაში განხილულია ვერბალური კომუნიკაციის ზოგადსოციოლოგიური საკითხები.

მასში წარმოჩენილია და გარჩეულია ვერბალური კომუნიკაციის კერძოდ ისეთი სოციოლოგიური თემები, როგორებიცაა ვერბალური კომუნიკაცია როგორც ცოდნის განსაკუთრებული სფერო, ადამიანი როგორც ვერბალურ-კომუნიკაციური არსება, ვერბალური კომუნიკაციის სპეციფიკა, მეტყველება და აზროვნება, ენა და სიტყვა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძვლები, ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა, სახეები, ფაქტორები, ტექნოლოგიები.

გარკვეული ყურადღება წიგნში, ვერბალურ კომუნიკაციასთან კავშირში, ეთმობა არავერბალურ კომუნიკაციასაც, ასევე პიარის ხელოვნებასაც.

დაბოლოს, ვერბალური კომუნიკაციის ყველა ეს საკითხი განხილულია ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობის კუთხით.

წიგნი განკუთვნილია ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის, განსაკუთრებით კი, როგორც ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელო, ვერბალური კომუნიკაციის სასწავლო კურსის გამგლეელი სტუდენტებისათვის.

რედაქტორი: პროფესორი ვ. ჭიაურელი

რეცენზენტები: პროფესორი ს. ლომინაძე
პროფესორი რ. ღიბრაძე

ანოტაცია

მონოგრაფიაში განხილულია ვერბალური კომუნიკაციის ზოგადსოციოლოგიური საკითხები.

მასში წარმოჩენილია და გარჩეულია ვერბალური კომუნიკაციის კერძოდ ისეთი სოციოლოგიური თემები, როგორებიცაა ვერბალური კომუნიკაცია როგორც ცოდნის განსაკუთრებული სფერო, ადამიანი როგორც ვერბალურ-კომუნიკაციური არსება, ვერბალური კომუნიკაციის სპეციფიკა, მეტყველება და აზროვნება, ენა და სიტყვა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძვლები, ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა, სახეები, ფაქტორები, ტექნოლოგიები.

გარკვეული ყურადღება წიგნში, ვერბალურ კომუნიკაციასთან კავშირში, ეთმობა არავერბალურ კომუნიკაციასაც, ასევე პიარის ხელოვნებასაც.

დაბოლოს, ვერბალური კომუნიკაციის ყველა ეს საკითხი განხილულია ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობის კუთხით.

წიგნი განკუთვნილია ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის, განსაკუთრებით კი, როგორც ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელო, ვერბალური კომუნიკაციის ასასწავლო კურსის გამვლელი სტუდენტებისათვის.

სარჩევი

წინასიტყვაობა;
შესავალი [ვერბალური კომუნიკაციის
სოციოლოგიის შესახებ];
ვერბალური კომუნიკაცია როგორც მეცნიერება;
ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური არსების შესახებ;
ვერბალური კომუნიკაციის შესახებ;
ვერბალური კომუნიკაცია (ზოგადი);
მეტყელება და აზროვნება;
ენა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძველი;
სიტყვა როგორც ვერბალური კომუნიკაციის
პირველადი საფუძველი;
დამწერლობა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საშუალება;
ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა;
ვერბალური კომუნიკაციის სახეები;
ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორები;
ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობა;
ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციები;
საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR) და
ვერბალური კომუნიკაციები (VC);
ბოლოსიტყვაობა;
ლიტერატურა.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიას ვერბალური კომუნიკაციის სფეროში, რომელიც ერთგვარად ძირეული სფეროა საერთოდ ადამიანის ცხოვრებისა. და, მართლაც, ვერბალური კომუნიკაცია ის უშინაგნესი მომენტია ადამიანის არსებისა, რომლის გარეშე წარმოუდგენელიც კია მისი ცხოვრება.

მაგრამ ერთია ვერბალური კომუნიკაციის სფერო საერთოდ და მეორე - ვერბალური კომუნიკაციის სფერო, სახელდობრ, სოციოლოგიური კუთხით. ერთია ვერბალური კომუნიკაციის კერძომეცნიერული ანალიზი და მეორე - მისი ზოგადმეცნიერული ანალიზი.

გამომდინარე აქედან, ჩვენი მონოგრაფიის მიზანია ვერბალური კომუნიკაციის, სახელდობრ, სოციოლოგიური ანალიზი.

ამდენად ეს ანალიზი უფრო, რა თქმა უნდა, ზოგად ხასიათს ატარებს განსხვავებით იმ გამოკვლევებისაგან, რომლებიც მას უფრო კერძო ასპექტით განიხილავენ. თუმცა არცერთი გამორიცხავს მეორეს, და, პირიქით. ისინი ავსებენ კიდევ ერთმანეთს.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია ამდენად, თუ ასე შეიძლება ითქვას, ერთგვარი ზოგადი საძირკველია (ფუნდამენტია) ვერბალური კომუნიკაციის შესახებ ყოველგვარი კონკრეტული ცოდნისა. ამაშია მისი მნიშვნელობაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს მონოგრაფია ერთგვარ დახმარე სახელმძღვანელოდაც შეიძლება გამოადგეთ ვერბალური კომუნიკაციის სასწავლო კურსის გამვლელ სტუდენტებს. ასე რომ, შესაძლოა მან ითამაშოს “ორგვარი როლიც”: როგორც მონოგრაფიისა საერთოდ, ისე დამხმარე სახელმძღვანელოსაც კერძოდ, შესაბამისად დაინტერესებული მკითხველისა.

დაბოლოს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ვერბალური კომუნიკაცია სოციოლოგიის კუთხით, ე.ი. როგორც სოციოლოგიის კერძო დარგი, რომელიც საგანგებოდ, სპეციალურად შეისწავლის მას ამ კუთხით, უფრო ნაკლებად შესწავლილი სფეროა სოციოლოგიისა. ამიტომაც იმედია, ეს წიგნიც შეიტანს თავის მცირეოდენ წვლილს ვერბალური კომუნიკაციის დღეისათვის ეგრე აქტუალური სფეროს გამოკვლევაში.

შესავალი

[ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის შესახებ]

სოციოლოგიას უამრავი, კერძო დარგი გააჩნია. და ეს განპირობებულია სოციოლოგიური მეცნიერების არნახული განვითარებით. სოციოლოგია ხომ საზოგადოების შესახებ ფუნდამენტური (ძირეული) მეცნიერებაა. ხოლო საზოგადოება სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპებით იცვლება. ყოველივე ამის გამო სოციოლოგიაშიც სულ უფრო და უფრო იკვეთება და ვითარდება ახალ-ახალი დარგები. განსაკუთრებით კი ეს ეხება სოციალური კომუნიკაციის სფეროსა და ამის შესაბამისად მის სოციოლოგიას.

ასე რომ, სოციოლოგიის ამა თუ იმ დარგის წარმოშობა-განვითარებას ზოგადსაზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილება და შესაბამისად მასზე სოციალური დაკვეთა განაპირობებს. და, მითუმეტეს, ეს ეხება სწორედ სოციალური კომუნიკაციის სფეროს და სწორედ თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს “საინფორმაციო კომუნიკაციების” საზოგადოებაც. და, მართლაც, მთელი კაცობრიობა “გაივსო” ათასგვარი კომუნიკაციებით ადამიანთა შორის. განსაკუთრებით კი ამ კომუნიკაციებში უდიდესი წვლილი განეკუთვნება ვერბალურ ანუ სიტყვიერ კომუნიკაციებს ანუ ურთიერთობებს. ამგვარ ურთიერთობებს ამჟამად უზრუნველყოფენ ათასგვარი ტექნიკური საშუალებები. ამასთან სულ უფრო და უფრო “იხვეწება” ვერბალური კომუნიკაციის ე.წ. “ტექნოლოგიები”.

ვერბალურმა კომუნიკაციამ თანამედროვე ტექნიკური პროგრესის წყალობით ერთმანეთს დაუკავშირა დედამიწის ყოველი კუთხე-კუნჭული. ვერბალური კომუნიკაცია სწორედ ამდენად სულ უფრო და უფრო ხდება გლობალური ანუ საყოველთაო. ყოველივე ამან კი არ შეიძლება არ დააყენოს კომუნიკაციისა და მათ შორის ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიაზე მოთხოვნა და დაკვეთა.

კომუნიკაციის [აქ] იგულისხმება “სოციალური კომუნიკაციის” სოციოლოგია სოციოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერძო დარგია მის უამრავ დარგს შორის, ვინაიდან [სოციალური] კომუნიკაცია არსებითად ეს არის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მაფორმირებელი,

ჩამომყალიბებელი ძალა (ფაქტორი). საზოგადოება არსებითად ხომ, მართლაც, [ადამიანთა] საზოგადოებრივი ურთიერთობების მთლიანობაა.

ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს თავად ვერბალურ კომუნიკაციას საერთოდ სოციალური კომუნიკაციის სისტემაში, მაშინ ნათელი უნდა გახდეს, სახელდობრ, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობაც საერთოდ სოციოლოგიური მეცნიერების კერძო დარგთა შორის. მითუმეტეს, რომ ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია, მიუხედავად ვერბალური კომუნიკაციის ჩვენს ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობისა, ნაკლებად დამუშავებულია. თუ არადა, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას ფუნდამენტური (საფუძველმდებელი) მნიშვნელობა ენიჭება ვერბალური კომუნიკატივისტიკის მთელს სისტემაში, ვინაიდან იგი, მართლაც, ზოგადი საფუძველია ვერბალური კომუნიკაციის შესახებ ყოველგვარი კერძო მეცნიერული ცოდნისა. ვერბალურ კომუნიკაციას ხომ, მართლაც, ფილოსოფიის, ამ შემთხვევაში სოციოლოგიის გარდა ხომ სხვა, კერძო მეცნიერებებიც შეისწავლიან, ოღონდ ყველა თავ-თავისი კერძო კუთხით.

აქედან გამომდინარე, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიაც აუცილებელი რგოლია ვერბალური კომუნიკაციის შესახებ სრული, მთლიანი ცოდნისა, ვინაიდან კერძო ცოდნა არ არსებობს ზოგადი ცოდნის გარეშე და, პირიქითაც (თუმცა ეგ სხვა საკითხია).

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია ერთგვარი ფუნდამენტია (საძირკველია, საფუძველია) ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მთელი ცოდნისა.

ასეთია მისი ადგილი და მნიშვნელობა ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მთელი ცოდნის სისტემაში.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას, გამომდინარე იქიდან, რომ იგი, მართლაც, ზოგადფილოსოფიური ცოდნაა ვერბალური კომუნიკაციის შესახებ, ასევე ზოგადმეთოდოლოგიური მნიშვნელობაც აქვს ვერბალური კომუნიკაციის კონკრეტულ-მეცნიერული კვლევისას, ვინაიდან იგი ზოგად ორიენტირებს აძლევს მათ ვერბალური კომუნიკაციის სპეციალური კვლევისას.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თავის მხრივ, კერძო მეცნიერული ცოდნაც ბევრს სძენს ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიასაც თავისი კონკრეტული მასალით. ორივე ერთად კი უკვე აუცილებელი და საკმარისი პირობაა, როგორც ამას ლოგიკოსები იტყვიან

ხოლმე, ვერბალურ კომუნიკაციაზე ჯეროვანი, სრული ცოდნის შესამუშავებლად და შესაქმნელად.

ხოლო იქიდან გამომდინარე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვერბალური კომუნიკაციის თეორიას (ხედვას) ჩვენს ცხოვრებაში პრაქტიკული თვალსაზრისით, მით უფრო ნათელი უნდა გახდეს ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობაც ამ საქმეში.

მართლაც, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიასაც, ისევე როგორც ნებისმიერ თეორიას ხომ თავისი რაღაც პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ცოდნა ცოდნისათვის ხომ არ არის, იგი ხომ ცხოვრებისათვის გვჭირდება. ყოველგვარ თეორიას ხომ პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია.

ასე რომ, უდავო უნდა იყოს ჩვენს შემთხვევაში ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის პრაქტიკული (საქმიანი) დანიშნულებაც.

ხოლო ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის პრაქტიკული, საქმიანი დანიშნულება ისაა, რომ იგი დაგვეხმაროს ვერბალური კომუნიკაციის უკეთ წარმართვაში, მის ჯეროვან განხორციელებაში. ეს ხომ დიდად შეუწყობს ხელს ადამიანთა შორის ურთიერთობებისა და, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებას. სხვა უფრო მაღალი დანიშნულება, აბა, ვერბალურ კომუნიკაციას მეტი, მართლაც, რაღა უნდა ჰქონდეს?

ასე რომ, დიდია ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის პრაქტიკული (და არა მხოლოდ თეორიული) მნიშვნელობა, ვერბალური კომუნიკაციის პრაქტიკაშიაც (და არა მხოლოდ თეორიაში). ხოლო ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა ვერბალური კომუნიკაციის პრაქტიკაში, გამომდინარე სოციოლოგიის ამ კერძო დარგის სპეციფიკიდან, სწორედ ისაა, რომ ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია გვაძლევს ვერბალური კომუნიკაციის სრულყოფილი პრაქტიკისათვის საჭირო ზოგად, საყოველთაო ორიენტირებს.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას, ისევე როგორც სოციოლოგიის ნებისმიერ სხვა კერძო დარგს, თავის მხრივ, საკუთარი ორი – ზოგადი და კერძო მხარეები გააჩნია, ყოველ შემთხვევაში უნდა გააჩნდეს მაინც. მსგავსად იმისა, როგორც ესა გვაქვს სოციოლოგიის შემთხვევაში, როდესაც მას ჩვენ ვყოფთ ზოგად და კერძო სოციოლოგებად, მსგავსადვე ამისა, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიაც, თავის მხრივ, შეიძლება და უნდა დავყოთ კიდევ ვერბალური კომუნიკაციის ზოგად და ვერბალური

კომუნიკაციის კერძო თეორიებად. ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია, მაშასადამე, აერთიანებს ორივე მხარეს.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას ვერბალური კომუნიკაცია აინტერესებს სპეციფიკურად, თავისებურად და ეს სპეციფიკა, ეს თავისებურება გამოიხატება იმით, რომ მას იგი აინტერესებს ადამიანური ურთიერთობების ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების ჭრილში. ე.ი. მას ვერბალური კომუნიკაცია აინტერესებს არა უბრალოდ როგორც ასეთი, არამედ როგორც სწორედ სოციალური კომუნიკაციის ფენომენი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას ვერბალური კომუნიკაცია აინტერესებს ყველგან და ყოველთვის სახელდობრ სოციალურის კონტექსტით.

ასე, მაგალითად, მეტყველება როგორც ვერბალურ-კომუნიკაციური ფენომენი ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას აინტერესებს არა იმდენად, რამდენადაც იგი არის უბრალოდ ლაპარაკისა თუ საუბრის აქტი თუ პროცესი, არამედ საკუთრივ როგორც იმგვარი აქტი თუ პროცესი, რომელშიაც ადამიანები ამყარებენ ენობრივ, ლინგვურ ურთიერთობას.

მოკლედ, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას ვერბალური კომუნიკაცია აინტერესებს როგორც ურთიერთობა საერთოდ და სოციალური ურთიერთობა კერძოდ. ამ კუთხით აინტერესებს მას როგორც ვერბალური კომუნიკაცია საერთოდ, ზოგადად, ისე ნებისმიერი მისი მომენტიც კერძოდ.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას როგორც კომუნიკაციების სოციოლოგიის კერძო დარგს, თუ ასე შეიძლება ითქვას, მთავარი ადგილი უჭირავს საერთოდ კომუნიკაციების სოციოლოგიაში, ვინაიდან თავად ვერბალურ კომუნიკაციას როგორც უძირითადეს სახეს კომუნიკაციისას უმთავრესი ადგილი უჭირავს მასში.

საქმე ისაა, რომ თავად არავერბალური კომუნიკაციაც კი ვერბალურია თავისი “ღრმა” ფესვებით. და, მართლაც, არავერბალური კომუნიკაციაც , ისევე როგორც ვერბალური კომუნიკაცია, განა, მართლაც, რაღაცას არ “გვეუბნება” რაიმეს შესახებ, ოღონდ არა საკუთრივი, არამედ განსხვავებული, ამ შემთხვევაში, “სხეულის ენით”? ოღონდ ენა აქ დაშორებულია თავის “წმინდა სტიქიას”. იგი ერთგვარად “გაუცხოებული”, მხოლოდ და მხოლოდ სხვა სახითა თუ ფორმით გვევლინება. ამიტომაც არავერბალური კომუნიკაცია ტყუილად როდი ასრულებს ვერბალური კომუნიკაციის დამხმარე ფუნქციას.

არავერბალურ კომუნიკაციას ვერბალური კომუნიკაცია ანიჭებს აზრს. ჩვენ ხომ არავერბალურშიაც ვერბალურს ვკითხულობთ. ოღონდ ეს აქ, ამ

შემთხვევაში, “წმინდა” ფორმით კი არ ხორციელდება, როგორც ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში, არამედ “გარეშე” ფორმით. შინაარსი თუმცა ძირითადად მაინც ერთი და იგივე რჩება.

ამრიგად, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია გამომდინარე თავად ვერბალური კომუნიკაციის ადგილიდან საერთოდ სოციალურ კომუნიკაციაში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს საერთოდ სოციალური კომუნიკაციის სოციოლოგიაში.

მაგრამ ჩვენ უფრო მეტის თქმაც შეგვიძლია, კერძოდ, იმისი, რომ ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას მთავარი ადგილი უჭირავს ყველა კერძო სოციოლოგიურ თეორიას შორისაც. და ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ თავად სოციალურ კომუნიკაციას საზოგადოებრივ, სოციალურ სფეროთა შორის უჭირავს ყველაზე მთავარი ადგილი.

ასე რომ, სოციალური კომუნიკაცია, ხოლო მასში კი ვერბალური კომუნიკაცია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ნამდვილად რომ “გადასწვდება” საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, იქნება ეს, მაგალითად, ინდუსტრიის სფერო, თუ აგრარული სფერო, პოლიტიკის სფერო თუ ეკონომიკის სფერო და ა.შ და ა.შ.

აქედან გამომდინარე კი, რა თქმა უნდა, ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე, დავუშვათ, ინდუსტრიის ანდა აგრარულ სოციოლოგიას, ანდა პოლიტიკისა თუ ეკონომიკის სოციოლოგიას.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია უმთავრესი სფეროა სოციოლოგიისა როგორც რაოდენობრივი (მომცველობითი), ისე ხარისხობრივი (თვისობრივი) მახასიათებლებითაც.

ასეთია ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის ადგილი და მნიშვნელობა საერთოდ სოციოლოგიაში. და არა მარტო სოციოლოგიაში, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ ანუ სოციალურ მეცნიერებაშიაც.

ვერბალური კომუნიკაცია როგორც მეცნიერება

ვერბალური კომუნიკაცია ორგვარი ასპექტით შეიძლება განვიხილოთ: ვერბალური კომუნიკაცია როგორც საგანი (ობიექტი) ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მეცნიერებისა და ვერბალური კომუნიკაცია როგორც

თავად მეცნიერება ვერბალური კომუნიკაციის როგორც ამ მეცნიერების საგნისა (ობიექტისა).

ამრიგად, ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ობიექტი (საგანი) ვერბალური კომუნიკაციის მეცნიერებისა და როგორც მეცნიერება (ცოდნის დარგი) მასზედ.

ვერბალური კომუნიკაცია როგორც მეცნიერება საერთოდ სოციოლოგიის ერთ-ერთი კერძო დარგია.

სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების უზოგადეს, საყოველთაო კანონებს, ანუ იმ კანონებს, რომლებიც საერთოა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ტერმინი “სოციოლოგია” მომდინარეობს ორი უცხოური სიტყვისაგან: ერთია ლათინური სიტყვა “სოციო”, რაც “საზოგადოებას” და მეორე კი – ბერძნული სიტყვა “ლოგია”, რაც “მოდღვრებას” ნიშნავს. ასე რომ, ტერმინი “სოციოლოგია” ქართულად “საზოგადოების შესახებ მოძღვრებას” ანუ, მოკლედ, “საზოგადოებათმცოდნეობას”, “საზოგადოებათმეტყველებას” ნიშნავს.

ეს ტერმინი სიტყვათხმარებაში პირველად ფრანგ ფილოსოფოსს ოგიუსტ კონტს (მე-19 ს.) შემოუღია და, სხვათა შორის, სოციოლოგიის როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი მეცნიერების ფუძემდებლადაც ხშირად მას მიიჩნევენ. ამასთან სხვა საკითხია ის, რომ სოციოლოგია როგორც მოძღვრება საზოგადოების შესახებ მანამდეც დიდი ხნით ადრე არსებობდა, ოღონდ იგი ჯერ კიდევ, თუ ასე შეიძლება ითქვას, “გათქვეფილი” იყო საერთოდ ფილოსოფიაში. საქმე ისაა, რომ სოციოლოგია, მართლაც, ფილოსოფიური მეცნიერებაა და ამიტომაც მისი გამოყოფა საზოგადოების შესახებ ცალკეულ საგანგებო (სპეციალურ) ფილოსოფიურ დარგად სწორედ ფილოსოფიის წიაღში მოხდა.

სოციოლოგია როგორც საგანგებო (სპეციალური) მეცნიერება ანუ ცოდნის დარგი საზოგადოების შესახებ მე-19 საუკუნის შუა ხანებში წარმოიშვა. მას შემდეგ კი თავად სოციოლოგიური მეცნიერება უკვე განვითარების შედეგად “დიფერენცირებას”, “დანაწილებას” განიცდიდა და მასში, ბუნებრივია, თანდათანობით გამოიყო უამრავი სოციოლოგიური დარგი.

სოციოლოგიის დარგები თავიანთი ზოგადობის ხარისხით სამ რიგად შეიძლება დავყოთ: პირველია ზოგადი ანუ უნივერსალური სოციოლოგია, მეორე – განსაკუთრებული სოციოლოგია, მესამე – კერძო სოციოლოგია. ამასთან ზოგადი სოციოლოგია ერთადერთია და სხვანაირად არც შეიძლება

იყოს, ხოლო განსაკუთრებული და კერძო სოციოლოგიები – მრავალი, სწორედ იმიტომ, რომ ისინი განსაკუთრებულნი და კერძონი არიან.

ზოგადსა, განსაკუთრებულსა და კერძო სოციოლოგიათა შორის ურთიერთთანაფარდობა ფილოსოფიურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ზოგადი სოციოლოგია არის ერთიანი, საყოველთაო, საერთო სოციოლოგიური მოძღვრება საზოგადოებაზე, კერძო სოციოლოგიანი – მისი ერთეული, ცალკეული სახენი, რომელნიც შეისწავლიან საზოგადოების ამა თუ იმ ცალკეულ, ერთეულ მხარეს, ხოლო განსაკუთრებული სოციოლოგიანი კი - უკვე ერთგვარი “გარდამავალი”, “შუალედური” სოციოლოგიანი ზოგადსა და კერძო სოციოლოგიათა შორის.

ასე რომ, ზოგადი სოციოლოგია ყველაზე უფრო (მაქსიმალურად) ზოგადი სოციოლოგიაა, განსაკუთრებული სოციოლოგია – უფრო ნაკლებად ზოგადი სოციოლოგია, ხოლო კერძო სოციოლოგია კი – ყველაზე ნაკლებად (მინიმალურად) ზოგადი სოციოლოგია. განსაკუთრებული სოციოლოგია ზოგადია კერძო სოციოლოგიასთან შედარებით, მაგრამ კერძოა ზოგად სოციოლოგიასთან შედარებით.

ზოგადი, განსაკუთრებული და კერძო სოციოლოგიების ურთიერთთანაფარდობის სქემიდან, მათი ანალიზიდან გამომდინარე, უფრო ნათელი უნდა გახდეს ვერბალური კომუნიკაციის როგორც სოციოლოგიური მეცნიერების ადგილიც საერთოდ საერთოდ სოციოლოგიურ მეცნიერებათა მთელს ერთობლიობაში.

სოციოლოგია უმრავი განსაკუთრებული თუ კერძო დარგებისაგან შედგება. ასეთია დარგებია, მაგალითად, ერის სოციოლოგია (ეთნოსოციოლოგია), რასის სოციოლოგია, ქალაქის სოციოლოგია, სოფლის სოციოლოგია, ინდუსტრიის სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, კომუნიკაციის სოციოლოგია, გენდერის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ხელოვნების სოციოლოგია და სოციოლოგიის კიდევ სხვა უამრავი დარგი.

თითოეული მათგანი, როგორც ამას თავად სახელწოდებანი მიუთითებენ, შეისწავლიან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ განსაკუთრებული თუ კერძო სფეროს სოციოლოგიურ კანონზომიერებებს. ყოველი მათგანი ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, ისევე როგორც თავად ამ სოციოლოგიათა განსაკუთრებული თუ კერძო ობიექტებია (საგნებია) ურთიერთკავშირში ერთმანეთთან.

ნებისმიერი ამ დარგის ჯეროვანი განვითარებაც ამიტომ შესაძლებელია და საჭიროცაა მათ შორის და ამ უკანასკნელთა კი, საერთოდ, ზოგად

სოციოლოგიასთან ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. ეს კი ერთ-ერთი აუცილებელი მეთოდოლოგიური (მეთოდური თვალსაზრისით) მოთხოვნაა ნებისმიერი სოციოლოგიური დარგისა.

და, მართლაც, ვერც ზოგადი სოციოლოგია იფუნქციონერებს (იმოქმედებს) ჯეროვნად განსაკუთრებული და კერძო სოციოლოგიების მონაცემთა გათვალისწინების გარეშე და ვერც, პირიქით, ვერცერთი განსაკუთრებული და კერძო სოციოლოგია ვერ იფუნქციონირებს ჯეროვნად ვერც ერთმანეთისა და ვერც ზოგადი სოციოლოგიის მონაცემთა გათვალისწინების გარეშე. რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მეტ-ნაკლებად.

ზოგადი, განსაკუთრებული და კერძო სოციოლოგიის ასპექტით ჩვენთვის ამჟერად ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში უაღრესად საინტერესოა სწორედ ვერბალური კომუნიკაციის როგორც სოციოლოგიის მათში ადგილი.

ამასთან დაკავშირებით კი სოციოლოგიის ეს დარგი - სწორედ ვერბალური კომუნიკაცია ანუ ლათინური აბრევიატურით - VC - შემდეგ სახეს მიიღებს.

კერძოდ, არსებობს ვერბალური კომუნიკაციის როგორც ზოგადსოციოლოგიური, ასევე განსაკუთრებულიცა და კერძო სოციოლოგიური თეორიაც.

პირველი სოციოლოგია ანუ ზოგადი სოციოლოგია ვერბალურ კომუნიკაციას შეისწავლის უზოგადესი სოციოლოგიური კუთხით, როგორც ერთ-ერთ სოციალურ სფეროს სხვა ნებისმიერ სოციალურ სფეროსთან ერთად, სხვათა შორის და არა საგანგებოდ, სპეციალურად; მეორე, განსაკუთრებული სოციოლოგია ვერბალური კომუნიკაციას შეისწავლის უფრო ნაკლებად ზოგადად, კერძოდ, საერთო სოციალურ-კომუნიკაციური ასპექტით, ისიც ერთნაირად, სოციალური კომუნიკაციის სხვა საკითხების გვერდით; ხოლო ვერბალური კომუნიკაციის კერძო სოციოლოგია მას შეისწავლის უკვე საგანგებოდ როგორც მისი კვლევის ერთადერთ სოციოლოგიურ საგანს.

ასე რომ, არსებობს ვერბალური კომუნიკაციის ზოგადსოციოლოგიური, განსაკუთრებით სოციოლოგიური და კერძოსოციოლოგიური თეორიები.

ვერბალური კომუნიკაციის ზოგადი სოციოლოგიური მოძღვრება, მაშასადამე, საერთოდ ზოგადი სოციოლოგია გამოდის, მისი განსაკუთრებული სოციოლოგიური მოძღვრება - ე.წ. [სოციალური]

კომუნიკაციის სოციოლოგია, ხოლო მისი კერძო სოციოლოგიური მოძღვრება კი – თავად ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია ამ სქემაში უკვე გამოდის [სოციალური] კომუნიკაციის სოციოლოგიის კერძო დარგი, ხოლო [სოციალური] კომუნიკაციის სოციოლოგია კი - უკვე საერთოდ [ზოგადი] სოციოლოგიის დარგი.

ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს როგორც განსაკუთრებით სოციალურ-კომუნიკაციური სოციოლოგიის მონაცემებს, ასევე საერთოდ ზოგადი სოციოლოგიის მონაცემებსაც. მხოლოდ მაშინ იქნება იგი ვერბალურ კომუნიკაციაზე უფრო სრული ცოდნა.

მაგრამ ვერბალური კომუნიკაციის შესახებ არსებობს არა მხოლოდ სოციოლოგიური, არამედ საერთოდ ფილოსოფიური მოძღვრებაც, რომელიც შეისწავლის მას უკვე ყველაზე ზოგადად საერთოდ – ფილოსოფიური კუთხით და არსებობს აგრეთვე კერძომეცნიერული სამეცნიერო ცოდნანიც ვერბალური კომუნიკაციისა. ეს უკანასკნელი ვერბალური კომუნიკაციას შესწავლიან სწორედ ამა თუ იმ დაინტერესებული კერძო მეცნიერების კუთხით.

ასე, მაგალითად, ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი კერძო მეცნიერული დისციპლინა, როგორცაა ენათმეცნიერება (ლინგვისტიკა), რომელიც შეისწავლის ვერბალურ კომუნიკაციას, ოღონდ თავისი, მისთვის საინტერესო ენათმეცნიერული კუთხით. ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიამ, რა თქმა უნდა, უნდა გაითვალისწინოს ამ მოვლენის შესახებ კერძომეცნიერული მონაცემებიც.

“ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის” ტერმინთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შესაძლოა ვიხმაროთ ტერმინი “ვერბალური კომუნიკაციის [მხოლოდით რიცხვში] სოციოლოგიაც” და ტერმინი “ვერბალური კომუნიკაციების [მრავლობით რიცხვში] სოციოლოგიაც”. ამით არაფერი დაშავდება. ორივე სწორია და ტოლმნიშვნელოვანი თავისი არსებით. ანდა, მოკლედ, შეიძლება მოვიხმაროთ ტერმინებიც “ვერბალური კომუნიკაცია” თუ “ვერბალური კომუნიკაციები”. მთავარია შეთანხმებულები ვიყოთ იმაში, ვერბალური კომუნიკაციის ზოგადმეცნიერულ თუ კერძომეცნიერულ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე.

“ვერბალური კომუნიკაციის” აბრევიატურად ანუ შემოკლებულ სახელწოდებად პირველი ასოებისა თუ ბგერების მიხედვით შეიძლება

ვიხმართ უბრალოდ ტერმინი “vk” (ქართულად) ანდა ტერმინი “VC” (ლათინურად).

ვერბალური კომუნიკაციის თეორიის საგანია კონკრეტულად ვერბალური ანუ სიტყვიერი (და არა სხვაგვარი) კომუნიკაცია (ურთიერთობა), განსაკუთრებით ადამიანთა შორის.

ვერბალური კომუნიკაციის თეორიას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ცხოვრებაში, მითუმეტეს, როდესაც იგი ეხება ადამიანისათვის, მართლაც, ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროს, როგორცაა სწორედ ვერბალურ-სოციალური კომუნიკაცია, ვინაიდან ვერბალური კომუნიკაცია საერთოდ სოციალური კომუნიკაციის უპირატესად მნიშვნელოვანი მხარეა მის არავერბალურ მხარესთან შედარებით, ხოლო სოციალური კომუნიკაცია კი ამ კუთხით – ერთ-ერთი ფუნდამენტური მხარე ადამიანის სოციალური ცხოვრებისა. ადამიანი თავისი არსებით ხომ, მართლაც, სოციალური [ამ შემთხვევაში კი – ვერბალურ-კომუნიკაციური] არსებაა განსხვავებით სხვა ამქვეყნიურ არსებათაგან.

ვერბალურ-კომუნიკაციურ თეორიას (ხედვას) მისი სწორი, ჩვენს ცხოვრებაში ჯეროვანი პრაქტიკული (საქმიანი) განხორციელების შემთხვევაში, მართლაც, დიდი შედეგები ექნება ადამიანთა შორის ურთიერთობების მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაში. ჩვენი საბოლოო მიზანიც ხომ სწორედ კაცთა შორის ურთიერთობათა ჯეროვნად მოგვარებაა და მეტი არაფერი. უმეტესი წილი ამ ურთიერთობათა ჰარმონიზაციაში კი სწორედ ვერბალური კომუნიკაციის დახვეწას განეკუთვნება სწორედ.

ვერბალური კომუნიკაცია როგორც მეცნიერება ორი ასპექტით შეიძლება განვიხილოთ. ერთია ვერბალური კომუნიკაცია როგორც მეცნიერება საერთოდ და მეორე - ვერბალური კომუნიკაცია როგორც მეცნიერება კერძოდ. ე.ი. შეიძლება არსებობდეს როგორც ვერბალური კომუნიკაციის ზოგადი მეცნიერება ანუ თეორია, ისე ვერბალური კომუნიკაციის კერძო მეცნიერება ანუ თეორია.

ვერბალური კომუნიკაციის ზოგადმეცნიერული თეორია ესაა ფილოსოფიური, განსაკუთრებით კი – სოციოლოგიური თეორია, ხოლო ვერბალური კომუნიკაციის კერძომეცნიერული თეორია – ლინგვისტური (ენათმეცნიერული) თეორია. ასე რომ, განსხვავება ამ ორ თეორიას შორის თავსდება განსხვავებაში საერთოდ ფილოსოფიურ, ე.ი.ზოგადმეცნიერულსა და არაფილოსოფიურ, კერძომეცნიერულ თეორიათა შორის.

ანალოგიურად იმისა, რომ არსებობს საერთოდ ორი რიგი მეცნიერებისა, რომელთაგან ერთი ზოგადია, მეორე – კერძო, არსებობს ასევე ვერბალური კომუნიკაციის შესახებაც სახელდობრ ორი განსხვავებული – ზოგადი და კერძო თეორია.

ვერბალური კომუნიკაციის ამ ორ თეორიას შორის კერძოდ ის განსხვავება იქნება, რომ პირველი ვერბალურ კომუნიკაციას შეისწავლის მისი ზოგადი მხარის ასპექტით, ხოლო მეორე – კერძო მხარეთა ასპექტით. პირველი შეისწავლის მის ზოგად, საერთო კანონზომიერებებს, მეორე – კერძო კანონზომიერებებს.

ვერბალური კომუნიკაციის ფილოსოფიური, ჩვენს შემთხვევაში კი სოციოლოგიური თეორია, ერთადერთი მეცნიერება შეიძლება იყოს, მაშინ როდესაც მისი არაფილოსოფიური თეორია – მრავალი, გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადი საერთოდ ერთია, ერთეული კი კერძოდ – მრავალი.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მრავალი კერძო მეცნიერება შეიძლება არსებობდეს. და მას, მართლაც, მრავალი კერძო, ერთეული მეცნიერება შეიძლება სწავლობდეს, ყველა თავ-თავისი კუთხით.

მაგრამ მაინც, სპეციალურად, საგანგებოდ კერძო მეცნიერებათაგან მას მაინც ლინგვისტიკა (ენათმეცნიერება) შეისწავლის. ამიტომაც იგი – ვერბალური კომუნიკაციის თეორია კერძო მეცნიერული ასპექტით უფრო ლინგვისტური თეორიაა.

ვერბალური კომუნიკაციის ფილოსოფიური თეორია, თავის მხრივ, შეიძლება ორად დაგვით – ერთია ვერბალური კომუნიკაციის ზოგადფილოსოფიური და მეორე – ვერბალური კომუნიკაციის კერძოფილოსოფიური თეორია.

პირველს შეიძლება საერთოდ ვუწოდოთ “ვერბალური კომუნიკაციის ფილოსოფია”, რომელიც მას შეისწავლის ზოგადფილოსოფიური კუთხით, ანუ უზოგადესი კუთხით, მაშინ როდესაც ვერბალური კომუნიკაციის კერძო ფილოსოფიურ თეორიას ჩვენთვის საინტერესო კუთხით – “ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგია”. სახელწოდებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი იქნებოდა ვერბალური კომუნიკაციის კერძო თეორია, სახელდობრ, სოციოლოგიური კუთხით.

ასე რომ, “ვერბალური კომუნიკაციის ფილოსოფიასა” და “ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიას” შორის განსხვავება ამ შემთხვევაში ისეთივე იქნებოდა, როგორც საერთოდ ფილოსოფიასა და სოციოლოგიას შორის. პირველი უზოგადესი ფილოსოფიური თეორიაა, მეორე – ნაკლებად ზოგადი, კერძოდ, სოციალური (საზოგადოებრივი) ასპექტით.

ვერბალური კომუნიკაციის მეცნიერებას ანუ თეორიას, ისევე როგორც ნებისმიერ ცოდნას, თავისი სახელი უნდა ერქვას და ამასთან დაკავშირებით ერთადერთი სწორი სახელწოდება გვგონია “ვერბალური კომუნიკატივისტიკა”, ანდა, ყველაზე მოკლედ - “ვერბალოკომუნიკატივისტიკა”.

საქმე ისაა, რომ ტერმინი “კომუნიკატივისტიკა” უკვე დამკვიდრებულია ლიტერატურაში როგორც აღმნიშვნელი “კომუნიკაციის შესახებ მეცნიერებისა” თუ “კომუნიკაციის შესახებ თეორიისა” ანუ, მოკლედ, “კომუნიკაციის მეცნიერებისა” თუ “კომუნიკაციის თეორიისა”.

ხოლო, აქედან გამომდინარე, “ვერბალური კომუნიკაციის მეცნიერებისა” თუ “ვერბალური კომუნიკაციის თეორიისათვის” ლოგიკური სახელწოდება სწორედ “ვერბალური კომუნიკატივისტიკა” იქნებოდა, ანდა, ძალზედ მოკლედ, – “ვერბალოკომუნიკატივისტიკა” (მსგავსად ამისა შეიძლება საერთოდ “სოციალური კომუნიკაციის თეორიისა თუ მეცნიერებასაც” სახელად დაერქვას “სოციალური კომუნიკატივისტიკა” ანდა, მოკლედ, - “სოციოკომუნიკატივისტიკა”).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ “კომუნიკაციის შესახებ მეცნიერების” აღსანიშნავად “კომუნიკატივისტიკის” გარდა მოიხმარება ასევე ტერმინიც “კომუნიკოლოგია”.

ასე რომ, “სოციალური კომუნიკაციის შესახებ მეცნიერებას” მაშინ შეიძლება დავარქვათ “სოციალური კომუნიკოლოგია”, ხოლო “ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მეცნიერებას” - შესაბამისად “ვერბალური კომუნიკოლოგია”.

უფრო მოკლედ, ამ ორი უკანასკნელისათვის შეიძლება ვიხმაროთ ისეთი ტერმინებიც, როგორებიცაა: “სოციოკომუნიკოლოგიაცა” და “ვერბალოკომუნიკოლოგიაც”, მსგავსად წინა ორი ტერმინისა – “სოციოლოკომუნიკატივისტიკა” და “ვერბალოკომუნიკატივისტიკა”.

თუმცა იმის გამო, რომ ეს ბოლო ოთხი ტერმინი მაინც რთული სიტყვათშენაერთებია (კომპოზიტებია), ჩვენ მათ მაინც ვამჯობინებთ შესაბამისად ტერმინებს: “სოციალური კომუნიკატივისტიკა”, “ვერბალური კომუნიკატივისტიკა”, “სოციალური კომუნიკოლოგია”, “ვერბალური კომუნიკოლოგია”.

საბოლოოდ კი ჩვენ მაინც ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მეცნიერების ცნების აღსანიშნავად ვხმარობთ ტერმინს “ვერბალური კომუნიკატივისტიკა”.

გამომდინარე მეცნიერებათა იმ სახელწოდებათაგან, რომლებიც ჩვენ აქ გავარჩიეთ, შესაბამისად გვექნება იმ მეცნიერთა აღმნიშვნელი ტერმინებიც, რომლებიც შეისწავლიან ამ მეცნიერებათა საგნებს. და ეს ტერმინები იქნება: “კომუნიკატივისტი” თუ “კომუნიკოლოგი”; “სოციოკომუნიკატივისტი” თუ “სოციოკომუნიკოლოგი”; “ვერბალოკომუნიკატივისტი” თუ “ვერბალოკომუნიკოლოგი”.

ხოლო გამომდინარე იქიდანაც, რომ ეს ბოლო ოთხი ტერმინი რთული სიტყვათშენაერთებია, ჩვენ უფრო მაინც ვამჯობინებთ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: “სოციალური კომუნიკატივისტი” თუ “სოციალური კომუნიკოლოგი”; “ვერბალური კომუნიკატივისტი” თუ “ვერბალური კომუნიკოლოგი”.

ბოლო ორი ტერმინიდან კი ჩვენ საბოლოოდ მაინც ვამჯობინებთ ისეთ ტერმინს, როგორიცაა: “სოციალური კომუნიკატივისტი”.

ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური არსების შესახებ

ადამიანი ურთულესი არსებაა ყველა არსებას შორის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სწორედ იგი იკრებს თავისთავში ყოველივე არსის ელემენტებს. ადამიანი ხომ მიკროკოსმოსია, ანუ მცირე სოფელი.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უამრავი განსაზღვრება არსებობს იმისდა მიხედვით, თუ რა ასპექტით ხდება მისი განხილვა ამა თუ იმ შემთხვევაში. და, მართლაც, ფილოსოფიურ აზროვნებაში ადამიანის არსების სრულიად სხვადასხვაგვარი წარმოდგენაა გაბატონებული.

ადამიანის შესახებ ფილოსოფიის ისტორიაში გამოთქმული განსაზღვრებანი, კერძოდ, ასეთია: ადამიანი გონიერი კაცია (ჰომო საპიენს); ადამიანი მაშენებელი კაცია (ჰომო ფაბერ); ადამიანი მორალური კაცია (ჰომო მორალის); ადამიანი პოლიტიკური კაცია (ჰომო პოლიტიკუს); ადამიანი ეკონომიკური კაცია (ჰომო ეკონომიკუს); ადამიანი რელიგიური კაცია (ჰომო რელიგიოზუს); ადამიანი მოთამაშე კაცია (ჰომო ლუდენს); ადამიანი სიმბოლიკური კაცია (ჰომო სიმბოლიკუს); ადამიანი მეტყველი კაცია (ჰომო ლოგუენს); და ა.შ.

ყველა ეს და ამგვარი განმარტება ადამიანისა H“ჰომო საპიენსის”, ანუ “გონიერი კაცის” სახეობათა ე.წ. “ალტერნატიული” სახელწოდებანია [8,1; 3,2] და ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთ თავში აირეკლავენ ადამიანის, როგორც გონიერი კაცის ამა თუ იმ მხარეს, მის ბუნებასა და არსებას.

ადამიანის ბუნება გულისხმობს მის სპეციფიკურ მხარეს, ხოლო ადამიანის არსება – ამ ბუნების ძირეულ მხარეს. ზოგი მათგანი ამ მხრივ მეტ-ნაკლებად ფართოდ ან ღრმად არეკლავს ადამიანის ბუნებას მთლიანად და მის არსებას კერძოდ.

უფრო ზუსტად, ყველა ამგვარი განმარტება ეხება ადამიანის სწორედ არსებას, მის ამ ძირეულ მხარეს. ყველა ამ განსაზღვრებაში, რა თქმა უნდა, არის დაჭერილი არსებითი მომენტები ადამიანის ცნებისა.

მაგრამ არც ერთი მათგანი არ ამოწურავს ადამიანის არსებას, ვინაიდან ყოველი ეს განსაზღვრება, თუმცა კი მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც არეკლავს მის მხოლოდ ამა თუ იმ მხარეს. ადამიანი კი უფრო სრული არსებაა თავისი მოცულობით.

ადამიანი ეს თავად მიკროკოსმოსი, ანუ მცირე სოფელია. და, მართლაც, იგი, კერძოდ, მოიცავს ღვთაებრივსაც, ანგელოსურსაც, საკუთრივ ადამიანურსაც, ცხოველურსაც, მცენარეულსაც, მინერალურსაც. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ადამიანის არსების მთელს სირთულეს.

მაშასადამე, ადამიანი უკვე თავისი არსებით ურთულესი არსებაა და, რა თქმა უნდა, მისი არსებაც მრავალგანსაზღვრებადია.

ოღონდ სხვა საკითხია ის, თუ კერძოდ რომელი კუთხით იქნებოდა მისი განსაზღვრება უფრო მნიშვნელოვანი. ამ მხრივ კი არცერთი სხვა კერძო ასპექტით ადამიანის არსების განსაზღვრება იმდენად მნიშვნელოვანი არაა, როგორც მისი სწორედ ვერბალურ-კომუნიკაციური კუთხით დეფინიცია. და, მართლაც, ადამიანი არანაკლებ ვერბალურ-კომუნიკაციური არსებაა, ვიდრე ნებისმიერი სხვა კუთხით არსება. ადამიანის სპეციფიკა არანაკლებ მისი ამ კუთხით გამოვლინდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა კუთხით.

უფრო მეტიც, ეს ასპექტი ადამიანის არსებისა უფრო ფართო და უფრო ღრმაა მის სხვა ასპექტებთან შედარებით, ვინაიდან ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური ასპექტი მოიცავს ყველა ზემოაღნიშნულ ასპექტს, მაგრამ არა პირუკუ. ასე, მაგალითად, ადამიანის პოლიტიკური თუ ეკონომიკური და ა.შ. ასპექტი არ მოიცავს სხვა ცალკეულ ასპექტებს. ყველა ეს ასპექტი კი გულისხმობს ვერბალურ-კომუნიკაციურ ასპექტს.

ასე რომ, ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური ასპექტი ჩვენ ზოგადადამიანურ ასპექტად მიგვაჩნია, ხოლო სხვა ზემოთ აღნიშნული ასპექტები - მის კერძოადამიანურ ასპექტებად.

ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური არსების განსაზღვრება ლოგიკურია ორად გავყოთ და ჯერ მის კომუნიკაციურ ბუნებას შევეხოთ, შემდეგ კი უკვე – მის სწორედ ვერბალურ კუთხეს.

კომუნიკაციას უამრავი მნიშვნელობა აქვს [5,44]. უფართოესი გაგებით იგი საერთოდ კავშირს ნიშნავს. მაგრამ კომუნიკაციაც არის და კომუნიკაციაც. კომუნიკაცია შეიძლება იყოს ობიექტთა შორის კომუნიკაცია, ობიექტსა და სუბიექტს შორის კომუნიკაცია და სუბიექტთა შორის კომუნიკაცია. გარდა ამისა, არსებობს სოციალური კომუნიკაციაც და არასოციალური კომუნიკაციაც. პირველი გულისხმობს საზოგადოებაში მიმდინარე კომუნიკაციას, მეორე კი – მის გარეთ მიმდინარე კომუნიკაციას.

სოციალური კომუნიკაცია ადამიანური ცხოვრების, საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი მომენტია, ვინაიდან საზოგადოება ხომ თავად ადამიანთა შორის ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთობაა. ასეთია, მართლაც, საზოგადოების ცნების განსაზღვრება.

ასე რომ, სოციალური კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთობას გულისხმობს. ხოლო ამ ურთიერთობას უფრო მნიშვნელობა აქვს არა იმდენად საზოგადოებისათვის, რამდენადაც თავად ადამიანისათვის, ვინაიდან სწორედ ადამიანია საზოგადოების სუბიექტი. უფრო მეტიც, თავად საზოგადოება ადამიანის განვრცობაა. როგორცაა ადამიანი, ისეთივეა საზოგადოება (და პირიქითაც). თუ ადამიანი უკვე თავისი ამოსავალი ბუნებით არ იქნებოდა კომუნიკაციური არსება, მაშინ ამ ადამიანთა ერთობლიობაც კომუნიკაციური ბუნებისა ვერ იქნებოდა.

თავად ადამიანია უკვე, თუ ასე შეიძლება ითქვას, მცირე საზოგადოება, ანუ მიკროსოციუმი, ისევე როგორც საზოგადოება – დიდი ადამიანი, ანუ მაკროანთროპი.

უფრო მეტიც, თავად ადამიანია დიდი საზოგადოება, ანუ მიკროსოციუმი, ხოლო საზოგადოება – მცირე ადამიანი, ანუ მიკროანთროპი. სწორედ ადამიანია საზოგადოების “საშენი აგური”, რომელი “აგურიც” თითოეული მეტ-ნაკლებად აირეკლავს ყველა სხვა მათგანის ძირეულ ნიშან-თვისებებს, მიუხედავად მათ შორის ასევე ინდივიდუალური სხვაობისა.

და რომ ეს ასეა, ამას ხაზგასმით აღნიშნავს კარლ მარქსიც თავისი ცნობილი თეზისით: “...ადამიანის არსება როდია აბსტრაქტი, რაც დამახასიათებელია ცალკეული ინდივიდისათვის. თავის სინამდვილეში იგი ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა” [4,3].

მარქსის ეს დებულება არის ამოსავალი ადამიანის შესახებ მოძღვრებისა, ვინაიდან იგი ზედმიწევნით სწვდება ადამიანის არსებას. ადამიანის არსება მისი ბუნების სწორედ ხომ უმთავრესი, უძირითადესი და ამდენად, უმნიშვნელოვანესი მხარეა.

კომუნიკაციას იმდენად დიდი “აღმშენებლობითი” მისია ეკისრება ადამიანთა ცხოვრებაში, რომ მის გარეშე ერთი წუთითაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა მისი არა მხოლოდ განვითარება, არამედ არსებობაც.

ადამიანს ადამიანის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ეს არის მისი ცხოვრების წესი. სოციალური კომუნიკაცია ადამიანური ცხოვრების წესი, მისი ატრიბუტია. სწორედ ამიტომაც ნათქვამი “კაცი კაცითაო”, უფრო მეტიც, - “კაცი კაცის წამალიაო”.

რაც უფრო ღრმად კაცთა შორის ურთიერთობანი და რაც უფრო ფართოა იგი, მით უფრო ღრმად და მით უფრო ფართე თავად საზოგადოების პროგრესიც. და განა, მართლაც, მთელი საზოგადოების ისტორიაც ამას არ ამტკიცებს? იქ, სადაც მოშლილია ეს ურთიერთობანი, სადაც “ზიდია ჩატეხილი” კაცთა შორის, იქ რაღა სარგებლობა გვექნება მისგან?

ასე რომ, სოციალური კომუნიკაციის ყოველმხრივი, რაოდენობრივი და რაგვარობრივი განვითარება საზოგადოების პროგრესის მძლავრი ფაქტორია. დიახ, ამ პროგრესის კრიტერიუმიც თავად ადამიანია. მთავარი ხომ ადამიანია, ყოველი დანარჩენი კი – მხოლოდ საშუალება მისთვის.

ყოველგვარი კომუნიკაციის თავიდა და ბოლოც ადამიანი უნდა იყოს. საუკეთესო კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთობაა და არა სხვა რამეთა შორის, კიდევ უფრო საუკეთესო კი – მაქსიმალურად ჰუმანური კომუნიკაცია. ყოველგვარი კომუნიკაციის თვითმიზანი ადამიანი უნდა იყოს. ყოველი კომუნიკაციის უმთავრესი სუბიექტაცა და ობიექტაც – ორივე ერთად – სწორედ ადამიანი უნდა იყოს. ამაზე უნდა აშენდეს ყოველგვარი სოციალური პოლიტიკა, ამაზე უნდა აშენდეს ჭეშმარიტი საზოგადოება.

ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ამ მხრივ საზოგადოების პროგრესულობისათვის ენიჭება ადამიანის მომენტს კომუნიკაციის სფეროში, განსაკუთრებით კი სოციალური კომუნიკაციის სფეროში, კარგად აქვს გამოთქმული ანტუან დე სენტ-ეგზიუპერს შემდეგი სიტყვებით: “ყველაზე დიდი ფუფუნება ქვეყანაზე ეს არის ადამიანთა ურთიერთობის ფუფუნება” [6,1], ე.ი. ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო ძვირფასი არაფერიაო.

ამიტომაც სწორი იქნებოდა ისიც, რასაც ამასთან დაკავშირებით ერთი ავტორი აღნიშნავს: “ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის უნარი ეს არის თანამედროვე ცხოვრების ნებისმიერ სფეროში წარმატების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორი” [6,1].

და სწორედ ამას ემსახურება საგანგებოდ ამისათვის, ე.ი. ეფექტური კომუნიკაციისათვის მოგონილი მეცნიერება თუ ხელობა, როგორცაა ე.წ. “პიარი”. ეს პიარიც სინამდვილეში ხომ სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა შორის კომუნიკაციის მართვა. ასეა იგი, კერძოდ, დეფინირებული მეცნიერებაშიაც [2, 151].

ასეთია კომუნიკაციის განმსაზღვრელი როლი ადამიანის ცხოვრებაში, რის გამოც ჩვენ სრული უფლებით, მსგავსად ადამიანის არსების პარალელურ დახასიათებათა, შეგვიძლია ადამიანი განვსაზღვროთ აგრეთვე როგორც “ჰომო კომმუნის” ანუ “მოურთიერთობე კაცი” (“Человек общающийся”) ანდა, რაც იგივეა, - “ჰომო სოციალის” (“საზოგადოებრივი ადამიანი”, “Общественный человек”). ადამიანი ხომ, მართლაც, სოციალურ ურთიერთობაში მყოფი არსებაა?

მაგრამ ადამიანის, როგორც სოციალურ-კომუნიკაციური არსების განსაზღვრება მისი მაინც უფრო ზოგადი, აბსტრაქტული განმარტებაა, ამიტომ საჭიროა ადამიანის არსების უფრო ღრმა ანალიზი. ამისათვის კი საჭიროა აღვნიშნოთ ადამიანის სოციალურ-კომუნიკაციური არსების ის კონკრეტული სპეციფიკა, რაც ამ შემთხვევაში ღებულობს სწორედ ვერბალურ-კომუნიკაციურ ხასიათს.

ადამიანის სოციალურ-კომუნიკაციურობის არსებითი სპეციფიკა მისი სწორედ ვერბალურობაა, რის გამოც ადამიანი, პარალელურ დახასიათებათა გვერდით, შეიძლება განვსაზღვროთ აგრეთვე როგორც “ჰომო ვერბალის” (“სიტყვიერი კაცი”), ანუ “ჰომო ლოგუენს” (“მოსაუბრე კაცი”).

ადამიანს, მართლაც, ერთადერთს ამ ქვეყანაზე გააჩნია ენა, როგორც დანაწევრებული მეტყველება, იგი ერთადერთი ფლობს სიტყვას ურთიერთობისათვის. ეს მისი უნიკალური თვისებაა და თანაც იმდენად დიდმნიშვნელოვანი, რომ მარტინ ჰაიდეგერი მას უწოდებს თვით “ყოფიერების სახლს” [1,532]. და მართლაც, არაფერია ისეთი ბუნებრივი, ახლობელი, საკუთრივი, მშობლიური ადამიანისათვის, ვიდრე ეს სწორედ მისი ენაა.

ადამიანი ენოვანი, მეტყველი არსებაა უკვე თავისი ბუნებით და იგი წარმოუდგენელია მის გარეშე. ამ მხრივ უმეტყველო ადამიანი არც კი არსებობს. მუნჯიც კი შინაგნად, მაგრამ მაინც მეტყველებს. მეტყველება მხოლოდ გარეგანი როდია. ამასთან განმსაზღვრელი, ძირეული მხოლოდ შინაგანი მეტყველებაა და არა გარეგანი.

მეტყველების უარყოფა საერთოდ შინაგანი წინააღმდეგობა და ამდენად უაზრობა, ანუ აბსურდია. მართლაც, თუ მე იმას ვიტყვი (არა აქვს

მნიშვნელობა, შინაგნად თუ გარეგნად), რომ მე არ ვმეტყველებ, მე ხომ ამ შემთხვევაშიაც ვმეტყველებ და თუ ვმეტყველებ ხომ, მითუმეტეს, ვმეტყველებ და ვმეტყველებ.

ამასთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს მარტინ ჰაიდეგერი: “კაცი ლაპარაკობს... ჩვენ მუდმივად ვლაპარაკობთ... კაცს ენა ბუნებიდანვე თან დაჰყვება. არსებობს სწავლება, რომ... ადამიანი მოლაპარაკე არსებაა... არის მტკიცება იმისა, რომ მხოლოდ ენა ჰხდის კაცს იმგვარ არსებად, როგორცაა ადამიანი” [9,3].

ენას ის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში, რომ სწორედ იგი ქმნის მისი სოციალურ-კომუნიკაციური არსების ძირეულ საფუძველს. ადამიანი ეს უბრალოდ სოციალურ-კომუნიკაციური არსება როდია, არამედ სწორედ ვერბალურ-სოციალურ-კომუნიკაციური არსება. მართლაც, იგი ვერც იქნებოდა სოციალურ-კომუნიკაციური არსება, რომ არ ყოფილიყო ენოვანი არსება, სიტყვიერი არსება, ვინაიდან სოციალური კომუნიკაციის მთელი არსება სწორედ მისი ვერბალურობაა. სოციალურ-კომუნიკაციური ამ შემთხვევაში იგივე ვერბალურის სახეს იძენს.

ასე რომ, ვერბალური ეგ უკვე გულისხმობს სოციალურ-კომუნიკაციურს. განა, მართლაც, ენის ძირითადი და ამდენად უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მისი სწორედ კომუნიკაციურობის ფუნქცია არ არის? და განა ყველა მისი სხვა ფუნქცია ამ ძირითადი ფუნქციით არ არის განსაზღვრული და ამდენად აზრმინიჭებული? ყველა სხვა ფუნქცია ამ ფუნქციას ემსახურება. ეს არის აქ მთავარი. ყველა დანარჩენი მხოლოდ მომენტი თუა ამ პირველი ფუნქციისა.

ამასთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს ერთი ავტორი: “თავად შესაძლებლობა სოციალური ცხოვრებისა უკვე ვლინდება ენობრივ უნივერსალებში, ურთიერთქმედებაში ელემენტებისა საუბრის, ენის შიგნით” [7,71].

გამომდინარე იქიდან, თუ რა ადგილი უჭირავს სინამდვილეში ვერბალურობას ადამიანის ცხოვრებაში, ნათელი უნდა იყოს ის უდიდესი მნიშვნელობაც, რაც ენას, სიტყვას ენიჭება ჩვენს ცხოვრებაში. და მართლაც, სიტყვა, ენა არის აზროვნების საფუძველი, ამიტომ homo sapiens (გონიერი, სხვაგვარად, მოაზროვნე ადამიანი) განუყოფელია homo verbalis (სიტყვიერი ადამიანის) ანუ ჰომო ლოგუენსისაგან (მოსაუბრე, მეტყველი, მოლაპარაკე ადამიანისაგან).

ეს ორი რამ ერთი მთლიანი ადამიანის ორი, თუ ასე შეიძლება ითქვას, მხოლოდ ორი ორგანული მომენტია, ხოლო ადამიანი, როგორც მოაზროვნე

არსება მისი ვერბალური არსების სახით ქმნის სწორედ იმ საოცარ კულტურას, რასაც მთელი საკაცობრიო კულტურა წარმოადგენს.

სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ურთიერთობაში და მას ამ მხრივ შეუძლია აშენოს კიდევ ეს ურთიერთობანი და ანგრიოს კიდევ იგი; მას შეუძლია დალოცვაც და მას შეუძლია დაწყევლაც. სიტყვას ამ მხრივ კონსტრუქციული თუ დესტრუქციული ძალა გააჩნია, რაც ექსპერიმენტულადაც კია დამტკიცებული, წყლის მაგალითზეც კი. ყოველივე ამის გამო საჭიროა ადამიანთა შორის ურთიერთობაში სიტყვის სწორად გამოყენება, რათა ამით საუკეთესო შედეგს მივაღწიოთ.

თანამედროვე საზოგადოება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ე.წ. “საინფორმაციო საზოგადოება” ხდება. და, აი, აქ სწორედ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო სიტყვის სწორ წარმართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში საინფორმაციო საზოგადოებაც იმთავითვე არასწორი მიმართულებით განვითარდება, რაც უდიდეს კატაკლიზმებს გამოიწვევს მასში. ეს უარყოფითი ტენდენციები უკვე შეინიშნება ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ მისი თავიდან აცილება არსებითად მაინც შეიძლება სწორი საინფორმაციო პოლიტიკის წყალობით. ყველაფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ადამიანის მომავალი დიდად, ძალიან დიდადაა დამოკიდებული “სიტყვის პოლიტიკაზე”, “ვერბალურ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიაზე”, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სწორი “ვერბალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიაც” აგრეთვე იხსნის კაცობრიობას შესაძლო დაღუპვისაგან, იგივე აგრეთვე შექმნის კაცობრიობის მომავალი კეთილდღეობის უცილობელ პირობასაც, რაც სწორედ ჩვენი ცხოვრების კეთილშობილი მიზანია.

ვერბალური კომუნიკაციის შესახებ

ვერბალური კომუნიკაციის საკითხი თანამედროვეობის აქტუალური საკითხია.

ეს გამოწვეულია იმით, რომ თავად კომუნიკაციამ და მათ შორის ვერბალურმა კომუნიკაციამაც ამ ბოლო ხანებში განიცადა დიდი რაოდენობრივი და რაგვარობრივი ცვლილებანი.

ეს ცვლილებანი სულ უფრო გამოიკვეთა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული საინფორმაციო-კომუნიკაციური “აფეთქების” სახით, რასაც მოჰყვა ე.წ. “საინფორმაციო საზოგადოებისა” და, აქედან გამომდინარე, “მასობრივი კომუნიკაციის საზოგადოების” ჩამოყალიბება.

ყოველივე ამან, ბუნებრივია, მკვეთრად გაზარდა კომუნიკაციისა და განსაკუთრებით ვერბალური კომუნიკაციის როლი საზოგადოებაში. ხოლო უკანასკნელმა კი მწვავედ დააყენა ვერბალური კომუნიკაციის საკითხიც საზოგადოებაში.

ტერმინი “ვერბალური კომუნიკაცია” მომდინარეობს ლათინური ტერმინებისაგან “ვერბალური” და “კომუნიკაცია”. “ვერბალური” (ლათ. “ვერბალის”) ქართულად ნიშნავს “სიტყვიერს” (1,IV, სვ. 52), ხოლო “კომუნიკაცია” (ლათ. “კომუნიკაციო”) - “ურთიერთობას” (1,IV, სვ. 1898).

ასე რომ, “ვერბალური კომუნიკაცია” ქართულად იქნება “სიტყვიერი ურთიერთობა”, ე.ი. სიტყვების მეშვეობით ურთიერთობა განსხვავებით “არავერბალური კომუნიკაციისაგან”, ე.ი. “არასიტყვიერი ურთიერთობისაგან”, ანუ სიტყვების გარეშე ურთიერთობისაგან.

და, მართლაც, არსებობს კომუნიკაციის ორი სხვადასხვა სახე – ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. ამასთან, ვერბალური კომუნიკაცია სპეციფიკურად ადამიანური კომუნიკაციაა, ვინაიდან მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. ერთადერთი სიტყვიერი არსება ამქვეყნად მხოლოდ ადამიანია. ძველ ქართულში “სიტყვიერი” საერთოდ კაცის აღმნიშვნელი ტერმინიც კი იყო, განსხვავებით “უსიტყველისაგან”, ანუ “პირუტყვისაგან”, ესე იგი ცხოველისაგან. საქმე ისაა, რომ სიტყვა დანაწევრებული მეტყველების ელემენტია, დანაწევრებული მეტყველება კი მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ადამიანი, რა თქმა უნდა, სიტყვებით მეტყველებს, სხვანაირად მისი მეტყველება შეუძლებელია, ამიტომ ვერბალური კომუნიკაციაც ადამიანთა როგორც მეტყველ არსებათა შორისაა შესაძლებელი.

როცა ვერბალურ კომუნიკაციაზე ვმსჯელობთ, მხოლოდ ზეპირსიტყვიერ კომუნიკაციას როდი ვგულისხმობთ, არამედ წერილობითსაც, ვინაიდან არსებობს მეტყველების როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმაც. სიტყვა ზეპირიც შეიძლება იყოს და წერილობითიც. მთავარია, იგი სიტყვა, ვერბი (ლათ. “ვერბუმ” - “სიტყვა”) (2, გვ.700) იყოს, ხოლო კომუნიკაცია – ვერბალური.

ვერბალური კომუნიკაციის წმინდა ადამიანური სპეციფიკურობის გამო უნდა აღვნიშნოთ ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ვერბალური

კომუნიკაბელობა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა. იგი იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის, რომ გარკვეული აზრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი სწორედ ვერბალურ-კომუნიკაბელური არსებაა ქვეყანაზე. და თუ მისაღებია საყოველთაოდ მიღებული დახასიათებანი ადამიანისა: “ჰომო საპიენს”, “ჰომო ფაბერ”, “ჰომო ლუდენს” და მისთანანი, არანაკლებ მისაღები უნდა იყოს ასევე “ჰომო კომუნის”, იგივე “კომუნიკაბელური კაცი”, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა მთლიანი, თუმცა არსებითი გაგებით.

და რომ ეს ასეცაა, იქიდანაც ჩანს, რომ ადამიანი შეუძლებელია ჩამოყალიბდეს და ცხოვრობდეს სხვა ადამიანების გარეშე. და, მართლაც, აბსოლუტური აზრით იზოლირებული ადამიანი არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ადამიანი ადამიანად ხდება მხოლოდ საზოგადოებაში, ადამიანი თავისი არსებით ხომ საზოგადოებრივი არსებაა.

საზოგადოებაც არ არსებობს ადამიანთა ურთიერთობის გარეშე, ვინაიდან საზოგადოება სწორედ სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა კავშირურთიერთობანი. ხოლო ყოველივე ეს შეუძლებელია ადამიანთა შორის კომუნიკაციათა არარსებობის შემთხვევაში.

ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც კომუნიკაციასა და, კერძოდ, ვერბალურს გააჩნია საზოგადოების არსებობა-განვითარებისათვის, დიდი ხანია შენიშნულია ფილოსოფიის ისტორიაში.

ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი ამბობს, რომ “საზოგადოება არა მარტო არსებობს კომუნიკაციის... მეშვეობით, არამედ... იგი სწორედ მხოლოდ კომუნიკაციაში არსებობს” (3, გვ.25). ამერიკელი მეცნიერი ტ.შიბუტანიც აღნიშნავს, რომ “საზოგადოება ეს ნამდვილად კომუნიკაციური პროცესია” (4, გვ. 142).

ასე რომ, ადამიანები ჰქმნიან საზოგადოებას მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობათა, კომუნიკაციათა მეშვეობით.

მაგრამ ადამიანის კომუნიკაბელური არსების გასაგებად უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რომ ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, კომუნიკაციაშია კომუნიკაბელური არსება, არამედ სწორედ ის, რომ იგი კომუნიკაბელურია უკვე თავისათავად, შინაგნად. ეს მისი, მართლაც, არსებაა. ადამიანის კომუნიკაბელობა არ უნდა გვესმოდეს მხოლოდ გარეგანი, ერთი ადამიანის მეორე ადამიანთან ურთიერთობის ასპექტით, არამედ ადამიანის საკუთარ თავთან ურთიერთობის ასპექტითაც. ეს უკანასკნელი, თუ ასე შეიძლება ითქვას, იქნება ერთგვარი თვითკომუნიკაცია.

ამგვარად, კომუნიკაბელურობა ადამიანის შინაგანი, მოუცილებელი ნიშან-თვისებაა. აბსოლუტური აზრით უკომუნიკაბელო (თუ არაკომუნიკაბელური) ადამიანი ამიტომ არც შეიძლება არსებობდეს. არც არსებობს იგი. უკომუნიკაბელობა (თუ არაკომუნიკაბელობა) მხოლოდ და მხოლოდ რელატიური ნიშან-თვისებაა ადამიანისა.

ის, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არის კომუნიკაბელური (აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ვერბალური კომუნიკაცია, ვინაიდან ადამიანის კომუნიკაციურ მიმართებათა მთავარი სახეა სწორედ იგი) არსება, “ჰომო კომუნის”, თუ ასე შეიძლება ითქვას, ესეც შენიშნულია ფილოსოფიის ისტორიაში.

მაგრამ არავის ისე მკაფიოდ და ნათლად არ გამოუხატავს ეს აზრი, როგორც სწორედ კარლ მარქსმა თავის ცნობილი დებულებით, რომ “ადამიანის არსება” ეს “ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა” (5, გვ. 3).

იმავეს ამბობს გერმანელი ფილოსოფოსი ლ. ფოიერბახიც: “ადამიანის არსება სახეზეა მხოლოდ ურთიერთობაში, ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაში” (6, გვ. 203).

ამასვე ამბობს ამერიკელი მეცნიერი ტ. შიბუტანიც, რომ “ადამიანის ბუნება და სოციალური წესრიგი კომუნიკაციის პროდუქტს წარმოადგენენ” (4, გვ. 26).

კომუნიკაციის, ხოლო მათ შორის ვერბალურის, განსაკუთრებით უდიდესი მნიშვნელობა ადამიანისათვის ისაა, რომ ყველაფერი, რაც კი რამ შექმნილა საზოგადოების (ესე იგი ადამიანთა ერთობლიობის) მიერ ძვირფასი, ყველაფერი მისი მეშვეობითაა შექმნილი. მართალია, კომუნიკაციური პროცესი ეს მარტო დადებითი პროცესი როდია, ეს პროცესი უარყოფით მხარესაც მოიცავს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს კი არ გვაინტერესებს, არამედ სწორედ ის დადებითი, რაც მან მოგვცა კაცობრიობის ისტორიაში.

და აი, აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, მართლაც, ის უდიდესი ძალა, რაც სიტყვას, ვერბს გააჩნია ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიკაციის პროცესში, ვინაიდან სიტყვა უდიდესი ძალაა. მას შეუძლია ააშენოს და დალუპოს საქმე. სიტყვამ შეიძლება განკურნოს კიდეც და დაასნეულოს კიდეც.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ საოცარი მაგალითები სიტყვის ძალაზე, თუნდაც ქართული მწერლობიდან. ავიღოთ თუნდაც საბა ორბელიანის იგავები “უტკბესი და უმწარესი” და “ენით დაკოდილი” (7, გვ. 18 და 30-31).

ვერბალური კომუნიკაციის მთავარი საშუალება, ამ დასახელებიდან გამომდინარე, მართალია, თავად ვერბია, სიტყვაა, ვინაიდან ეს კომუნიკაცია ხორციელდება სწორედ სიტყვის საშუალებით, მაგრამ მისი მთავარი მიზანი უკვე ადამიანთა შორის სწორედ კომუნიკაციაა, ე.ი. “ვერბალური” აქ საშუალებაზე მიუთითებს, ხოლო “კომუნიკაცია” - მიზანზე. საშუალება კი მიზანს უნდა ემსახურებოდეს, ხოლო ღირსეულ მიზანს - ღირსეული საშუალება.

და, მართლაც, ვერბალური კომუნიკაციის მთავარი მიზანი ეს სწორედ ადამიანია. იგი ამიტომაც ადამიანზე უნდა იყოს გათვლილი. ადამიანი ხომ ერთადერთი მიზანია დედამიწაზე. ერთადერთი არსება ამქვეყნად, რომელიც უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც მიზანი და არავითარ შემთხვევაში როგორც მხოლოდ საშუალება, ეს ნამდვილად ადამიანია. ყოველ შემთხვევაში ეს ასე უნდა იყოს და ეს ასე თუ არ არის, მით უარესი ფაქტისთვის, რადგან სწორედ ადამიანი იმსახურებს თვითმიზნად ყოფნის უფლებას. იგი ხომ ყოველგვარი ქმნილების გვირგვინია, უმაღლესი არსებაა ქვეყანაზე.

მაგრამ ადამიანის ბედნიერება შეუძლებელია ჯეროვანი ადამიანური ურთიერთობების გარეშე, ადამიანთა შორის ნორმალური ურთიერთობების გარეშე. ნათქვამია, “კაცი კაცითაო”, ანდა “კაცის წამალი კაციაო”. ამ გამონათქვამებში ნათლად ჩანს ის უდიდესი მიზანი, რაც უნდა იყოს ადამიანის ცხოვრების ძირითადი მიმართულება. და, მართლაც, მოყვასის სიყვარული უმაღლესი ზნეობის ქვაკუთხედაა. “შეიყვარო მოყვასი შენი” ეს უნდა იყოს დევიზი ნებისმიერი ვერბალური კომუნიკაციისა, უშუალოდ თუ არაუშუალოდ.

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა ძალიან რთულია. იგი ვერბალური კომუნიკაციის მთელ სისტემას ჰქმნის. მასში გამოიყოფა უამრავი ასპექტები და მხარეები. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ვერბალური კომუნიკაციის ისეთი სახეები, როგორებიცაა: ზეპირი და წერილობითი, უშუალო და გაშუალებული, პირდაპირი და არაპირდაპირი, უწყვეტი და წყვეტილი, პირადი და საზოგადოებრივი და მისთანანი. ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ასპექტით დავეყოთ ვერბალურ კომუნიკაციას. სხვადასხვა ასპექტით დაყოფის შემთხვევაში სახეებიც სხვადასხვა გვექნება.

მართალია, ვერბალური კომუნიკაციის საკუთრივი, მთავარი საშუალება ენაა, მაგრამ “ენის პარალელურად მეტყველებითი ურთიერთობის შიგნით ფართოდ გამოიყენება არამეტყველებითი საშუალებანი: სახე, ჟესტები,

მიმიკა, პარტნიორთა მდგომარეობა ერთმანეთის მიმართ, გამოსახულება” (8, გვ. 111).

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაცია რეალობაში არავერბალურთან კავშირში ხორციელდება, თუმცა არავერბალური კომპონენტები აქ მაინც დამატებით როლს ასრულებენ და მთავარი მაინც ვერბალური მხარეა.

ვერბალურ კომუნიკაციას ორი აუცილებელი მხარე – სუბიექტი და ობიექტი აქვს. ამასთან, ეს სუბიექტი ვერბალური კომუნიკაციის აქტიური (მოქმედი) პირია, ხოლო ობიექტი – მისი პასიური (უმოქმედო) პირი.

თუმცა აქ ასეთი დახასიათება სუბიექტ-ობიექტისა პირობითია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მაინც ადამიანთან და, მართლაც, ვერბალური კომუნიკაციის როგორც სუბიექტი, ისე ობიექტიც ადამიანია. ასე რომ, ადამიანია მთავარი ფაქტორი ვერბალური კომუნიკაციისა. ამასთან ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტი ერთ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს მისი ობიექტი მეორე შემთხვევაში და პირიქით.

ვერბალური კომუნიკაციის უამრავი ფორმა არსებობს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია რიცხობრივი თანაფარდობა მის სუბიექტსა და ობიექტს შორის. ამ მხრივ კი, ოთხი შესაძლებლობა გვექნება: ერთი, როცა ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტიც და ობიექტიც ერთია, მეორე, როცა სუბიექტი ერთია, ობიექტი, მრავალი, მესამე, როცა, პირიქით, სუბიექტი მრავალია, ობიექტი – ერთი და ბოლოს, როცა სუბიექტიცა და ობიექტიც ორივე მრავალია.

ვერბალური კომუნიკაცია და საერთოდ კომუნიკაცია მუდამ გულისხმობს ორ მინიმუმ მხარეს მაინც, ვინაიდან კომუნიკაციის ურთიერთობის ცნება თავისთავად უკვე გულისხმობს კომუნიკაციის სიბიექტსა და ობიექტს. სხვანაირად შეუძლებელია, ვინაიდან კომუნიკაცია (ურთიერთობა) მუდამ გულისხმობს იმას, ვინც ამყარებს მას და ვისზეც მიმართულია იგი. ეს გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სოციალური კომუნიკაცია გულისხმობს “ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას საზოგადოებაში” (9, გვ.23). ეს კი, რა თქმა უნდა, თავის მხრივ გულისხმობს ინფორმაციის (ცნობის) გადამცემსაც და მიმღებსაც.

ვერბალურ კომუნიკაციას თავისი დანიშნულება აქვს ცხოვრებაში. და ეს დანიშნულება ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ სიტყვის საშუალებით დაამყარებინოს ადამიანებს ურთიერთობა, რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაცია და საერთოდ კომუნიკაცია ეს თვითმიზანი როდია, არამედ მხოლოდ საშუალება ადამიანთა მიზნებისათვის.

სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიძლება გამოვყოთ ვერბალური კომუნიკაციის ორგვარი დანიშნულება – უშუალო და საბოლოო. ეს ორი რამ სხვადასხვა, დაბალი და მაღალი დონეა მისი დანიშნულებისა.

ვერბალური კომუნიკაციის უშუალო დანიშნულებაა სიტყვის მეშვეობით ურთიერთობის დამყარება ადამიანთა შორის, მაგრამ ეს საკმარისი როდია მისი დანიშნულების შესაფასებლად. ეს ურთიერთობა თავად საშუალებაა ადამიანის მაღალი მიზნების განსახორციელებლად. ზოგადად იგი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ვერბალური და საერთოდ კომუნიკაციის დანიშნულებაა ადამიანის ბედნიერება.

ასეთია სოციალური კომუნიკაციისა და მათ შორის ვერბალური კომუნიკაციის ზოგადი დანიშნულება.

მაგრამ ჩვენ ამასთანავე შეგვიძლია გამოვყოთ მათი კერძო ფუნქციებიც, ანუ ის კონკრეტული დანიშნულებანი, რასაც ისახავს საზოგადოება კომუნიკაციის პროცესში.

სოციალური კომუნიკაციის ეს ფუნქციები (დანიშნულებანი) სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვყოთ იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპს დავუდებთ მათ საფუძვლად.

ასე მაგალითად, შეიძლება გამოვყოთ სოციალური კომუნიკაციის ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა: “საინფორმაციო”, “ინტეგრაციული”, “სოციალური დამკვიდრების”, “მარეგულირებელი”, “ადამიანურ კონტაქტთა გლობალური ქსელის რეალიზაციის” ფუნქციები (3, გვ.71). თითოეული მათგანი უზრუნველყოფს სოციალურ კომუნიკაციას შესაბამისი კუთხით. ამ ფუნქციებს, რა თქმა უნდა, ძალა აქვს ვერბალური კომუნიკაციის მიმართაც.

ვერბალური კომუნიკაციის თემაზე მსჯელობისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ენისა და აზროვნების მასთან დამოკიდებულების საკითხს, ვინაიდან ვერბალური კომუნიკაცია აუცილებლობით გულისხმობს ერთსაც და მეორესაც და მათ შორის კავშირსაც. ვერბალური კომუნიკაცია ხომ წარმოუდგენელია ენის გარეშე, ვინაიდან სწორედ ენის მეშვეობით ხორციელდება იგი. მაგრამ ენაც ხომ არ არსებობს აზროვნების გარეშე. განა ენა აზრის უშუალო სინამდვილე არ არის? მაშასადამე, ენისა და აზროვნების კომპონენტები მათს ურთიერთკავშირში ვერბალური კომუნიკაციის აუცილებელი ელემენტია.

აქ, ენისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა ენისა და აზროვნების ცნებათა დაზუსტება, ვინაიდან ვერბალურ კომუნიკაციაზე მსჯელობისას მათ სრულიად განსაზღვრული, თავისებური მნიშვნელობა აქვთ. კერძოდ, ენის შემთხვევაში, ენის ქვეშ აქ უნდა გვესმოდეს მხოლოდ ადამიანის ენა, როგორც დანაწევრებული მეტყველება, ხოლო აზროვნების შემთხვევაში აზროვნების ქვეშ – მხოლოდ ლოგიკური, ცნებითი აზროვნება.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის ენაც და აზროვნებაც ორივე ვერბალურია: არსებობს როგორც ვერბალური ენა, ისე ვერბალური აზროვნებაც. და, მართლაც, არსებობს ვერბალური ენაც და არავერბალურიც, ისევე როგორც ვერბალური აზროვნება და არავერბალურიც.

ვერბალური ენა სიტყვიერი, ე.ი. დანაწევრებული მეტყველების ენაა, ხოლო ვერბალური აზროვნება – ცნებითი, განყენებული აზროვნება.

ვერბალური კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელია ენისა და აზროვნების კავშირის გარეშე, ვინაიდან თავად ისინი არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე. აზროვნება მხოლოდ ენის მეშვეობით ხორციელდება, ისევე როგორც მეტყველება – აზროვნების საშუალებით. სიტყვა ანუ ვერბი ერთდროულად ლინგვისტური ფენომენიცაა და ლოგიკურიც. მეტყველებს მხოლოდ მოაზროვნე არსება, ამ შემთხვევაში ადამიანი, ხოლო აზროვნებს ისევე მეტყველი არსება, ამ შემთხვევაშიაც ადამიანი. ადამიანი ამ დროს გამოდის როგორც მოაზროვნე – მეტყველი არსება. და მხოლოდ ასეთი არსება შეიძლება იყოს სწორედ ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტი.

მართალია, ენა არ არსებობს აზროვნების გარეშე და, პირიქით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაშიაც ეს ასეა.

მაგრამ ვერბალური კომუნიკაცია უშუალოდ მაინც ლინგვური, ენობრივი ფენომენია და არა ლოგიკური, აზრობრივი. სხვა ამბავია, რომ უბრალოდ ეს ლინგვური მოვლენა თავისი ლოგიკური მხარის გარეშე არ არსებობს და მასში იგულისხმება. ეს მდგომარეობა კი ნათლად ჩანს თავად ვერბალური კომუნიკაციის როგორც ენობრივი კავშირის ცნებაში. ენის ცნობილი ფუნქციებიდან განა, მართლაც, არ გამოიყოფა კომუნიკაციისა (ურთიერთობისა) და სიგნიფიკაციის (აზრდების) ფუნქციები? ასე რომ, ენა უკვე თავისთავად, და ვერბალურიც მათ შორის, კომუნიკაციის (ურთიერთობის) და სიგნიფიკაციის (აზრდების) საშუალებაა, ინსტრუმენტი.

ვერბალური კომუნიკაცია მუდმივად ვითარდება, ინტენსიურადაც და ექსტენსიურადაც. ამას თავისი ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები აქვს. განსაკუთრებით აქ უნდა აღინიშნოს ის დიდი მნიშვნელობა, რაც ენიჭება საზოგადოების პოლიტიკას კომუნიკაციის სფეროში, რასაც სწორი თუ არასწორი მიმართულების შემთხვევაში გადამწყვეტი როლიც კი შეიძლება მიენიჭოს კომუნიკაციის პროცესში. ამას კი, თავის მხრივ, გადამწყვეტი როლი ენიჭება უკვე კაცობრიობის მომავლისათვის. და, მართლაც, თუ რა მიმართულებით და როგორ განვითარდება კომუნიკაციური პროცესი, ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული ადამიანის მომავალიც. ხოლო ვერბალური კომუნიკაციის როლი კი ამ საქმეში, კომუნიკაციური პროცესის საქმეში, მართლაც, რომ გადამწყვეტია.

ვერბალური კომუნიკაცია (ზოგადი)

ტერმინი “ვერბალური კომუნიკაცია” ლათინური სიტყვაა და ქართულად ზოსტად “სიტყვიერ ურთიერთობას” ნიშნავს. ასე რომ, ტერმინობრივად იგი სიტყვების მეშვეობით ადამიანთა შორის ურთიერთობას გულისხმობს, რაც ზუსტად არეკლავს საქმის რეალურ ვითარებას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტერმინი ზუსტად აღნიშნავს აღსანიშნ საგანს.

ვერბალური კომუნიკაცია, როგორც ამას თავად სახელწოდება მეტყველებს გულისხმობს იმას, რომ იგი კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეა, ვინაიდან იგულისხმება, რომ, თუ არსებობს ვერბალური, ე.ი. უნდა არსებობდეს აგრეთვე არავერბალური კომუნიკაციაც.

მაგრამ აქ ერთი დაზუსტებაა საჭირო. ვერბალური კომუნიკაცია, როგორც კომუნიკაციის სახე გულისხმობს როგორც საერთოდ კომუნიკაციის, ისე კერძოდ სოციალური კომუნიკაციის სახეს. ასე რომ, ეს კომუნიკაცია ორივე კუთხით მისაღებია. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ვერბალურ კომუნიკაციას როგორც კომუნიკაციის სახეს ჩვეულებრივ სახელდობრ სოციალური კომუნიკაციის კონტექსტით განიხილავენ.

ვერბალური კომუნიკაცია სიტყვიერი ურთიერთობაა.

ასეთია ვერბალური კომუნიკაციის ცნების განსაზღვრება, ანუ დეფინიცია.

ვერბალური კომუნიკაცია, აქედან გამომდინარე, გულისხმობს ყოველგვარ კომუნიკაციას, რომელიც კი სიტყვების მეშვეობით ხორციელდება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს სიტყვა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი.

როცა ჩვენ ვერბალურ კომუნიკაციაზე ვსაუბრობთ, ჩვეულებრივ, ადამიანთა შორის ვერბალურ კომუნიკაციას ვგულისხმობთ ხოლმე, მაგრამ, მკაცრები თუ ვიქნებით, ვერბალური კომუნიკაცია ადამიანთა და არაადამიანთა შორის ურთიერთობასაც გულისხმობს.

იმისათვის კი, რომ ეს ნათელი გახდეს და ამით ვერბალური კომუნიკაციის სრული სურათი შეიქმნას, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება შედგეს არა მარტო ადამიანთა შორის, არამედ ადამიანსა და ღმერთს, ადამიანსა და ანგელოსს, ადამიანსა და თვით ცხოველს შორის, უფრო მეტიც, ადამიანსა და მცენარეს, კიდევ უფრო მეტიც, მინერალებთანაც კი. ამასთან აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას მართლაც, ორმხრივი იქნება თუ არა ეს კომუნიკაცია. ე.ი. ექნება თუ არა ნამდვილ კომუნიკაციას ადგილი ურთიერთიერთგაგების თვალსაზრით. ყოველ შემთხვევაში აქ იგულისხმება, თითქოსდა ადგილი ჰქონდეს რეალურ კომუნიკაციას და არა ირეალურს, ვირტუალურს, მოგონილს.

ვერბალური კომუნიკაცია, ამ ფართო გაგებიდან გამომდინარე, შესაძლოა გვექონდეს არა მხოლოდ რეალურ, არამედ ვირტუალურ, მოგონილ არსებებთანაც, მაგალითად, მითიურ არსებებთან.

მაშასადამე, ვერბალური კომუნიკაციის გავრცელების არეალი, თუ ასე შეიძლება ითქვას, უნივერსალურია, ე.ი. საყოველთაოა და არ არსებობს მთელს ქვეყანაზე რაიმე, ვერბალური კომუნიკაციის ობიექტი (მიმართების საგანი) რომ არ იყოს.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს კომუნიკაცია მაინც ადამიანს ეხება და ადამიანი მისი მთავარი სუბიექტიცა და ობიექტიც. ამიტომ როცა ვერბალურ კომუნიკაციაზე ვმსჯელობთ, ჩვეულებრივ ადამიანთა შორის ვერბალურ კომუნიკაციას ვგულისხმობთ.

ვერბალური კომუნიკაცია ადამიანის ცხოვრების ფუნდამენტური (ძირეული) მოვლენაა. ვერბალური კომუნიკაცია იმდენდ ძირეულია მისთვის, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი ცხოვრების არსებით მახასიათებლადაც გამოვაცხადოთ იგი. და, მართლაც, ადამიანი მთელი თავისი არსებით ვერბალურ-კომუნიკაციური არსებაა. ასე რომ, ადამიანის ცნობილ განსაზღვრებათა გვერდით შეგვიძლია ასეთი განსაზღვრებაც დავაყენოთ: ეს არის “homo verbalis” - communalis-ი.

ხოლო ის, რომ ადამიანი თავისი არსებით “ვერბალურ-კომუნიკაციური” არსებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, სოციალურად კომუნიკაციური (საზოგადოებრივად მოურთიერთობე) არსებაა, და, მეორეც, ვერბალურად (სიტყვიერად) კომუნიკაციური არსება კერძოდ.

ის, რომ ადამიანი “სოციალურად კომუნიკაციური” არსებაა საერთოდ, ეს იქიდან ჩანს, რომ ადამიანი ადამიანად სწორედ საზოგადოებაში, ე.ი. ადამიანებთან ურთიერთობებში ხდება და იგი თავის თავში უკვე ატარებს საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელს ერთობლიობას. ამიტომაც ამბობდა კარლ მარქსი (მე-19 ს.), რომ “ადამიანის არსება” ეს არისო “მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა” (“თეზისები ფოიერბახის შესახებ”). არარსებობს ადამიანი როგორც ასეთი საზოგადოების გარეშე. საზოგადოება კი თავის მხრივ არაფერია, თუ არა სწორედ ადამიანთა ურთიერთკავშირი.

ის, რომ ადამიანი “ვერბალურად კომუნიკაციური არსებაა” კერძოდ ეს კი იქიდან ჩანს, რომ მთელს ამ საზოგადოებრივ ანუ ადამიანთა შორის ურთიერთობებში ადამიანი ჩართულია სწორედ ენის როგორც კომუნიკაციის საშუალების მეშვეობით. და, მართლაც, ამქვეყნიური არსებათაგან მხოლოდ ადამიანია დაჯილდოებული, დანაწევრებული მეტყველებით და მთელი მისი ცხოვრებაც ადამიანის არსებითად სწორედ როგორც “მეტყველი” არსების ცხოვრებაა. ადამიანები ხომ კომუნიკაციას სწორედ ენის მეშვეობით ამყარებენ, ხოლო კომუნიკაციის მეშვეობით ახორციელებენ თავიანთ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს ცხოვრება კი უკვე ადამიანის ცხოვრების წესია.

ვერბალური კომუნიკაცია იმდენად ძირეული მახასიათებელია ადამიანური ცხოვრებისა, რომ იგი ალავსებს მისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს მაინც, რაოდენობრივადაც და რაგვარობრივადაც, ვინაიდან არავერბალური კომუნიკაციაც ვერბალურს ემსახურება, თუ ასე შეიძლება ითქვას. განა ადამიანის არავერბალური “ენაც” საბოლოო ჯამში “ვერბალურად” არ უნდა წავიკითხოთ? არავერბალურ ქცევაშიაც კი რაღაც ვერბალური კავშირი იკითხება. ამ აზრით არავერბალური კომუნიკაციის სახეებს, თუ ასე შეიძლება, თავიანთი საკუთარი “სუბსტანციური” (“საწყისური”) მნიშვნელობანი არც გააჩნია. ისინიც კი, რათქმა უნდა, არაუშუალოდ სიტყვების მეშვეობით, მაგრამ საბოლოოდ მაინც “სიტყვებით გვეუბნებიან”. მათ მიღმა რაღაც აზრი მაინც იმალება, ხოლო აზრი, როგორც ვიცით, არც არსებობს ენის გარეშე. ენა ხომ მისი “უშუალო სინამდვილეა” (მარქსი); აზრი ხომ ყოველთვის “რაღაცას გვეუბნება”?

არავერბალური კომუნიკაციის ამ “მაღალი გადასახედიდან” გამომდინარე, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ არავერბალური კომუნიკაციაც საბოლოოდ, გადატანითი მნიშვნელობით, ვერბალური კომუნიკაციაა, ყოველ შემთხვევაში არავერბალური კომუნიკაციაც, მართალია, არავერბალური, მაგრამ მაინც საბოლოოდ ვერბალური კომუნიკაციის თუნდაც რაღაც ფორმაა (სახეა). ეს, თუ ასე შეიძლება ითქვას, მაინც მისი “გაუცხოებული” ფორმაა (სახეა).

ვერბალური კომუნიკაცია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თან სდევს და განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს. ადამიანი ამდენად არსებითად მაშინ იწყება, როდესაც იგი “იდგამს ენას” და მაშინ მთავრდება, როდესაც იგი წყვეტს მეტყველებას (შენ.: როდესაც ჩვეულებრივ ვერბალურ კომუნიკაციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ადამიანს ვგულისხმობთ, მხოლოდ მისი, ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე, თორემ, თუ ადამიანს აქ უფრო ფართოდ განვიხილავთ, მაშინ ვერბალური კომუნიკაციის ადამიანური ფორმა (სახე) უკვე გასცდება ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების საზღვრებს. ადამიანის იმქვეყნიური ვერბალური ცხოვრების შესახებ ჩვენ აქ, ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობთ).

ვერბალური კომუნიკაცია იმდენად ფართო ადამიანური მოვლენაა, რომ ადამიანი სინამდვილეში მაშინაც კი მეტყველებს, როცა შეიძლება იგი არც კი ფიქრობდეს იმას, რომ იგი მეტყველებს. ეს იმიტომ, რომ მეტყველების (ენის) უაღრესად ფართო სპექტრი (სხვადასხვაობა, მრავალსახეობა) არსებობს და იგი მარტო მის რომელიმე ჩვეულებრივ ფორმაზე როდი დაიყვანება. ასე, მაგალითად, ძილშიაც კი ადამიანი (სიზმარში) ვერბალურ კომუნიკაციაში შეიძლება იყოს სხვა არსებებთან ან თავის თავთანაც. სხვათაშორის, თავის თავთანაც ვერბალური კომუნიკაციაც ვერბალური კომუნიკაციაა (ე.ი. ადამიანი შეიძლება გაუცნობიერებლადაც (შეუგნებლადაც იმყოფებოდეს ვერბალურ კომუნიკაციაში ძილშიაც და საკუთარ თავთანაც).

მეტყველება და აზროვნება

მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევისას, ჩვენ აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მეტყველებასა და ენას ამ შემთხვევაში ჩვენ აქ განვიხილავთ ერთი და

იმავე მნიშვნელობით ანუ ტოლი მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ცნება ზოგჯერ სრულიადაც როდიას ასე გაგებულნი.

და, მართლაც, გარკვეულ შემთხვევებში, ისინი სხვადასხვა მნიშვნელობით როდი მოიხმარებიან. ამ შემთხვევაში ენას განიხილავენ როგორც მეტყველების რაღაც “იდეალურ” საფუძველს, საშუალებას, რომლითაც ხორციელდება მეტყველება როგორც ლინგვური პროცესი, ხოლო მეტყველებას კი – როგორც უკვე ამა თუ იმ ენით ოპერირებას (მოქმედებას), ამ ენის “ხორცშესახმას”.

თუმცა ამასთან ერთად არსებობს მეორე თვალსაზრისიც, როდესაც ენაც და მეტყველებაც თანაბარი მნიშვნელობითაა გაგებულნი.

ორივე თვალსაზრისი, შეთანხმების შემთხვევაში, მისაღებია და გამართლებული.

გამომდინარე აქედან, ჩვენს შემთხვევაში საკითხი “მეტყველება და აზროვნება” ტოლია საკითხისა - “ენა და აზროვნება”. ოღონდ ჩვენ აქ “მეტყველება” იმიტომ ვარჩიეთ “აზროვნებასთან” შეწყვილებაში, რომ ამით “ენობრივი პროცესისათვის” გაგვესვა ხაზი, მსგავსად “აზროვნებისა”, რომელშიაც ასევე “აზრობლივ პროცესს” ესმება ხაზი.

ენისა (მეტყველებისა) და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი საერთოდ ფილოსოფიისა და კერძოდ კი სოციოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მითუმეტეს, ვერბალური კომუნიკაციის თეორიის საგანგებოდ მნიშვნელოვანი საკითხი. ენა (მეტყველება) ხომ ვერბალური კომუნიკაციის სწორედ საგანგებო საშუალებაა, მისი ერთადერთი სპეციფიკური საფუძველია. ამიტომაც მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ამ თეორიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საქმე ისაა, რომ მეტყველება უდრმეს კავშირშია აზროვნებასთან. უფრო მეტიც, აზროვნება როგორც ადამიანური ნიჭი თუ უნარი განმსაზღვრელ როლს ასრულებს მეტყველების უნარისა თუ ნიჭის მეშვეობით ვერბალური კომუნიკაციის ადამიანური ნიჭ-უნარის საქმეში. რომ არა აზროვნება, მეტყველება ვერც განხორციელდებოდა, ხოლო მეტყველების გარეშე – ვერც საერთოდ ვერბალური კომუნიკაცია. აზროვნებაა სწორედ ენის (მეტყველების) “სული და გული”, ხოლო აქედან გამომდინარე კი, აზროვნება ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ასევე “სული და გულია” ვერბალური კომუნიკაციის მთელი ენობრივი პლასტისა (შრისა).

ენა და აზროვნება აუცილებელი კავშირშია ერთმანეთთან. იგი გულისხმობს იმას, რომ ერთი არ არსებობს მეორის გარეშე, ისევე როგორც

მეორე პირველის გარეშე. ენა აზროვნების გარეშე შეუძლებელია არსებობდეს, ისევე როგორც აზროვნება ენის გარეშე.

მართალია, განმსაზღვრელი აზროვნებასა და მეტყველებას შორის პირველია და აქ ჩვენ გვაქვს აზროვნების პრიმატი (უპირატესი მნიშვნელობა) მეტყველებაზე, მაგრამ ენასაც ანუ მეტყველებასაც თავისი გარკვეული ფარდობითობა გააჩნია და ამ მოვლენას მეცნიერებაში ე.წ. “ლინგვური რელატიურობის (ენობრივი ფარდობითობის) თეორიასაც” უწოდებენ.

და, მართლაც, აზროვნების სახეზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს თავად მეტყველების კანონზომიერებები. ესე იგი აზროვნების სახეზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ მისივე საკუთრივ აზროვნებითი, არამედ ასევე გარეშე მეტყველებითი კანონზომიერებანიც.

ასე, მაგალითად, აზროვნებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს იმ ენის შესაძლებლობანიც, რომელზედაც ხდება ეს აზროვნება. და ამდენად, სხვადასხვა ენობრივი სიტუაცია სხვადასხვა აზროვნებითი სიტუაციის გარკვეულწილად განმაპირობებელიც იქნება.

ის, რომ ენა არ არსებობს აზროვნების გარეშე, ეს იმას ნიშნავს, რომ “ენა არის აზრის უშუალო სინამდვილე” (კარლ მარქსი) და ამდენად მეტყველებაც აზროვნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. განა მეტყველება იმთავითვე არ გულისხმობს ადამიანის მხრიდან გააზრებულ, შეგნებულ პროცესს? “ყოველი სიტყვა ხომ უკვე აზოგადებს” (ვლადიმერ ლენინი), ე.ი. აბსტრაქტულ (განყენებულ) აზროვნებას გულისხმობს; ყოველი სიტყვა ხომ მის მიღმა მდგარ აზრს გულისხმობს სწორედ. რომ არა აზროვნება, მეტყველებაც უაზრო იქნებოდა, ისევე როგორც სიტყვა აზრის გარეშე, ვინაიდან ყოველი სიტყვა, რომლითაც ჩვენ რაიმეს აღვნიშნავთ (გამოვთქვამთ), უკვე თავისთავში გულისხმობს ამ რაიმეში “ჩაბუდებულ” იდეას, აზრს

ასე რომ, სიტყვა იგივე აზრია, ოღონდ “ჩამოსხმული” განსხვავებულ ყალობაში. სიტყვას რაღაც გარსია, სხეულია რაიმეს იდეისა, აზრისა. და შეუძლებელია, რომ ეს აზრი როგორც პოტენცია არ გამოვლინდეს სწორედ სიტყვიერ ყალიბში, არ იჩინოს თავი მასში.

მაშასადამე, სიტყვა იგივე აზრია თავის ენობრივ გარსში, რომელიც რაღაცას გვეუბნება, გვეუბნება კი სწორედ იმას, რაც ამ აზრშია, იდეაშია “ჩაქსოვილი”. სხვაგვარად, სიტყვა იგივე აზრის განხორციელებაა, მისი ხორცშესახმაა რაღაცნაირი, ოღონდ შინაგანი მისი ხორცშესახმა და არა გარეგანი.

გამომდინარე იქიდან, რომ ენა არ არსებობს აზროვნების გარეშე, ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ ადამიანზე, როგორც “მეტყველ

არსებაზე”: “ვმეტყველებ, მაშასადამე, ვაზროვნებ” და არ არსებობს რაიმე, რომელიც დაარღვევდა ამ უცილობელ კანონს.

თუმცა, აქ შეიძლება ერთი ეჭვი გაჩნდეს. კერძოდ, შესაძლოა ადამიანი რაიმეს ბურტყუნებდეს, რაიმეს “უაზროდ” წარმოსთქვამდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი არ უქმდება ეს კანონი, ვინაიდან გაუაზრებელ საუბარშიაც კი უკვე იგულისხმება რაღაც “აზრიანობა”. ამ შემთხვევაშიაც კი ჩვენ სიტყვებს წარმოვსთქვამთ, რომელთა უკან მაინც აზრი იმალება.

და, მართლაც, განა, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ რაღაც მომენტში გაუაზრებლად ვამბობთ, განა იმ სიტყვებში ნორმალურ სიტუაციაში მაინც გარკვეული აზრი არ იმალება? სხვა საკითხია ჩვენ გვესმის თუ არა ყველა შემთხვევაში ამა თუ იმ სიტყვის და ასე შემდეგ მნიშვნელობა, მაგრამ ეს სრულიადაც როდი გულისხმობს იმას, რომ სიტყვამ და ა. შ. დაკარგოს თავისი “ამოსავალი”, “მშობლიური” - “აზრობლივი” დატვირთვა.

ხოლო გაუაზრებლად მეტყველებასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომ ასეთი რამ უკვე იმთავითვე, უკვე თავისთავად იგულისხმება და მიიჩნევა არანორმალურ მოვლენად. და, მართლაც, ადამიანური ინტუიცია (გუმანი) ამას უარყოფითად ეკიდება სწორედ იმის გამო, რომ ენა აქსიომატურად უკვე გულისხმობს და ამდენად მოითხოვს აზრიანობას. სხვა შემთხვევაში გვექნებოდა ფუჭსიტყვაობა, ამაოდმეტყველება.

ყოველი სიტყვა და ა.შ თავის იდეას უნდა შეესაბამებოდეს, ყოველი სიტყვა თავის იდეას მოითხოვს როგორც საფუძველს. და სწორედ ეს გარემოება – ეს აუცილებელი კავშირი სიტყვასა და მის აზრს, იდეას შორის, სწორედ ეს მოთხოვნა მათი კავშირისა, რაც შეიძლება დაირღვეს რეალურ ვითარებაში, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ენა, მართლაც, არ არსებობს აზროვნების გარეშე, რომ სიტყვა არ არსებობს აზრის გარეშე. ყოველ შემთხვევაში ეს ასე უნდა იყოს.

თუმცა ეს მდგომარეობაც, ანუ ის, რომ შესაძლოა გაუაზრებელი მეტყველებაც, გაუაზრებლად სიტყვის თქმა, ჯერ კიდევ როდი ნიშნავს იმას, რომ უქმდება ჩვენი ამოსავალი დებულება ენისა და აზროვნების უცილობელი ერთიანობის შესახებ, ვინაიდან ყოველი სიტყვა, მიუხედავად იმისა, გვესმის თუ არა ჩვენ მისი მნიშვნელობა სწორად, გააზრებული გვაქვს იგი თუ არა ჩვენ, ამოსავალში, თავის საწყისში უკვე მაინც გულისხმობს მის იდეას და იგი წარმოიშობა მისი იდეის გაცნობიერების შემთხვევაში.

იგივე, რაც ითქვა მეტყველებისათვის აზროვნების აუცილებლობაზე, ენისათვის - აზროვნებაზე, იგივე ითქმის აგრეთვე, შებრუნებით, აზროვნებისთვისაც მეტყველების აუცილებლობაზე.

და, მართლაც, ყოველი აზრი, ყოველი იდეა უკვე გულისხმობს მას როგორც სიტყვას. ჩვენ რომ რაიმე აზრი მოგვდის თავში, იგი უკვე იმთავითვე სიტყვის ყალიბში მოგვდის აზრად. სიტყვისაგან ცარიელი აზრი თუ იდეა არც არსებობს, ვინაიდან ასეთი რამ შეუძლებელია. მოგვივიდა თუ არა აზრი რისამე შესახებ, მყისვე იგი - ეს აზრი თუ იდეა მოგვივიდა სიტყვაში. ხოლო სიტყვა მაინცდამაინც ხორციელი რამ როდია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი რამ არის. სიტყვა ხომ აზრის უშუალო სინამდვილეა. სხვა ამბავია, როცა ამ სიტყვას, სულში დაბადებულს, უკვე ხორციელად, რეალურად წარმოვსთქვამთ. ორივე შემთხვევაში კი - სულიერ თუ ხორციელ პლანში, სიტყვა აუცილებლად მაინც აზრის განამდვილებაა. და, რა თქმა უნდა, აზრის ვითარცა ამ სინამდვილის საფუძველის გარეშე იგი არც არსებობს.

როგორც ვხედავთ, აზრისა და სიტყვის, აქედან გამომდინარე კი, საერთოდ აზროვნებისა და მეტყველების (ენის) კავშირი აუცილებელია და არა შემთხვევითი, ასევე იგი - ეს კავშირი შინაგანია და არა გარეგანი თავისი ბუნებით, იმდენად ღრმა არის კავშირი მათ შორის.

და მაინც, მიუხედავად იმ უღრმესი, განუყოფელი კავშირისა, რაც ენასა და აზროვნებას შორის არსებობს, არ შეიძლება ამ ორი რამის გაიგივება. ისინი მაინც სხვადასხვა მოვლენაა. მეტყველება სიტყვებით ოპერირებაა (მოქმედებაა), აზროვნება - აზრებით ოპერირება (მოქმედება). ხოლო სიტყვებსა და აზრებს შორის ხომ განსხვავებაა და, მაშასადამე, მათით ოპერირებათა შორისაც განსხვავება იქნება. სიტყვა საგნის სახელია, აზრი კი - საგნის ცნება. სახელი საგანს აღნიშნავს, ხოლო ცნება მას არეკლავს.

მიუხედავად იმისა, რომ მეტყველებასა და აზროვნებას შორის არსებითი სხვაობაა, ე.ი. ერთი თვისობრივად განსხვავდება მეორისაგან და, პირიქით, ეს განსხვავება მათ შორის ტოლი მაინც არ არის.

კერძოდ, განმსაზღვრელი თავისი მნიშვნელობით მეტყველებასა და აზროვნებას შორის მაინც აზროვნებაა. აზროვნება განსაზღვრავს მეტყველებას და არა, პირიქით, აზრი განსაზღვრავს სიტყვას და არა სიტყვა - აზრს.

ეს იმიტომ, ხატოვნად თუ ვიტყვით, რომ აზრი საგნის “სულია”, ხოლო სიტყვა - აზრის “ხორცი”. პირველადი - პირველია, მეორადი - მეორე. მთავარია, რა თქმა უნდა, სული და არა ხორცი. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

აზრი სიტყვის არსებაა, ხოლო სიტყვა – აზრის გამოვლენა. ხოლო შეუძლებელია ფილოსოფიურად ერთი არსებობდეს მეორის გარეშე, და, პირიქით. ეს ორი რამ, როგორც ამას ფილოსოფოსები იტყვიან, ერთ “ორგანულ მთლიანობას” შეადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ აზროვნება არ არსებობს ენისა თუ მეტყველების გარეშე, ჩვენ მსგავსად საპირისპირო დამოკიდებულებისა ამ ორ მოვლენას შორის, ასევე სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ ადამიანზე როგორც მოაზროვნე ადამიანზე : “ ვაზროვნებ, მაშასადამე, ვმეტყველებ” და არ არსებობს რაიმე ისეთი, რაც კი დაარღვევდა ამ უცილობელ კანონსაც.

ადამიანი თავისი არსებით მეტყველი არსებაა (“ჰომო ლოგუნს”). მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი მეტყველი არსებაა, იგი მოაზროვნე არსებაა (“ჰომო საპიენს”) და, პირიქით, მოაზროვნე არსებაა იმიტომ, რომ იგი ამავე დროს მეტყველი არსებაა.

ეს ორი რამ ერთი “ორგანული მთლიანობაა” . და, მართლაც, თუ ადამიანი მეტყველი არსებაა, მაშინ იგი აუცილებლად მოაზროვნე არსებაცაა და, პირიქით, თუ იგი მოაზროვნე არსებაა, მაშინ იგი აუცილებლად მეტყველი არსებაცაა.

ამ ერთიანობაში თუ მთლიანობაში იგი, ეს ადამიანი, უმჯობესი იქნებოდა განგვესაზღვრა არა ცალ-ცალკე როგორც მეტყველი ანდა მოაზროვნე არსება, არამედ ერთად - როგორც მეტყველი - მოაზროვნე ანდა, პირიქით, მოაზროვნე-მეტყველი არსება.

მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანის ამ ორ აუცილებელ მხარეს შორის თავისი მნიშვნელობით მაინც აზრობლივ მხარეს ვანიჭებთ მთავარ მნიშვნელობას და არა ენობრივს, ამიტომ საბოლოოდ ამ კონტექსტით ადამიანი ერთიანად შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოაზროვნე-მეტყველი არსება.

მეტყველებისა და აზროვნების ერთიანობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვერბალურ კომუნიკაციაში. ამ ერთიანობას გადამწყვეტი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მასში, ვინაიდან რომ არა იგი, მაშინ არათუ ეფექტურად, არამედ საერთოდაც ვერ განხორციელდებოდა იგი. და, მართლაც, როგორ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ვერბალური კომუნიკაცია, თუ არ გვექნებოდა სიტყვა აზრის გადმოსაცემად და, პირიქით, აზრი სიტყვის გასაგებად? აზრი ხომ ერთმანეთს უნდა გადავცეთ გასაგები სიტყვებით. ამაშია სწორედ მთელი საიდუმლო, თუ ასე შეიძლება ითქვას, ვერბალური კომუნიკაციისა, მთელი მისი მექანიზმი (მოწყობა).

აზრს სიტყვების გარეშე ვერ გადავცემთ ერთმანეთს, ხოლო სიტყვებს აზრის გარეშე ვერ გავიგებთ. ამაში იმდენად ღრმა აზრია ჩადებული, რომ ჩვენ სრულის უფლებით შეგვიძლია ვთქვათ : ვერბალური კომუნიკაციის ფენომენი (მოვლენა) მასში აზროვნებისა და მეტყველების ამბავში ღრმად საკრალური (წმიდათაწმიდა, საიდუმლო) რამაა.

ასე რომ, ყოველ სიტყვას თავისი აზრი აქვს, მასში თავისი საიდუმლოა, ხოლო ყოველ აზრს - თავისი სიტყვა, მასშიაც თავისი საიდუმლოა. და თუ რამ არის სასწაული ამქვეყნად იმ ურიცხვ სასწაულთა შორის, რაც ღმერთმა ადამიანს მოანიჭა, ერთ-ერთი მათგანიც სწორედ ეს მოვლენაა - ადამიანის ვითარცა მოაზროვნე-მეტყველი არსების ფენომენი.

სწორედ რომ აზრისა და სიტყვის, აზროვნებისა და მეტყველების მეშვეობით შედიან ადამიანები ერთმანეთთან ვერბალურ კომუნიკაციაში და სწორედ ეს ერთიანობა ხდის მათ უნიკალურ არსებად ამ ქვეყანაზე- ესაა ადამიანი როგორც ვერბალურ-კომუნიკაციური არსება. რომ არა ეს საკრალური უნარები, აზროვნების უნარი, ერთის მხრივ, და მეტყველების უნარი, მეორეს მხრივ, მაშინ ვერბალური კომუნიკაცია, მართლაც, როგორღა შესდგებოდა საერთოდ?

ამიტომ ეს ორი რამ გარემოება ვერბალური კომუნიკაციის როგორც ასეთის აუცილებელი ფაქტორებია (პირობებია). სწორედ ამ ორ საყრდენზე დგას თავად ადამიანის ვერბალური კომუნიკაციის ფუნდამენტური (საფუძველმდებელი) უნარიც.

ენა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძველი

იმისათვის, რომ ვერბალური კომუნიკაცია განხორციელდეს, აუცილებელია ენის არსებობა. ვერბალური კომუნიკაცია ხომ სიტყვიერი ურთიერთობაა, ე.ი. სიტყვებით ურთიერთობაა ადამიანთა შორის. ხოლო სიტყვები მათ ურთიერთკავშირში სწორედ ენაა. ენა ამ მხრივ სიტყვების ერთიანობაა, მათი სისტემაა (მოწესრიგებული მთლიანობა). სიტყვაც, თავის მხრივ, არ არსებობს ენის, როგორც მთელის გარეშე. სიტყვები ენაში მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ და არა სხვაგვარად.

ასე რომ, ენა როგორც სიტყვათა ერთიანობა საფუძველია, საძირკველია, ფუნდამენტია ვერბალური კომუნიკაციისა. იგი პირველადი, ამოსავალი, ძირეული საფუძველია მისი. ამ აზრით ვერბალური კომუნიკაციაც სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ენობრივი კომუნიკაცია, ანუ ლინგვური

კომუნიკაცია, მოკლედ, ლინგვოკომუნიკაცია. ხოლო ამ ვერბალური კომუნიკაციის ენა კი, თავის მხრივ, ერთეულ სიტყვათაგან შემდგარი, უფრო სწორად, მისი შემადგენელი ნაწილების, ანუ სიტყვების ერთი მთლიანობაა, ანუ უკვე ენაა როგორც მთელი.

ენისა და სიტყვის ურთიერთდამოკიდებულება ფილოსოფიურად მთელისა და ნაწილის ურთიერთდამოკიდებულებასა ჰგავს.

ისევე, როგორც მთელი შედგება ნაწილებისაგან, ხოლო ნაწილები ჰქმნიან მთელს, ასევე ენა როგორც მთელი შესდგება სიტყვებისაგან, ხოლო სიტყვები როგორც ნაწილები ჰქმნიან ენას როგორც მთელს. ისევე, როგორც, ზოგადად, მთელი არ არსებობს ნაწილების გარეშე და ნაწილები მთელის გარეშე, ასევე ენა, როგორც მთელი არ არსებობს სიტყვების როგორც ნაწილების გარეშე, ხოლო სიტყვები როგორც ნაწილები – ენის როგორც მთელის გარეშე.

მაგრამ ენის როგორც მთელისა და სიტყვების როგორც ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებაში მთავარი, განმსაზღვრელი მხარე მაინც ენა, ანუ მთელია. ესეც გამომდინარეობს მთელისა და ნაწილების საერთო ფილოსოფიური მოძღვრებიდან, ვინაიდან ამ მოძღვრების თანახმად, სწორედ მთელია განმსაზღვრელი და ამდენად მთავარი მხარე მოვლენისა, ვიდრე მისი ნაწილები. ნაწილთა ბუნებას მაინც მთელი განსაზღვრავს. ამიტომ ენაც როგორც სიტყვათა ურთიერთკავშირი, ანუ მათი ერთიანობა, ანუ რაც იგივეა, მათი მთლიანობა განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვების “ზედ-იღბალს”. და მართლაც, ხომ ცნობილია, რომ ყოველ სიტყვას თავისი ნამდვილი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ე.წ. კონტექსტში, ანუ ტექსტურ მთლიანობაში, რის გამოც სხვადასხვა კონტექსტში ერთმა და იმავე სიტყვამ შეიძლება სხვადასხვა ელფერი ჰპოვოს.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ენას როგორც მთელს უპირატესობა ენიჭება სიტყვების როგორც მისი ელემენტების წინაშე, გამომდინარეობს ის ფუნდამენტური დებულება, რომ ვერბალური კომუნიკაციის უშუალო საფუძველი მისი ენაა როგორც მთელი და არა მისი სიტყვები, როგორც ელემენტები.

მთელი, მართლაცდა, უფრო მეტია ნაწილებზე, ამიტომ ვერბალური კომუნიკაცია უბრალოდ როდი დაიყვანება სიტყვებზე, არამედ იგი მეტია ამ სიტყვების ჯამზე და სინამდვილეში წარმოადგენს ე.წ. “დიალექტიკურ” ანუ “ორგანულ” მთელს.

ასე რომ, ვერბალურ კომუნიკაციას არსებითად ჰქმნის არა სიტყვების ჯამი, არამედ სიტყვების ერთიანობა. უფრო მეტიც, ეს ერთიანობაც

ორგანიზებული (მოწესრიგებული) უნდა იყოს, თორემ სხვაგვარად იგი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს. ეს დანიშნულებაც სხვა არაფერია, თუ არა სწორედ კომუნიკაციის (ურთიერთობის) დამყარება ადამიანთა შორის.

ამრიგად, ენა ვერბალური კომუნიკაციის ერთადერთი ჭეშმარიტი საფუძველია. ესაა მისი დანიშნულებაც. ენის გარეშე ვერავითარი ვერბალური კომუნიკაცია ვერ განხორციელდება. სხვაგვარად უაზრობა გვეჩვენოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, “ვერბალური” და “ლინგვური” კომუნიკაციების ტერმინები ერთმანეთს დაემთხვევა. და, მართლაც, თუ ვერბალური კომუნიკაცია თავისი არსებით არა საკუთრივ ვერბალურია, არამედ სწორედ ლინგვური, მას – ამ ვერბალურ კომუნიკაციას სინამდვილეში, უფრო ზუსტად “ლინგვოკომუნიკაცია” უნდა ერქვას და არა “ვერბალური კომუნიკაცია”.

მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ვერბალური კომუნიკაციის ენა მაინც სიტყვებისაგან შედგება, მისი ამგვარი – სიტყვით-ელემენტური აგებულებისა გამო მას ჩვენ მაინც ვერბალურ და არა ლინგვურ კომუნიკაციას ვეძახით. ხოლო ამ შემთხვევაში ჩვენ წინა პლანზე წამოწეული გვაქვს სიტყვები სწორედ როგორც ენის ელემენტები, უფრო სწორად, ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ მაინც “ლინგვურს”, ოღონდ “ვერბალურის” განასერით.

ენა ადამიანური კულტურის საოცარი ფენომენია. ენას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში, რომ მის გარეშე წარმოუდგენელიც კია იგი. ენა, მართლაც, ერთგვარი “სახლია” ადამიანური ცხოვრებისა. ადამიანი სწორედ ენის მეშვეობით “ზის სახლში”, მის გარეშე იგი, მართლაც, “შინ” კი არა, “გარეთაა”. იგულისხმება “სახლში” და “სახლგარეთ”. ამიტომაც ამბობდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერიც: “ენა ყოფიერების სახლიაო” [1].

ენა და ადამიანი ერთი ხნისაა. ასე იყო, ასე არის და ასეც იქნება. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ენა ადამიანის გარეშე არ არსებობს, ისევე როგორც ადამიანი არ არსებობს ენის გარეშე. ენა ადამიანური ცხოვრების “გამჭოლი”, აუცილებელი, უფრო სწორად, მისი “მოუცილებელი” მხარეა. რა თქმა უნდა, იგულისხმება ადამიანური ენა, ვინაიდან უფრო ფართო გაგებით ენა მხოლოდ ადამიანს როდი გააჩნია, არამედ ღმერთსაც და ანგელოზებსაც, კიდევ უფრო ფართო გაგებით – ცხოველებსაც, ხოლო კიდევ უფრო ფართო გაგებით – მცენარეებსაც და მინერალებსაც.

მაგრამ ვიმეორებთ, როცა ჩვენ ვერბალურ კომუნიკაციაზე ვლაპარაკობთ, მას საკუთრივი, ადამიანურ-ვერბალური კომუნიკაციის

მნიშვნელობით ვგულისხმობთ, ვინაიდან ეს ვერბალური კომუნიკაცია სწორედ ადამიანის მიერ წარმოებულ სიტყვიერ ურთიერთობას ეხება. მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში “ვერბალური კომუნიკაცია” სწორედ ადამიანის მიერ ვერბალურ კომუნიკაციას გულისხმობს და სხვას არაფერს.

ენაზე მსჯელობისას აუცილებელია შევხებით მეტყველების საკითხსაც, ვინაიდან ზოგჯერ მათ აიგივებენ და ზოგჯერ კი განასხვავებენ ერთმანეთისაგან. ენა და მეტყველება, მართლაც, ზოგჯერ ერთნაირი აზრით იხმარება და ზოგჯერ კი - სხვადასხვა მნიშვნელობით.

ენა და მეტყველება თავ-თავისი უფართოესი გაგებით ერთმანეთს ემთხვევა. ხოლო ეს ასე რომაა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მეტყველებაში ფართო გაგებით ჩვეულებრივ ორ მხარეს გამოყოფენ ხოლმე. ესენია ე.წ. გარეგანი და შინაგანი მეტყველება. და თუ ენასაც მისი ფართო გაგებით გავიგებთ როგორც შინაგანსა და გარეგან ენას, მაშინ ამ შემთხვევაში იგი, მართლაც, მეტყველების ცნებას გაუიგივდება.

ასე რომ, ამგვარი გაგება ენისა, როგორც მეტყველების იგივეობრივი მოვლენისა გარკვეული აზრით მისაღებია. მით უმეტეს, რომ ენას, მართლაც, ისევე როგორც მეტყველებას არა მხოლოდ შინაგანი, არამედ გარეგანი გამოვლენაც გააჩნია, და რაც არ უნდა დავარქვათ მას, იგიც ხომ ენა იქნება, ოღონდ მის გარეგნულ ნაწილში. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, თორემ გამოვა ისე, რომ ენას თავისი იდეალური მხარე აქვს, მაგრამ რეალური მხარე კი -- არა, შინაგანი მხარე კი აქვს, მაგრამ გარეგანი მხარე – არა. ეს ხომ ცალმხრივი, შეზღუდული გაგება იქნებოდა ენისა და, მაშასადამე, არასწორი.

ამიტომაც ენისა და მეტყველების იგივეობის თეზა არა მარტო მისაღებია, არამედ სავალდებულოც კია იგი. ამ შემთხვევაში ენასა და მეტყველებას ამჯერად იგივეობრივი მნიშვნელობით განვიხილავთ.

მაგრამ სხვა ამბავია, როცა ენას და მეტყველებას თავ-თავისი ვიწრო მნიშვნელობით მოვიხმართ, რაც გარკვეული პირობით მისაღებიცაა. ამ შემთხვევაში მათი მნიშვნელობანი იდენტურიდან (იგივეობრივიდან) კონტრადიქტურად (საპირისპიროდ) გადაიქცევა. და მეცნიერებაში ცნობილია ამგვარი მიდგომა. ასეთ შემთხვევაში ენა, კერძოდ, გაგებულია როგორც სიტყვიერი მოვლენის სწორედ შინაგანი მხარე, მეტყველება კი მისი, როგორც გარეგანი მხარე. პირველი ამ შემთხვევაში მიჩნეულია მის იდეალურ მხარედ, მაშინ როდესაც მეორე – მის მატერიალურ მხარედ. ამ შემთხვევაში ენა იქნება მეტყველების იდეალური საფუძველი, ხოლო მეტყველება – მისი მატერიალური გარსი. და თუ ჩვენც შევთანხმდებით ამგვარ გაგებაში, მაშინ ამით არსებითად არც არაფერი დაშავდება. მთავარია

შეთანხმების შემდეგ სწორად გავარკვიოთ ორივე მათგანის ბუნება, რათა ამით შევიძუშავოთ ჩვენთვის სასარგებლო ცოდნა ვერბალური კომუნიკაციის სწორედ საძიებელ საფუძველზე.

ჩვენ ენისა და მეტყველების ამგვარ გაგებასაც ვღებულობთ აღნიშნული პირობით.

ასე რომ, ენისა და მეტყველების როგორც პირველი – იგივეობრივი, ისე მეორე – არაიგივეობრივი, ურთიერთსაპირისპირო გაგებანი ერთმანეთს როდი ეწინააღმდეგება, არამედ ორივე თავ-თავის ადგილზე მისაღება. მითუმეტეს, თუ მივხვდებით იმას, რომ პირველი გაგება სინამდვილეში მოიცავს მეორე გაგებას, და ერთი როდი ეწინააღმდეგება მეორეს.

ენის ცნების დეფინიციისათვის (განსაზღვრებისათვის) ლოგიკურად (ლოგიკის მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად) საჭიროა მისი ისეთი არსებითი ნიშნების გამოყოფა, როგორებიცაა: 1) ენა როგორც “აზრთა აღნიშვნის საშუალება”, 2) ენა როგორც “აზრთა გამოხატვის საშუალება” და 3) ენა როგორც “აზრთა ურთიერთგაგებინების საშუალება”.

ეს არის სამი აუცილებელი და საკმარისი პირობა ენის ცნების განსაზღვრებისათვის.

ენა, უპირველეს ყოვლისა, არის გარკვეული საგანგებო (სპეციალური) ნიშნების მოწესრიგებული მთლიანობა (სისტემა), რომელიც, ჯერ ერთი, აღნიშნავს აზრით გამოხატულ ცნებებს, მეორეც, - ამ აზრებით გამოხატავს მათ და, მესამეც, ემსახურება ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას.

სამივე ეს ნიშანი საფუძვლად უდევს ენის ეგრეთ წოდებულ სამ ძირითად ფუნქციას. ენის სამი ძირითადი ფუნქცია (დანაშნულება კი არის: 1) სიგნიფიკაციის, 2) ექსპრესიის, 3) კომუნიკაციის ფუნქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დაყოფით ენა ასრულებს აზრთა 1) აღნიშვნის (სიგნიფიკაციის), 2) გამოხატვის (ექსპრესიის), 3) ურთიერთგაგებინების (კომუნიკაციის) საშუალების ფუნქციას (დანაშნულებას).

ეს სამი ფუნქცია ენისა არის მისი ყველაზე არსებითი ფუნქცია, რომელთა გარეშეც ენა როგორც ასეთი დაკარგავდა თავის არსებას.

ამასთან დაკავშირებით სულ სხვაა ის ვითარება, როდესაც გამოყოფენ ხოლმე ენის კიდევ მრავალ სხვადასხვა ფუნქციას, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის ნათქვამთან, ვინაიდან ყველა ნებისმიერი ფუნქცია ენისა, თუ ის მართლაც სწორედ ენის ფუნქციაა, ლოგიკურად აუცილებლად უნდა ჯდებოდეს ამ არსებით ტრიადაში (სამეზაში) ფუნქციებისა.

მაშასადამე, ენის ფუნქციური (დანაშნულებითი) ანალიზიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია მოკლედ ასედაც განვსაზღვროთ ენის ცნება:

ენა ესაა აზრთა აღნიშვნის, გამოხატვისა და —ურთიერთგაგებინების საშუალება.

მაგრამ, თუ ჩვენ დავუკვირდებით, ამ სამი ფუნქციიდან ყველაზე მთავარი მაინც ეგრეთწოდებული კომუნიკაციის ფუნქცია იქნება, ვინაიდან პირველი ორი მათგანი სწორედ მესამეს ემსახურება. და, მართლაც, ადამიანს აზრთა გამოხატვა ცნებებში და მათი აღნიშვნა სიტყვებში სწორედ იმისათვის სჭირდება, რომ ამის საშუალებით სწორედ ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას მიაღწიოს და სწორედ ამ გარემოებისა გამო ენის ცნების ყველაზე ლაკონური (მოკლე) და ზუსტი განმარტებაც შემდეგი იქნება: ენა ადამიანთა შორის ურთიერთგაგების საშუალებაა. ასედაც განმარტავენ მას ხშირად ჩვეულებრივ.

ენის როგორც “გარკვეულ ნიშანთა ერთობლიობასთან” დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ ის, რომ ეს ნიშნები ჩვეულებრივ ფიზიკური ხასიათისაა. კერძოდ, იგი გულისხმობს ისეთ ფიზიკურ ჩვეულებრივ ნიშნებს, როგორებიცაა “ბგერა”, ანდა “ასო”.

მაგრამ თუ ენას მისი უფართოესი გაგებით გავიგებთ, მაშინ ეს ნიშნები მაინცდამაინც ფიზიკური ხასიათისა როდი იქნება, არამედ ეს ბგერები და ასოები ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სულიერ ასპექტშიაც (განასერშიაც) აზროვნების პროცესში.

ასე რომ, ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა გვეთქვა, რომ ენა არა მაინცდამაინც ფიზიკურ ნიშანთა სისტემაა, არამედ მეტაფიზიკურ ნიშანთა სისტემაც. უფრო სწორად, იგი ეს ნიშნები ორივე მათგანი იქნება – კერძოდ, შინაგანი მეტყველებისას – მეტაფიზიკური, გარეგანი მეტყველებისას კი – ფიზიკური. მაშასადამე, ბგერაცა და ასოც, რომელთაგან ერთი წარმოითქმება, მეორე კი იწერება, როგორც იდეალური (სულიერი), ისე მატერიალური (ხორციელი) მოვლენის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ენის საკითხებზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ენა ესაა “გასაოცარი” ფენომენი თავისი განვრცობითაც, კერძოდ, იმ მხრივ, რომ ენა მარტო ადამიანთა სფეროზე კი არ ვრცელდება, არამედ ანგელოზთა სფეროზეც, მით უმეტეს, ღმრთის სფეროზეც. ენა ამ მხრივ “გონიერ” არსებათა კუთვნილებაა საერთოდ. ამასთან, ეს ენები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვეულებრივ ენაში ჩვენ გვესმის მაინც და მაინც ადამიანის ენა, მაგრამ უფართოესი და უსაკრალურესი (წმიდათაწმიდა) მნიშვნელობით იგი, რა თქმა უნდა, უფრო ვრცელია. უფრო მეტიც, უმაღლესი შემეცნებით თავისი ენა ცხოველებსაც და მცენარეებსაც კი გააჩნიათ და, უფრო მეტიც, ყოველივეს მინერალურ სამყაროშიაც. ქვასაც და

ლითონსაც კი რაღაც თავისებური ენა გააჩნიათ, ოღონდ, რაოდენ მიუწვდომელია იგი ჩვენთვის. ასეა ეს ყოველ შემთხვევაში.

მაგრამ ჩვენ ენაში მაინც ადამიანის ენას ვგულისხმობთ ჩვეულებრივ და არა სხვა ენას, რაც ჩვენი შემეცნების ერთგვარი ადამიანური შეზღუდულობის ბრალია. თორემ ენა თავის მხრივ იმდენად უნივერსალური (ყოველსმომცველი) ფენომენია (მოვლენაა), რომ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი ენას საერთოდ „ყოფიერების“ [1] სახლადაც კი მიიჩნევდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა ეს ყოველგვარი არსებულის შინაობაა, მისი, თუ ასე შეიძლება ითქვას, შინყოფნაა, როცა ყოველივე სწორედ ამ ენის მეშვეობით თავ-თავის „სახლში ზის“ და მის გარეშე, მაშასადამე, „სახლს“ გარეთ – არაბუნებრივ სტიქიაში აღმოჩნდება. ენა, მაშასადამე, ეს ყოველგვარი არსის რაღაც ფუნდამენტური სტიქიაა. მთავარია მხოლოდ მისი გაგება. ასეთია ენის უნივერსალური ფენომენი.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მაინც ადამიანის ენაზე ვიმსჯელოთ.

ადამიანს შეუძლია თავისი ენით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი (მიუხედავად ამ, თუ ასე შეიძლება ითქვას, თავისებური შეზღუდულობისა), ნებისმიერ არსს მიმართოს, დაწყებული სულ მცირეთი და დამთავრებული ყველაზე დიდით (ეს კი უფალია).

ადამიანის ენა უშუალო კავშირშია მის აზროვნებასთან. ადამიანის ენა მისი სწორედ როგორც მოაზროვნე არსების, როგორც გონიერი არსების ენაა. ენა და აზროვნება ამ მხრივ იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ ფილოსოფიაში ენისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხი ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თემაა. ეს მნიშვნელობა კი ენისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულების კერძოდ გამოიხატება იმით, რომ “ენა თავად აზრის უშუალო სინამდვილეა” [2] (მარქსი), რომ არ არსებობს აზროვნება უშუალოდ ენობრივი სინამდვილის გარეთ და მის გარეშე და რომ აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ენით აზროვნება.

აქედან გამომდინარე, ფილოსოფიაში, კერძოდ, ლინგვისტურ ფილოსოფიაში, ასევე სოციოლოგიაში, კერძოდ, ლინგვისტურ სოციოლოგიაში ენისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხში ფუნდამენტური (საფუძველმდებელი) თეზაა (დებულებაა) დებულება სწორედ მათი ურთიერთკავშირის შესახებ, იმის შესახებ, რომ ენა არ არსებობს აზროვნებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე და აზროვნებაც – ენასთან მჭიდრო კავშირის გარეშე და აქედან გამომდინარე, რომ აზროვნება ეს ადამიანის ფუნდამენტური თვისებაა, გამომდინარე აქედანვე კი, რომ ენაც ლოგიკურად ფუნდამენტური თვისებაა ადამიანისა.

ადამიანის ენა შეიძლება იყოს ორგვარი: ერთი ბუნებრივი, მეორე – ხელოვნური; ერთია ის ენა, რომელიც ადამიანს მიეცა თავისთავად მისი სოციალური ცხოვრების პირობებით, მეორე კი – ადამიანის მიერ რაიმე მიზნით საგანგებოდ შექმნილი ენა და რაოდენ “ხელოვნურიც” არ უნდა იყოს ესა თუ ის ენა, იგიც, ისევე როგორც ბუნებრივი ენა, მაინც ადამიანის ენაა. ვინაიდან იგიც მის მიერაა შექმნილი და მისთვისაა შექმნილი, ორივე ენა ისევ და ისევ ერთ მიზანს ემსახურება, ესაა ვერბალური კომუნიკაცია.

ენა სოციალური მოლენაა, ეს არის სოციოლოგიის კერძოდ, ლინგვისტური სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა ადამიანთა შორის სწორედ კომუნიკაციის (ურთიერთობის) საშუალებაა. უფრო მეტიც, იგი უკვე თავისი შინაგანი ბუნებითაა ასეთი, ვინაიდან თითოეული ადამიანი უკვე თავისი ბუნებით სოციალურია, თუ ის, მართლაც, ადამიანია.

ადამიანი, თუ ასე შეიძლება ითქვას, უკვე თავისი დაბადებით “განწირულია” იყოს სოციალური არსება, ე.ი. მოწოდებულია საურთიერთობოდ. ეს ურთიერთობა კი ენის გარეშე შეუძლებელია, ამიტომაც ენა ღრმად სოციალური, ე.წ. სოციალური კომუნიკაციისათვის მოწოდებული მოვლენაა. ენა სოციალური ურთიერთობის ორგანული (მოუცილებელი) საშუალებაა, მისი აუცილებელი იარაღია (ინსტრუმენტი). ენის გარეშე საზოგადოება ვერც იარსებებდა, ვინაიდან ადამიანები კონტაქტს სხვაგვარად ვერც დაამყარებდნენ. ამიტომაც ენის სიკვდილი საზოგადოების სიკვდილს მოასწავებს. ენა ამ მხრივ იმდენად ძვირფასი რამ არის და მშობლიური ადამიანისათვის, რომ მის გარეშე წარმოუდგენელიც კია ადამიანის ცხოვრება, რის გამოც მას უდიდესი გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ენა კაცობრიობის მარადიული თანამდევია მოვლენაა, იგი არსებობს კაცობრიობის არსებობის ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერი სოციალური ფენომენი ენაც მუდამ იცვლება. კაცობრიობას თავიდან, როგორც ამას ბიბლია მოგვითხრობს, ერთი ერთიანი საყოველთაო ენა ჰქონია, მაგრამ შემდგომში ამ ენის დაყოფა მომხდარა და ამჟამად მსოფლიოში ენების (რა თქმა უნდა, ბუნებრივის) რაოდენობა ათასობითაა. ყველა ეს ენა, რა ზომისაც არ უნდა იყოს ისინი, ემსახურება სოციალური კომუნიკაციის უმაღლეს მიზანს.

არსებობს სხვადასხვა ენა იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით (საფუძველზე) დავყოფთ მათ. ასე, მაგალითად, არსებობს ე.წ. ნაციონალური (ეროვნული) ენები და ინტერნაციონალური (ეროვნებათაშორისი) ენებიც.

სხვა სიტყვებით, საერთაშორისო ენები ეროვნულ ენათა შიგნით კიდევ გამოიყოფა, თუ ასე შეიძლება ითქვას, “ტომობრივი”, ანუ, სხვაგვარად, კუთხური ენებიც. არსებობს აგრეთვე ე.წ. სალიტერატურო და არასალიტერატურო, სახელმწიფო და არასახელმწიფო, საგარეო და საშინაო ენები და ა.შ. და ა.შ. ყოველი მათგანი თავ-თავისი კუთხით, მაგრამ მაინც ემსახურება სოციალური კომუნიკაციის მიზანს.

ყოველგვარი ენა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ვერბალური კომუნიკაციის განსხვავებული საშუალება იქნება და ამდენად ყოველი მათგანი საჭირო და სასარგებლო სახე იქნება ვერბალური, და, მაშასადამე, სოციალური კომუნიკაციისა, თუ იგი, რა თქმა უნდა, მართლაც, არანორმალური (არაწესიერი) სახე არ იქნება ვერბალური კომუნიკაციისა. იგულისხმება, დავუშვათ, ე.წ. „ჟარგონის ენა“, რომელიც სოციალური ღირებულების პლანში დაგმოიბლია საზოგადოების მიერ. ასე რომ, ენაც არის და ენაც ენა, თუ იგი ემსახურება ვერბალურ კომუნიკაციას ნორმალურად, რა თქმა უნდა, მისაღებია და თუ არა – მიუღებელი. ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სახე თავისი ენით, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივი პროგრესის (წინსვლის) საქმეს და ჰარმონია (თანხმობა) შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში, მისაღებია ვერბალური კომუნიკაციის ენათა მისაღებობა მიუღებლობის კრიტერიუმად (საზომად) აქ, მართლაც, საზოგადოებრივი პროგრესის მიმართ მისი დამოკიდებულება გამოდის. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ის, რაც ხელს უშლის საზოგადოების ჰარმონიას, მიუღებელია, ხოლო რაც ხელს უწყობს, - პირიქით, მისაღები. საერთოდაც, ვერბალური კომუნიკაციის ნორმალურობა არანორმალურობის კრიტერიუმი მისი საზოგადოებრივი პროგრესის მიმართ ნორმალურობა არანორმალურობა უნდა იყოს.

ვერბალური კომუნიკაციის მსოფლიო მასშტაბით (ფარგლებში) პერსპექტივის საკითხში ძალიან აქტუალურია (სადღეისოა, საჭირობოროტოა) ე.წ. “ერთიანი”, “გლობალური” ენის საკითხი.

ერთიანი მსოფლიო ენის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი, მართლაც, ეხება მთელი კაცობრიობის ვერბალურ კომუნიკაციას, მის ბედ-იღბალს, ვინაიდან თუ ვერბალური კომუნიკაციის პრობლემა (გასაჭირო) მსოფლიო მასშტაბით წარმატებით გადაიჭრა, ამით განა საზოგადოებრივი პროგრესის (წინსვლის) პრობლემაც ძალუმად არ გადაიჭრებოდა? ეს საკითხი მართლაც დიდი ხანია “აწვალებს” მთელ კაცობრიობას. ე.წ. “ენობრივი ბარიერები”, ანუ ენობრივი ზღუდეები, რაც აღმართულია კაცობრიობის სხვადასხვა მოდგმას შორის, რა თქმა უნდა, გარკვეულ

სიძნელეებს უქმნის კაცობრიობის წესიერ აღმასვლას სიკეთის გზაზე. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის გადაჭრა.

ამასთან დაკავშირებით კი არსებობს ორი სხვადასხვა დამოკიდებულება (პოზიცია) ე.წ. ერთიანი გლობალური (მსოფლიო) ენის საკითხის მიმართ. კერძოდ, ზოგი ფიქრობს, რომ ეს ენა უნდა იყოს ბუნებრივი, ზოგი კი იმას, რომ იგი უნდა იყოს ხელოვნური. იმათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ ეს უნდა იყოს ბუნებრივი, ასევე ორი საწინააღმდეგო აზრია: ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ერთიანი მსოფლიო ენა უნდა იყოს დედამიწაზე ერთადერთი, ხოლო მეორენი ფიქრობენ, რომ ეს ერთიანი ენა მსოფლიოს ყველა ენასთან ერთად უნდა დარჩეს, მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანი მსოფლიო ენათაგან უნდა შეირჩეს საყოველთაო სარგებლობისათვის.

გლობალური ვერბალური კომუნიკაციის (მსოფლიო სიტყვიერი ურთიერთობის) კონტექსტით ერთიანი მსოფლიო (გლობალური) ენის საკითხში ჩვენი პოზიცია ასეთია: გლობალური ენა (ლინგვა) ერთობ საჭირო და საშური საქმეა და, მითუმეტეს, ამჟამად, სწორედ ე.წ. გლობალიზაციის (გამსოფლიურების) ეპოქაში (დროში), როდესაც, მართლაც, იქმნება ერთიანი ინტეგრირებული (გამთლიანებული) მსოფლიო, მსოფლიო გაერთიანებას ანუ გლობალიზაციას, აბა, მართლაც, რა უნდა სჯობდეს, განა ეს გლობალიზაცია კაცობრიობის სანუკვარი ოცნება არ არის?

მაგრამ გლობალიზაციაც არის და გლობალიზაციაც. ჩვენ ყოველგვარი გლობალიზაციის მომხრენი როდი უნდა ვიყოთ. გლობალიზაცია, თუ იგი გამოიწვევს მსოფლიო ერთეულთა შორის განსხვავების (რა თქმა უნდა, ნორმალური მათგანის) წაშლას, ასეთი გლობალიზაცია ჩვენთვის მიუღებელი იქნება.

იგივე ითქმის ენის საკითხში გლობალიზაციის საკითხის მიმართ. ჩვენ ერთიანი, მსოფლიო (გლობალური) ენა კაცობრიობის სარგებლობისთვის საჭიროდ კი მიგვაჩნია, მაგრამ ამან როდი უნდა გამორიცხოს ეროვნული და (მათ შორის ტომობრივი) ბუნებრივი ენების წაშლა, ვინაიდან ესა თუ ის ბუნებრივი ენა, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც ემსახურება გლობალური კომუნიკაციის ღვთაებრივ, ნორმალურ საქმეს. ეროვნული და საერთაშორისო ენები ერთმანეთს როდი უპირისპირდებიან. პირიქით, ისინი ხელს აძლევენ ერთმანეთს, რაც შეეხება ერთიან მსოფლიო ენას, ასეთი რამ ფრიად სასარგებლოა, მაგრამ იგი ნებაყოფლობით უნდა იქნას აღიარებული მსოფლიოს ხალხთა მიერ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მან ჰპოვოს სწორედ მსოფლიო ენის ნამდვილად ჭეშმარიტი სტატუსი (მდგომარეობა).

ერთიანი_მსოფლიო_ენა_მთელი_მსოფლიოს_ყველა_ენასთან_ერთად_–_აი,
რა_უნდა_იყოს_ჩვენი_უმაღლესი_საკაცობრიო_ენობრივი_იდეალი.

სიტყვა (ვერბი) როგორც ვერბალური კომუნიკაციის პირველადი საფუძველი

სიტყვა ანუ “ვერბი” (ლათ. “ვერბუმ” - “სიტყვა”) ვერბალური კომუნიკაციის პირველსაფუძველია, მისი საფუძველთ-საფუძველია. პირველსაფუძველია. საფუძველთ-საფუძველია იგი იმდენად, რამდენადაც იგი პირველადი უჯრედია, განუყოფელი ნაწილია მისი, რომლის იქითაც სიტყვა როგორც ასეთი სწყვეტს თავის არსებობას ანუ ჰკარგავს თავის თვისობრიობას. და, მართლაც, ვერბალური კომუნიკაციაც ხომ ვერბალურია (ლათ. “ვერბალის” - “სიტყვიერი”), სიტყვიერია, სიტყვების მეშვეობით კომუნიკაციაა სწორედ იმის გამო, რომ მისი “სამშენებლო აგურები” სწორედ სიტყვებია და არა სხვა რაიმე. ხოლო საფუძველთა-საფუძველია იგი იმდენად, რამდენადაც სიტყვა სწორედ პირველადი ელემენტია ენისა, მაშინ როდესაც ენა უკვე უშუალოდ ელემენტია ვერბალური კომუნიკაციისა.

გამოდის, რომ სიტყვა ენის უშუალო ელემენტია, მისი უშუალო საფუძველია, ხოლო ენა, თავის მხრივ, ვერბალური კომუნიკაციის უშუალო ელემენტი, მისი უშუალო საფუძველი. მაგრამ რადგანაც ენა ვერბალური კომუნიკაციის უშუალო საფუძველია, ხოლო სიტყვა, თავის მხრივ, - ენის [უშუალო] საფუძველი, ლოგიკურად სიტყვა ვერბალური კომუნიკაციის სწორედ საფუძველთ-საფუძველი იქნება.

სიტყვა მეტყველების როგორც ერთიანი მთელის რაღაც ნაწილია. სიტყვა ის “აგურია”, რომლის საფუძველზედაც აიგება მეტყველება. როგორც ვხედავთ, ფილოსოფიურად აქ გვაქვს ე.წ. მთელისა და ნაწილის დამოკიდებულება. ისევე, როგორც მთელი არ არსებობს ნაწილთა გარეშე და, პირიქით, ნაწილები – მთელის გარეშე, არც მეტყველება არსებობს სიტყვის გარეშე და, პირიქით, სიტყვები – მეტყველების გარეშე. ისინი ერთმანეთს აზრს ანიჭებენ და ერთიმეორის გარეშე ვერც წარმოიდგინებიან.

ასე რომ, სიტყვები ერთგვარ სამშენებლო მასალას ჰქმნიან მეტყველების ენის შენობისათვის. ამასთან, ეს მასალა ყველა ერთნაირი როდია, არამედ სხვადასხვა. სიტყვათა ეს მრავალგვაროვნება კი ჰქმნის სწორედ ენის

(მეტყველების) საოცარ მოზაიკას, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გადმოვცეთ თავად მთელი ყოფიერების საოცარი ნიუანსები.

სიტყვა ენის დამოუკიდებელი მნიშვნელობის ერთეულია, კერძოდ, მას საგნობრივი მნიშვნელობა გააჩნია, ე.ი. მისით რაიმე საგანი მოიაზრება და აღნიშნება.

სიტყვის მნიშვნელობა გულისხმობს მის თანაფარდობას (соотнесенность) რაიმე საგანთან. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან “ცარიელი სიტყვა”, რომელიც არაფერს არ მოიაზრებს და არაფერს არ აღნიშნავს, მართლაც რომ “ფუჭი სიტყვა” იქნება და დაკარგავდა თავის აზრს. სიტყვა საგნის გარეშე არარობაა, საგანი ანიჭებს მას აზრს, რა თქმა უნდა, იმ საგანს, რომელსაც აღნიშნავს სწორედ სიტყვა.

სიტყვას იმდენი სახე აქვს, რომ მათი ჩამოთვლაც კი ძნელია. თუმცა ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა სხვადასხვა კუთხით სხვადასხვანაირად შეიძლება დავეყთ. ასე რომ, სიტყვის კლასიფიკაცია მისი სხვადასხვა ასპექტით მრავალსახოვანია. გააჩნია, სიტყვის დაყოფას რა კუთხით მივუდგებით. ასე, მაგალითად, შემადგენლობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მარტივი და რთული სიტყვები, ანდა წარმოშობის მიხედვით – მშობლიური ან უცხოური სიტყვები და ა.შ და ა.შ.

სიტყვისა და საგნის დამოკიდებულება იმდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია სიტყვისათვის, რომ ყოველ საგანს თავისი სიტყვა უნდა შეესაბამებოდეს. მართალია, არსებობს მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებიც და ერთმნიშვნელოვანნიც, მაგრამ ერთი და იმავე სიტყვის მრავალმნიშვნელოვანების შემთხვევაშიაც ამ სიტყვას ამა თუ იმ მნიშვნელობის შესაბამისად თავისი მკაფიო სახე უნდა მიენიჭოს. ამაზედ იტყვიან ხოლმე: ყოველ საგანს თავისი სახელი უნდა დაერქვასო. და, მართლაც, ყოველ სიტყვას თავისი საგანი უნდა შეესაბამებოდეს, უფრო სწორად. ყოველ საგანს თავისი სახელი უნდა ერქვას და ვერბალურ კომუნიკაციაში ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სიტყვის არასწორმა მნიშვნელობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მას, ამას ხომ გაუგებრობა მოჰყვება?

სიტყვის სიზუსტეს, მის სისწორეს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ვერბალურ კომუნიკაციაში, რომ იგი ეფექტური (ნაყოფიერი) ვერბალური კომუნიკაციის აუცილებელი ფაქტორია (პირობაა).

ამასთან დაკავშირებით კი აღსანიშნავია დიდი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცის აზრი იმის თაობაზე, თუ რითი დაიწყებდა იგი სახელმწიფოს მართვას შესაბამის შემთხვევაში, რაზედაც მას უპასუხნია – სახელების

გამართვითაო, ე.ი. ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვასო. მაშასადამე, ყოველი სიტყვა თავისი სწორი, ზუსტი მნიშვნელობით უნდა მოიხმარებოდესო.

სიტყვის სისწორესთან, მის სიზუსტესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამას ხელს არ უშლის სიტყვის ე.წ. გადატანითი მნიშვნელობაც, ვინაიდან მთავარია ეს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში “გარკვეული” იყოს და ასეთ შემთხვევაში იგი მაინც შეასრულებს თავის საქმეს. ის კი არა და, საჭიროების ჟამს (გარკვეული მიზნით ასეცაა) სიტყვის სწორედ გადატანით მნიშვნელობასაც კი მივმართავთ, ნაცვლად მისი პირდაპირი მნიშვნელობისა. მაშასადამე, სიტყვის სიზუსტე თუ სისწორე “მექანიკურად” როდი უნდა გავიგოთ. პირიქით, მხატვრულ ლიტერატურაში, მაგალითად, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ეს მთელი ხელოვნებაა და მას დიდი ადგილი უჭირავს.

დამწერლობა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საშუალება

დამწერლობა არის ვერბალური კომუნიკაციის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება მეტყველების ფიქსაცია (ჩანიშვნა).

დამწერლობა ესაა ნიშანთა სისტემა, რომელიც საგანგებოდაა შერჩეული აზრის გადასაცემად. დამწერლობა მეტყველების მატერიალური ფიქსაციაა სპეციალურად ამისთვის აგებული ნიშნების მეშვეობით.

დამწერლობის პირველადი ელემენტია გრაფემა ანუ წერილობითი ნიშანი. სწორედ ამის გამო დამწერლობასაც შეიძლება მეტყველების გრაფიკული (წერითი) ფიქსაცია (ჩანიშვნა) ვუწოდოთ.

დამწერლობამ თავისი განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოიარა. კერძოდ, გამოყოფენ დამწერლობის განვითარების შემდეგ ეტაპებს: 1) საგნობრივი, 2) პიქტოგრაფიული, 3) იდეოგრაფიული და 4) ფონოგრაფიული დამწერლობანი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დამწერლობას ზოგჯერ ფართო, არასაკუთრივი და ვიწრო, საკუთრივი მნიშვნელობით ასხვავებენ.

ფართო გაგების შემთხვევაში დამწერლობაში გაჰყავთ ოთხივე სახე დამწერლობისა, ხოლო ვიწრო გაგების შემთხვევაში კი – მხოლოდ სამი მათგანი პირველის გარეშე.

და, მართლაც, ე.წ. საგნობრივი დამწერლობა საკუთრივი აზრით არც კი არის დამწერლობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში დამწერლობაში არ გამოიყენება ხელოვნურად შექმნილი გრაფემები, არამედ მის ნაცვლად მოიხმარება, მართალია, სპეციალურად შერჩეული, მაგრამ მაინც ნივთიერი და არა გრაფიკული (წერითი) საგნები.

ხოლო სხვა არის საკუთრივ დამწერლობა, რომელშიაც მოიხმარება სპეციალურად სწორედ ამისთვის მოგონილი გრაფიკული (წერითი) ნიშნები.

ასეთი რამ კი შეიძლება იყოს პიქტოგრამა – პიქტოგრაფიული დამწერლობის შემთხვევაში, ოდეოგრამა – ოდეოგრაფიული დამწერლობის შემთხვევაში და ფონოგრამა – ფონოგრაფიული დამწერლობის შემთხვევაში.

პიქტოგრამა არის ხატოვანი ნიშანი, იდეოგრამა – ცნებითი ნიშანი, ფონოგრამა – ბგერითი ნიშანი. პირველი აღნიშნავს ნახატს, მეორე – ცნებას, მესამე – ბგერას.

ასე რომ, პიქტოგრაფიული დამწერლობა არის ხატოვან ნიშანთა მეშვეობით დამწერლობა, იდეოგრაფიული დამწერლობა – ცნებით ნიშანთა მეშვეობით დამწერლობა, ხოლო ფონოგრაფიული დამწერლობა – ბგერით ნიშანთა მეშვეობით დამწერლობა; პირველი ნახატების მეშვეობით დამწერლობაა, მეორე – ცნებების მეშვეობით დამწერლობა, ხოლო მესამე – ბგერების მეშვეობით დამწერლობა.

პიქტოგრაფიული ანუ ნახატების მეშვეობით დამწერლობა დამწერლობის განვითარების პირველი, ყველაზე დაბალი საფეხურია, ვინაიდან ყოველი პიქტოგრამა მასში მთლიანად საგანს აღნიშნავს.

იდეოგრაფიული ანუ ცნებების (იდეების) მეშვეობით დამწერლობა დამწერლობის განვითარების მეორე, უფრო მაღალი საფეხურია, ვინაიდან ყოველი იდეოგრამა მასში აღნიშნავს საგნის ცნებას.

ხოლო ფონოგრაფიული დამწერლობა მისი განვითარების მესამე, ყველაზე მაღალი საფეხურია იმიტომ, რომ იგი მასში უკვე აღნიშნავს სიტყვის პირველად ერთეულს – ბგერას.

ფონოგრაფიულ დამწერლობას, სხვანაირად, ალფაბეტს ანუ ანბანს უწოდებენ. “ალფაბეტიცა” და “ანბანიც” – ორივე, მართლაც, ალფაბეტის ანუ ანბანის პირველი ორი ბგერის სახელწოდებათაგან მოდის, ერთ შემთხვევაში – ბერძნულად, მეორე შემთხვევაში – ქართულად.

პირველ ალფაბეტურ დამწერლობად ისტორიულად ჯერჯერობით ფინიკიურ დამწერლობას მიიჩნევენ.

ქართული ანბანიც ისტორიულად ძველია. და მის წარმოშობას ძვ. წ. აღ. საუკუნეებში ვარაუდობენ.

ცნობილია ქართული ანბანის ოთხი ისტორიული ტიპი: ასომთავრული, კუთხური, ნუსხური და მხედრული.

თანამედროვე მსოფლიოში ანბანის მხოლოდ და მხოლოდ თოთხმეტ სისტემას ასახელებენ (კერძოდ, ლათინურს, სლავურს, არაბულს, ინდურს, ჩინურს, იაპონურს, კორეულს, ეთიოპიურს, ბერძნულს, ქართულს, სომხურს, ებრაულს, მონჭოლურს, სირიულს). და ეს მაშინ, როდესაც დამწელობის მქონე ასობით ხალხია ცნობილი.

დამწერლობა, თუ ასე შეიძლება ითქვას, ადამიანის ყველაზე მთავარი გამოგონებაა, იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მას კაცობრიობის ისტორიაში, ვინაიდან მასზეა დაფუძნებული მსოფლიო კულტურის უდიადესი მიღწევანი, თუნდაც მწერლობისა და მეცნიერების სახით.

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა

ვერბალურ კომუნიკაციას, ისევე როგორც ნებისმიერ სოციალურ მოვლენას, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც თავისი სტრუქტურა გააჩნია. მითუმეტეს, ვერბალურ კომუნიკაციას, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა სოციალურ მოვლენათა შორის ყველაზე ფართო ადგილი უჭირავს.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურის საკითხი, უმჯობესი იქნებოდა იგი განგვეხილა ვერბალური კომუნიკაციის ტოტალობის (მთლიანობის), სისტემისა და ელემენტების კონტექსტით (მჭიდრო კავშირში).

ვერბალური კომუნიკაციის მთელი ის სახესხვაობანი, რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურული ელემენტებია, ხოლო ეს ელემენტები ქმნიან მათ შორის გარკვეულ მთლიანობას, რასაც სწორედ ვერბალური კომუნიკაციის მთლიანობას ანუ ტოტალობას ვეძახით.

ვერბალური კომუნიკაცია, როგორც მთელი აუცილებლად გარკვეულ სტრუქტურას გულისხმობს. ეს სტრუქტურა კი, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ვერბალური კომუნიკაციის ელემენტების ურთიერთკავშირი.

დაბოლოს, თუ ვერბალური კომუნიკაციის ეს ელემენტები სტრუქტურულად მოწესრიგებულია, ანუ ორგანიზებულია, მაშინ

ვერბალური კომუნიკაციის სახეთა მთლიანობა ქმნის ვერბალური კომუნიკაციის სწორედ სისტემას.

ხოლო თუ რამდენად მოწესრიგებულია, რამდენად ორგანიზებული იქნება იგი, ეს ვერბალური კომუნიკაცია მთელი თავისი ელემენტებით, ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერბალური კომუნიკაციის ბედ-იღბალისათვის, მისი შედეგისათვის.

“სტრუქტურა” ლათინური ტერმინია და ქართულად “აგებულებას”, “აღნაგობას”, “წყობას” ნიშნავს.

რისამე სტრუქტურა ორ რამეს გულისხმობს მუდამ: ჯერ ერთი, იმას, თუ რა და რა ელემენტებისგან შედგება იგი, და, მეორეც, იმას, თუ როგორია კავშირი მათ შორის.

აქედან გამომდინარე კი, ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურაც გულისხმობს იმას, თუ რა და რა ელემენტებისგან შედგება იგი და რა კავშირია მათ შორის.

ამ ორ მხარეს შორის მთავარია მეორე ანუ ის, თუ რა კავშირია ვერბალური კომუნიკაციის ელემენტთა შორის და არა ის, თუ რა და რა ელემენტისაგან, ე.ი. რამდენი ელემენტისაგან შედგება იგი, ვინაიდან, როგორც ყოველთვის, მთავარია ამა თუ იმ მოვლენის არა სახელდობრ რაოდენობრივი, არამედ სწორედ რაგვარობრივი ანუ თვისობრივი მხარე.

ამრიგად, ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა გულისხმობს ყველა მის ელემენტს (ნაწილს) და მათს ურთიერთკავშირს ერთმანეთთან. აი, ეს ურთიერთკავშირი ქმნის სწორედ ვერბალური კომუნიკაციის მთელ სისტემას, თუ იგი, რა თქმა უნდა, მოწესრიგებულია (ორგანიზებულია).

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურის მოწესრიგებულობისა თუ ორგანიზებულობის, ანუ მისი სისტემურობის კრიტერიუმი (საზომი) ამ შემთხვევაში ამ ელემენტთა, თუ ასე შეიძლება ითქვას, “ჰარმონიულობაა” (შეთანხმებულობაა). ე.ი. თუ ვერბალური კომუნიკაციის ელემენტთა შორის ჰარმონიაა, მაშინ ასეთი ურთიერთკავშირი სისტემური იქნება და თუ არადა, მაშინ – არასისტემური.

ვერბალური კომუნიკაციის სისტემურობა ვერბალური კომუნიკაციის მთელი ერთობლიობის რაღაც იდეალია, ანუ მისი უმაღლესი მიზანია, მისი ჯეროვანი მდგომარეობაა, რასაც ადგილი უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე კი, თუკი ვერბალური კომუნიკაციის ერთიანი მთელის რომელიმე ელემენტი მეორეს ხელს უშლის, მაშინ ეს ცუდია და თუ ისინი ხელს უწყობენ ერთმანეთს, მაშინ – კარგი.

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ ორი ასპექტით, ორი კუთხით: ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა მთლიანობაში და ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა ნაწილებში, ე.ი. ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა მთელი ვერბალური კომუნიკაციის ფარგლებში და ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა თავად მისი ნაწილების ფარგლებში. აქ შეიძლება ვიხმაროთ ისეთი ტერმინიც, როგორცაა “დონეები”. ე.ი. იგულისხმება ვერბალური კომუნიკაცია მთელის დონეზე და ვერბალური კომუნიკაცია მისი ნაწილების დონეზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობს ვერბალური კომუნიკაციის არა მხოლოდ მთლიანი, არამედ ნაწილობრივი სტრუქტურაც. ე.ი. სტრუქტურა გააჩნია არა მხოლოდ მთლიანად ვერბალურ კომუნიკაციას, არამედ მის ნაწილებსაც. და თუ პირველი სტრუქტურაა, მაშინ მეორე უკვე ქვესტრუქტურა იქნება.

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურაც მთლიანობაში ანუ ვერბალური კომუნიკაციის მთლიანი სტრუქტურაცა და ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურებიც ნაწილებში ანუ ნაწილობრივი სტრუქტურებიც სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით, ანუ რის საფუძველზე დავყოფთ მათ.

ამ მხრივ კი ვერბალური კომუნიკაციის მთლიანი და ნაწილობრივი სტრუქტურებიც მრავალგვაროვანი და მრავალსახოვანია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ნებისმიერი ასპექტით მთლიანი სტრუქტურა ერთია, ხოლო ნაწილობრივი სტრუქტურები – მრავალი, იმის გამო, რომ საერთოდ მთელი ერთია, ნაწილები კი – მრავალი. ეს საერთოდ მთელისა და ნაწილების ურთიერთდამოკიდებულების წესია.

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა მთლიანადაც და ნაწილობრივადაც შეიძლება უამრავი კერძო, კონკრეტული ასპექტით განვიხილოთ.

ვერბალური კომუნიკაცია, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მისი სუბიექტის, ობიექტისა და საკუთრივ ვერბალური კომუნიკაციის ასპექტით განვიხილოთ, რამდენადაც ვერბალური კომუნიკაცია, მართლაც, გულისხმობს ამ სამ სტრუქტურულ ელემენტს და მათ შორის ურთიერთკავშირს. და ეს არის ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურაც არსებითად, ვინაიდან ამგვარი სტრუქტურა ქმნის არსებითად სწორედ ვერბალურ კომუნიკაციასაც. ვერბალური კომუნიკაციისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობაც ხომ სწორედ ამ სამი ნიშან-თვისების ერთობლიობა, უფრო სწორედ მთლიანობაა.

ვერბალური კომუნიკაციის სამივე ეს მხარე ერთნაირად აუცილებელიცაა და საკმარისიც, როგორც მთლიანი, ისე ნაწილობრივი ვერბალური კომუნიკაციებისათვის. ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის ყოველ კონკრეტულ სახეს, როგორც მის ნაწილს უკვე თავისი კონკრეტული სუბიექტიც გააჩნია, ობიექტიც, საკუთრივ ვერბალური კომუნიკაციაც და მათ შორის კონკრეტულ ურთიერთკავშირსაც გულისხმობს.

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა მნიშვნელოვანია განვიხილოთ შინაარსისა და ფორმის ასპექტითაც. და, მართლაც, ყოველგვარ ვერბალური კომუნიკაციას ყველა დონეზე თავისი შინაარსი და ფორმა აქვს და მათ შორის ღრმა კავშირიცაა. ხოლო რადგანაც შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, ვერბალურ კომუნიკაციაშიაც ფილოსოფიის ეს კანონი ძალაში რჩება.

ვერბალური კომუნიკაციის ყოველ კონკრეტულ სახეს (ფორმას) განსხვავებული შინაარსი და მისი შესაბამისი ფორმა გააჩნია. ამასთან ეს ფორმაც მრავალი შეიძლება იყოს, მაგრამ შინაარსი კი – მხოლოდ ერთადერთი.

საუკეთესო ფორმა, რა თქმა უნდა, იქნება ის მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება, შეეფერება შინაარსს, ე.ი. ყველაზე უფრო (მაქსიმალურად) პასუხობს შინაარსის მოთხოვნებს. ყოველივე ამას ძალა აქვს ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერ სახე-ფორმაში.

ასე, მაგალითად, ლექციის შინაარსი განსაზღვრავს მის ფორმას, ხოლო საუკეთესო ფორმა იქნება ის ფორმა, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურს (შედეგიანს) გახდის მას. ლექციის შინაარსი ლექციის ელემენტების კავშირს გულისხმობს, ლექციის ფორმა კი – მისი ელემენტების შეერთების წესს. საერთოდ, შინაარსი ხომ რისამე ელემენტების კავშირს, ხოლო ფორმა ამ კავშირის წესს გულისხმობს.

შინაარსისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულების ცოდნას ვერბალურ კომუნიკაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ყოველი ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობაც მასზე დიდადაა დამოკიდებული.

ვერბალურ კომუნიკაციას კიდევ სხვა მრავალი სტრუქტურული და ქვესტრუქტურული დანაყოფიცა აქვს, მაგრამ ყველა მათგანის ანალიზი შორს წაგვიყვანდა ყოველ შემთხვევაში ყველა ეს სტრუქტურული ასპექტი (განასერი) ყველა იმ ზოგადი კანონზომიერებით ხასიათდება, რაც საერთოდ დამახასიათებელია ვერბალური კომუნიკაციისათვის, ოღონდ, რა თქმა უნდა, თავ-თავისი რაღაც განსხვავებული ნიუანსებით (სახესხვაობებით).

ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვერბალური კომუნიკაციის ფენომენში, რომ არსებითად სწორედ იგი განსაზღვრავს ვერბალური კომუნიკაციის მთლიანობას.

ესეც მთელისა და მისი სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების ფილოსოფიით არის განპირობებული. ფილოსოფიაში მთელის სახეს, მის რაობასა და რაგვარობას, მართლაც, მისი სტრუქტურა განსაზღვრავს, ანუ როგორცაა რისამე სტრუქტურა, ე. ი. აღნაგობა, აგებულება, ისეთივე იქნება არსებითად ეს მთელიც.

ზუსტად ასევეა ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაშიაც და მას – ამ კანონზომიერებას ადგილი აქვს ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაშიაც.

გამომდინარე აქედან კი, ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურის ანუ მისი აგებულებისა თუ აღნაგობის საკითხს არსებითი და, მაშასადამე, მთავარი ადგილი უჭირავს ვერბალური კომუნიკაციის ფენომენის საკითხში.

ვერბალური კომუნიკაციის სახეები (ფორმები)

ვერბალური კომუნიკაცია, თავისი გავრცელების უაღრესად ფართო არისა გამო, იმდენად მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომ იგი უამრავი გვარისა და სახისაგან შედგება. ეს კი გამოწვეულია და განპირობებული თავად საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროთა უაღრესი მრავალგვაროვნებით და, სწორედ აქედან გამომდინარე, ვერბალური კომუნიკაციის იმდენი სახეც შეიძლება არსებობდეს, რამდენიც შესაბამისად საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის მხარე თუ სფერო გვაქვს.

ასე რომ, ყოველი საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეს შესაბამისი ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება დაუვუკავშიროთ. ასე, მაგალითად, ე.წ. “მარკეტინგის” სფეროს ვერბალური კომუნიკაციის თავისებური, შესაბამისი სახე უკავშირდება. იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე და, შესაბამისად ამისა, ვერბალური კომუნიკაციის შესაბამის, თავისებურ სახეზეც.

მაგრამ ვერბალური კომუნიკაციის სახეებთან თუ ფორმებთან დაკავშირებით აქ უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ არსებობს ვერბალური კომუნიკაციის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი, ანუ გარეშე და საკუთრივი სახეები იმისდა მიხედვით, მართლაც, ვერბალური კომუნიკაციის გარედან არიან ისინი განსაზღვრული თუ შიგნიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერბალური კომუნიკაციის ყველა ის სახეც, რომელიც კი გამოყოფილი იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს მიხედვით, მაგრამ არ იქნებოდა თავად ვერბალური კომუნიკაციის ბუნებიდან გამომდინარე, მისი მხოლოდ გარეგანი, არაარსებითი სახე იქნება, მაშინ როდესაც ყველა ის სახე, რომელიც თავად ვერბალური კომუნიკაციის ბუნებიდან გამომდინარეობს – მისი შინაგანი სახე, მისი არსებითი სახე.

ასე რომ, არსებითად ვერბალური კომუნიკაციის სახეები მისი მხოლოდ სწორედ შინაგანი სახეებია და არა გარეგანი. ამიტომ ჩვეულებრივ ყურადღების გარეშე ტოვებენ ხოლმე ვერბალური კომუნიკაციის ზემოთაღნიშნულ გარეგან მხარეებს და ყურადღებას აქცევენ მის მხოლოდ შინაგან სახეებს, რაც, ჩვენის აზრით, საერთო სისრულისათვის სწორი არა გვგონია, ვინაიდან, მართალია, ერთია ვერბალური კომუნიკაციის, მართლაც, საკუთრივი, შინაგანი და მეორეც – მისი არასაკუთრივი, გარეგანი სახეები, მაგრამ ეს უკანასკნელნიც ხომ მაინც ვერბალური კომუნიკაციის სახეებია.

თუმცა სხვა საკითხია ისიც, რომ ჩვენთვის, ამ შემთხვევაში მთავარია ვერბალური კომუნიკაციის საკუთრივი და არა არასაკუთრივი ფორმები. მთავარი ხომ არსებითია და არა არაარსებითი. ხოლო ვერბალური კომუნიკაციის არსებითი სახეები-ფორმები მისი როგორც სწორედ ვერბალური კომუნიკაციის სახე-ფორმებია და არა მისი სხვაგვარი სახე-ფორმები.

მაგრამ რა არის კრიტერიუმი (საზომი) ვერბალური კომუნიკაციის სახე-ფორმათა საკუთრივობა-არასაკუთრივობისა, მათი შინაგნობა-გარეგნობისა, მათი არსებითობა-არაარსებითობისა?

ვერბალური კომუნიკაციის სახე-ფორმათა საკუთრივობა-არასაკუთრივობის კრიტერიუმია მათი საგანგებობა-არასაგანგებობა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერბალური კომუნიკაციის საკუთრივი სახე-ფორმა საგანგებოდ (სპეციალურად) ვერბალური კომუნიკაციისათვის განკუთვნილი მისი სახე-ფორმაა. ასე, მაგალითად, ვერბალური კომუნიკაციის ისეთი სახე, როგორცაა ლექცია, მისი საკუთრივი სახე-ფორმაა, ვინაიდან ლექცია საგანგებოდ ეწყობა ისევ და ისევ ვერბალური კომუნიკაციისათვის.

სხვა საქმეა ვერბალური კომუნიკაციის არასაკუთრივი სახე-ფორმები, რა შემთხვევაშიაც ისინი საგანგებოდ კი არ არიან ჩართულნი ვერბალური კომუნიკაციის პროცესში, არამედ სხვათა შორის.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციაა და ვერბალური კომუნიკაციაც.

ვერბალური კომუნიკაციის სახეები თუ ფორმები ჩვენ სხვადასხვა ასპექტით (განასერით) სულ სხვადასხვა სახით შეიძლება დავყოთ იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპს(საწყისს) დავუდებთ მას საფუძვლად. ამ მხრივ კი აღნიშნული ორი – საკუთრივი და არასაკუთრივი ანუ შინაგანი და გარეგანი სახესხვაობანი ვერბალური კომუნიკაციისა მისი სახეების ერთ-ერთი ასპექტია (განასერია).

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების, დავუშვათ, ძირითადი სფეროებისდა მიხედვით ასევე შეიძლება ჩვენ გამოვყოთ ვერბალური კომუნიკაციის ისეთი სახეებიც, როგორებიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთიკური, იურიდიული, სციენტკური, რელიგიური, ესთეტიკური სახენი თუ ფორმანი ვერბალური კომუნიკაციისანი.

თითოეული ეს სახე-ფორმა ვერბალური კომუნიკაციისა, სხვანაირად რომ ვთქვათ, გულისხმობს ვერბალურ კომუნიკაციას შესაბამისად საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ ამ ძირითად სახე-ფორმათაგანში. ყველა ეს სახე, რა თქმა უნდა, თავ-თავისი სფეროსდა მიხედვით, გარკვეულ თავისებურებას შეიცავს და ამიტომაც არიან ისინი სწორედ ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა სახენი.

არსებობს ამასთან ერთად კიდევ უფრო “წვრილი” დანაყოფებიც ვერბალური კომუნიკაციისა საზოგადოებრივი ცხოვრების თავად ამ ძირითად სფეროთა შიგნით. ასე, მაგალითად, საადვოკატო სიტყვა სასამართლოში როგორც იურიდიული სფეროს ვერბალური კომუნიკაციის კერძო სახე.

ვერბალური კომუნიკაციის იმ კერძო სახეთა შორის, რომლებიც უამრავია, ჩვენ ამ შემთხვევაში მაინც გამოვყოფდით და ყურადღებას შევაჩერებდით მის ისეთ არსებით მხარეებზე, როგორებიცაა: წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი. ეს ოთხი რამ ლინგვური (ენობრივი) ფენომენი, მოვლენა, მართლაც, ოთხი რამ ძირითადი სახეა ვერბალური კომუნიკაციისა. ამასთან ისინი მისი საკუთრივი, შინაგანი, არსებითი სახე, მხარეებია. ეს სახენი ვერბალური კომუნიკაციისა, ამავე დროს მათი საშუალებანიცაა. ოღონდ გააჩნია, რა დროს, რა კუთხით შევხედავთ მათ. ამ შემთხვევაში კი ისინი ჩვენ ვერბალური კომუნიკაციის სახელდობრ სახეებად გვავინტერესებს ანუ მათ განსხვავებულ სფეროებად.

წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა ესენი ის ოთხი მხარეა ვერბალური კომუნიკაციისა, რომლებიც არსებითაც, მართლაც, ქმნიან ვერბალურ კომუნიკაციას როგორც ასეთს. ესენი მისი მოუცილებადი ნიშან-თვისებანია (რა თქმა უნდა, განვითარების გარკვეულ დონეზე, თორემ ეგრე მუდამ როდი

იყო. წერა-კითხის არარსებობის დროს ეს, მართლაც, ხომ ეგრე არ იყო). ამიტომ ყოველ შემთხვევაში ვერბალური კომუნიკაციის აბსოლუტურად (უპირობოდ) მოუცილებელი ნიშან-თვისებანია მაინც საუბარი და მოსმენა. ეს ასეა იდეალურ, კონდიციურ (ე.ი. უმაღლეს, სათანადო) დონეზე.

წერა-კითხვასა და თქმა-სმენას შორის ყველაზე ძირეული თქმა არის, რა შემთხვევაშიაც რაიმე ვილაცის მიერ სიტყვით ცხადდება ვილაცისათვის მოსასმენად. ეს არის აქტიური (ქმედითი) ვერბალური კომუნიკაცია, რაც მოითხოვს ძალების ამოქმედებას სიტყვის წარმოსათქმელად, ვინაიდან სიტყვის თქმა აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ ძალისხმევას ამ მიმართებით.

სიტყვის თქმა ვერბალური კომუნიკაციის ყველა აღნიშნულ ფორმას შორის უპირველესია ისტორიულადაც. ღმერთმა ყოველივე, რაც კი შექმნა, სიტყვით შექმნა (გარდა კაცისა, რომელიც მან შექმნა თავისი ხელით). ასე რომ, სიტყვა (“ღვთაებრივი სიტყვა”) წინ უსწრებდა ყოველი ქმნილების შექმნას. სიტყვა ანუ თქმა ამ შემთხვევაში, გამოდის რომ, სუბსტანციური (საწყისური) რამ არის. იმდენად დიდია მისი მნიშვნელობა. იმდენად საკრალურია (წმიდათაწმიდაა) სიტყვა იგი.

ხოლო რადგანაც ღმერთმა შექმნა ადამიანი ხატებისაებრ და მსგავსაებრივად თვისად, ამიტომ ადამიანშიაც სიტყვის თქმის უნარი ღვთის მიერ უდიდესი რამ მოვლენაა ჩადებული. სიტყვის თქმის უნარი იმდენად ფუნდამენტური (საფუძველმდებელი) უნარ-თვისებაა ადამიანისაა, რომ ამის გამო სიტყვიერ ანუ მეტყველ კაცად განისაზღვრება იგი ხოლმე. და, მართლაც, ადამიანი ერთ-ერთი განსაზღვრებით “ჰომო ლოგუენსია”.

ასე რომ, მეტყველება ანუ სიტყვის თქმის უნარი ადამიანის არსებითი, მოუცილებელი ნიშან-თვისებაა.

რაც შეეხება მოსმენას, იგიც ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა და, დიდადაც არ შევცდებით, თუ, მსგავსად იმისა, რომ ვთქვათ: ადამიანი მოლაპარაკე, მოსაუბრე არსებაა, ისიც ვთქვათ, რომ ადამიანი მომსმენი, გამგონე არსებაცაა. მითუმეტეს, რომ კარგ მოსმენას კარგ თქმაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. ამასთან დაკავშირებით, არსებობს თქმის კულტურაც და არსებობს მოსმენის არანაკლები მნიშვნელობის კულტურაც. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, როგორც იტყვიან ხოლმე.

დაბოლოს, დიდი ადგილი ადამიანისა და, მითუმეტეს, თანამედროვე ადამიანის ვერბალურ, სიტყვიერ ცხოვრებაში წერა-კითხვას უჭირავს. დღეს, მართლაც, ვერბალური კომუნიკაცია წარმოუდენელიც კია წერა-კითხვის

მცოდნე ადამიანების გარეშე. წერა-კითხვის წილიც ვერბალური კომუნიკაციის ოთხ სახეთა შორის სულ უფრო და უფრო მატულობს.

იმისათვის, რომ ადამიანის ვერბალური კომუნიკაცია სრულიად აკმაყოფილებდეს თავის მოთხოვნებს, საჭიროა, რომ მან, შეძლებისდაგვარად, თავის თავში განავითაროს ვერბალური კომუნიკაციის ოთხივე მხარე და გახდეს ჯეროვანი მთქმელიც, მსმენელიც, მწერალიც, მკითხველიც. თქმის, სმენის, წერის, კითხვის ჯეროვანი უნარ-ჩვევების დაუფლებაც თითოეული ადამიანის განვითარების ზოგად-კულტურული მოთხოვნებია.

ვერბალური კომუნიკაციის კერძო სახეები თუ ფორმები შეიძლება დავყოთ მის ისეთ ასპექტებად (განასერებად), როგორებიცაა ინდივიდუალური და არაინდივიდუალური, ანუ არასაზოგადოებრივი და საზოგადოებრივი ვერბალური კომუნიკაციები.

ვერბალური კომუნიკაციის ინდივიდუალურ ანუ არასაზოგადოებრივ სახე-ფორმებში იგულისხმება ის ვერბალური კომუნიკაციები, რომლებიც ხორციელდება ადამიანურ ინდივიდთა ანუ ცალკეულ ადამიანთა ფარგლებში.

ინდივიდუალურში ანუ არასაზოგადოებრივში აქ იგულისხმება ის ვერბალური კომუნიკაციები, რომლებიც ხორციელდება ადამიანურ ინდივიდთა, როგორც ინდივიდთა შორის, ასევე ინდივიდებშიაც, როგორც ინდივიდებში.

ასე რომ, ეგ ორი რამ ვერბალური კომუნიკაციის ინდივიდუალური ასპექტის, თუ ასე შეიძლება, ქვეასპექტებია.

ხოლო პირველი ამ ქვეასპექტის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითად სატელეფონო საუბარი ორ ადამიანთა შორის, მეორე ქვეასპექტის ნიმუშად კი, მაგალითად, საკუთარ თავთან საუბარი (ეს უკანასკნელიც ვერბალური კომუნიკაციაა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ვერბალური კომუნიკაციის ობიექტის და სუბიექტის ერთი და იგივე პიროვნებაა, ვინაიდან ამ შემთხვევაშიაც სახეზე გვაქვს ვერბალური კომუნიკაციის სწორედ ის ორი აუცილებელი და საკმარისი პირობა, როგორებიცაა ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტი და ობიექტი).

ვერბალური კომუნიკაციის ინდივიდუალურ ქვეასპექტებთან დაკავშირებით აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ვერბალურ-კომუნიკაციურობისათვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტი (პირი) და ობიექტი (საგანი) სხვადასხვა ადამიანურ ინდივიდში იქნება ურთიერთგანაწილებული თუ ერთსა და იმავე ადამიანურ ინდივიდში იქნება მოქცეული.

ვერბალური კომუნიკაციის არაინდივიდუალურ ანუ საზოგადოებრივ ასპექტს რაც შეეხება, იგი გულისხმობს ვერბალური კომუნიკაციის იმ ფორმებს თუ სახეებს, რომლებიც ჯგუფურ ხასიათს ატარებენ და თავის მხრივ კი უკვე გულისხმობენ ვერბალურ კომუნიკაციებს, როგორც ვიწრო ჯგუფური, ისე ფართო ჯგუფური მასშტაბით.

პირველი ქვეასპექტი მოიცავს ვიწრო სოციალურ ჯგუფებში და ჯგუფთა შორის ვერბალურ კომუნიკაციებს, ხოლო მეორე – უფრო ფართო სოციალურ ჯგუფებში და ჯგუფთა შორის ვერბალურ კომუნიკაციებს. პირველის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მეზობლებს შორის ვერბალური კომუნიკაციები, ანდა მეგობრებში ვერბალური კომუნიკაციები. მეორე ასპექტის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დიპლომატიური მოლაპარაკებანი სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის ანდა ვერბალური კომუნიკაციები სახელმწიფოს ქვესევრდომებში.

როგორც ჩანს, ურიცხვია ყველა ის კონკრეტული სახე-ფორმა, რაც კი რამ შესაძლებელია არსებობდეს და არსებობს კიდევ ჩვენს საზოგადოებრივ, სოციალურ ცხოვრებაში – როგორც ინდივიდუალური, ისე არაინდივიდუალური ასპექტითაც. ამიტომ ჩვენ მათ ყველას ვერც კი დავასახელებთ.

მაგრამ ვერბალური კომუნიკაციის ზოგიერთი კონკრეტული სახე-ფორმანი, განსაკუთრებით კი მის საკუთრივ საზოგადოებრივ პლანში (ჭრილში) მაინც უნდა ვახსენოთ.

ვერბალური კომუნიკაციის ფართო საზოგადოებრივი ფორმებიდან თავისი მნიშვნელობისა გამო აუცილებელია ვახსენოთ მისი იმგვარი სახე-ფორმები, როგორებიცაა: პუბლიცისტიკა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტი, რიტორიკა, პოლემიკა (დებატები, ტოქ-შოუები), დისკუსიები (კონფერენციები, სიმპოზიუმები...), დიპლომატია, მოლაპარაკებანი, პედაგოგიკა (ლექცია-სემინარები, გაკვეთილები) და სხვანი და სხვანი.

ყველა ეს და სხვა მსგავსი სფერო საზოგადოებრივი ცხოვრებისა ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციონირების, მისი მოქმედების სხვადასხვა სფეროა და ყველა ისინი ემსახურება ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისად განსხვავებულ ინტერესებს.

ვერბალური კომუნიკაცია გარკვეული პრინციპით ინდივიტაშორისი, ჯგუფთაშორისი და ინდივიდთა და ჯგუფთა (ანუ, პირიქით, ჯგუფთა და ინდივიდთა) შორისი ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება იყოს. და, მართლაც, ამგვარი სახეები ვერბალური კომუნიკაციისა მისი ფართოდ გავრცელებული კერძო ფორმებია.

ვერბალური კომუნიკაცია სხვა პრინციპით შეიძლება ინტერპერსონალურიც (პიროვნებათაშორისიც) და ინტრაპერსონალურიც (პიროვნებათაშინაც) იყოს, იმისდა მიხედვით, განაწილებულია თუ არა იგი პიროვნებათა შორის. პირველ შემთხვევაში კი იგი ასეთია, მეორეში – არა.

ვერბალური კომუნიკაციის ამ კერძო ფორმებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არ არსებობს ვერბალური კომუნიკაციის არცერთი კერძო სახე ნებისმიერი სხვა პრინციპითაც, რომელიც ან ერთნაირი არ იყოს, ან მეორენაირი.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის ეს სახეები “გამსჭვალავს” ვერბალური კომუნიკაციის ყველა დანარჩენ სახეებსაც სულ სხვა პრინციპებით.

ვერბალური კომუნიკაცია, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ფართოა არეალი (გავრცელების ფარგლები) ვერბალური კომუნიკაციისა საზოგადოებაში, შეიძლება იყოს მასობრივი და არამასობრივი.

პირველი, როგორც ამას თავად სახელწოდება მიუთითებს, საზოგადოების ფართო მასებზე ვრცელდება, მეორე კი – არა. ორივე ნორმალურია და მისაღები. და, ბუნებრივიცაა, ზოგი ვერბალური კომუნიკაცია, მართლაც, მასებზეა გათვლილი, ზოგიც – არა.

ვერბალური კომუნიკაცია თავისი ფორმებით შეიძლება რეალური ანდა ვირტუალური იყოს. ვერბალური კომუნიკაციის პრაქტიკაში, მართლაც, ორივე სახე არსებობს. “რეალური” “ნამდვილს” ნიშნავს, “ვირტუალური” – “მოგონილს” (წყვილთა პირველი ცალები ლათინური სიტყვებია). და მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური არარეალურია, ვერბალურ კომუნიკაციაში მას მის რეალურ სახე-ფორმაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ენიჭება. ამ მხრივ კი მხედველობაში გვაქვს ვერბალურ კომუნიკაციაში მისი არა მხოლოდ რაოდენობრივი წილი, არამედ რაგვარობრივიც, თვისობრივიც. და, მართლაც, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ვირტუალურ ვერბალურ კომუნიკაციას დიდი ადგილი უჭირავს. თუმცა ორივეს თავ-თავისი ადგილი ეკუთვნის და ერთი მეორეს არ უნდა დავუპირისპიროთ.

დროის ასპექტით ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება იყოს ხანგრძლივი და ხანმოკლე, მთელი თავ-თავისი მეტ-ნაკლები დანაყოფებით. ვერბალური კომუნიკაციის დიაპაზონი (მოცულობა) ამ მხრივ საზოგადოებაში ძალზე დიდია და მრავალსახოვანი, დაწყებული მინიმალურად ხანმოკლე ვერბალური კომუნიკაციითა და დამთავრებული მაქსიმალურად ხანგრძლივი კომუნიკაციით, იმისდა მიხედვით, თუ ვერბალური

კომუნიკაციის რა კონკრეტულ სახესთან გვაქვს საქმე და რა კონკრეტულ სიტუაციასთან.

ვერბალური კომუნიკაცია მთელი თავისი ურიცხვი სახესხვაობებით საზოგადოებაში მაინც იყოფა ორ ძირითად სახედ, იმისდა მიხედვით, ზეპირია იგი თავისი ხასიათით თუ წერილობითი. ე.ი. არსებობს კიდევ ვერბალური კომუნიკაციის ორი სხვა კერძო სახე-ფორმა – ზეპირი და წერილობითი ვერბალური კომუნიკაციები. ორივეს თავ-თავისი კანონზომიერებანი გააჩნია. თავად ერთი და იგივე შინაარსის ვერბალური კომუნიკაციაც კი, ოღონდ სხვადასხვა, ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, უკვე სხვადასხვაა მათი სწორედ განსხვავებული ფორმებით. ორივე ეს ფორმა ვერბალური კომუნიკაციისა წარმატებით გამოიყენება სიტუაციისდა კვალად. ხან ერთი ფორმაა უკეთესი და ხან – მეორე. ხან ერთია შესაძლებელი და ხან – მეორე და ა.შ. და ა.შ.

ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება განვასხვავოთ იმისდა მიხედვითაც, თუ რა ენას მოიხმარენ კომუნიკანტები (ვერბალური კომუნიკაციისმონაწილენი) თავიანთ ურთიერთობებში – ბუნებრივ ანუ არახელოვნურ ენას თუ არაბუნებრივს, ხელოვნურს.

ამ მხრივ კი ვერბალური კომუნიკაციის ჩვეულებრივი, მართლაც რომ “ბუნებრივი” ენაა სწორედ ე.წ. ბუნებრივი ენა, რომელიც საზოგადოებაში ყალიბდება ისტორიის მანძილზე.

ხოლო, რაც შეეხება ხელოვნურ ენას, იგი, მართლაც, “ხელოვნურად”, ანუ ადამიანის მიერ გეგმაზომიერად შექმნილია ურთიერთობისათვის.

ბუნებრივი ენა თავისით ყალიბდება საზოგადოებაში, ხოლო ხელოვნური ენა საგანგებო ძალისხმევით იქმნება. ამჟამად ცნობილია ათასობით ბუნებრივი ენა და ასობით ხელოვნური ენა. ყველა ისინი საერთოდ ვერბალური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი სახესხვაობანია და სახე-საშუალებანი.

ვერბალური კომუნიკაციის ორივე ეს სახე – ბუნებრივენოვანიცა და ხელოვნურენოვანიც – ვერბალური კომუნიკაციის მეტ-ნაკლებად მასობრივი ვერბალური კომუნიკაციებია, რადგანაც ისინი ემსახურებიან ადამიანთა მთელ მასებს. განსაკუთრებით ეს შეეხება ბუნებრივ ენებს. ზოგიერთი ბუნებრივი ენა კი მილიარდობით ადამიანთა შორის ურთიერთობას ემსახურება.

ვერბალური კომუნიკაციის ბუნებრივენოვან სახესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო ენების პერსპექტივის (მომავლის) საკითხი.

კერძოდ, საქმე ეხება იმას, თუ გლობალიზაციის (მსოფლგაერთიანების) პროცესში რა ბედი ელოდება მსოფლიოს ბუნებრივ ენებს.

ამ მხრივ კი არსებობს მოსაზრება, რომ თანდათანობით მომავალში ენებს საბოლოოს შეცვლის ერთიანი მსოფლიო გლობალური ენა, როგორც კაცობრიობის მასშტაბით ერთადერთი სიტყვიერი ურთიერთობის საშუალება.

მაგრამ ასეთი მოსაზრება ძირშივე მცდარია და იგი ბოროტი ძალების მოგონილია, ვინაიდან ამგვარი ტენდენცია მიმართული იქნებოდა მსოფლიოს ათასობით ერისა თუ ხალხის ბუნებრივი მშობლიური ენის წინააღმდეგ, რაც ამ ხალხთა, მართლაც რომ ბუნებრივი მიდრეკილებაა და მისი ამოძირკვა ამ ხალხთა სისხლხორცეული ინტერესების, მათი მისწრაფებების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

ასეთი რამ ამიტომაც შეუძლებელიც კია განხორციელდეს. და იგი რომც განხორციელდებოდა, მაშინაც კი იქნებოდა ცუდი რამ კაცობრიობის პროგრესის გზაზე, ვინაიდან საშინლად “გაადარიბებდა” მსოფლიოს საოცარ ლინგვურ, ენობრივ მოზაიკას (სიჭრელეს). მრავალფეროვანი მსოფლიო ამით სწორედ რომ “ერთფეროვანი” გახდებოდა.

ასე რომ, ამგვარი გლობალისტური ენობრივი პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იქნებოდა კაცობრიობისათვის. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს ის, რომ ამგვარი პოლიტიკა გაუმართლებელია ნებისმიერი ასპექტით, რაც კი რამ შესაძლებელია ამ მხრივ არსებობდეს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ მომხრენი მსოფლიოს ხალხთა ენების, ანუ მშობლიური ენების განვითარებისა, ვინაიდან “დედაენა” ნამდვილად რომ წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე საკრალურ (წმიდათაწმიდა) საშუალებას, რა შემთხვევაშიაც ადამიანი ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს (ჰაიდეგერისა), თავის საკუთარ სახლში იმყოფება, იმდენად შინაურია, მართლაც, იგი – მშობლიური ენა. აკი შემთხვევით როდი ეწოდება მას ნამდვილად “მშობლიური”. იგი ხომ “ძირეული” ენაა ადამიანისა.

რაც შეეხება ხელოვნურ ენას, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამოსადეგი იქნებოდა იგი ერთიანი მსოფლიო ენის როლში, ცუდად გაგებული გლობალიზაციის კონტექსტით, ამასთან დაკავშირებით ჩვენი პროგნოზი ანუ წინასწარმეტყველება კიდევ უფრო ნეგატიური, უარყოფითი უნდა იყოს, ვინაიდან თუ ეს შეუძლებელია ბუნებრივი ენების შემთხვევაში, მით უფრო შეუძლებელი უნდა იყოს სწორედ ხელოვნური ენის შემთხვევაში.

და, მართლაც, განა ბუნებრივი უფრო ახლოს არ არის ხალხის გულთან, ვიდრე ხელოვნური? ამიტომ ხელოვნური ენის ფუნქცია, მისი დანიშნულება

ბუნებრივ ენასთან შედარებით მხოლოდ დამატებითი შეიძლება იყოს. ძირითადი მაინც ბუნებრივი ენაა. ყველაფერი ეს კი გათვალისწინებული უნდა იქნას ვერბალური კომუნიკაციის შესაბამისად ამ ორი სახის ანალიზისას.

დაბოლოს, ვერბალური კომუნიკაციის სახეებთან ანუ ფორმებთან დაკავშირებით, უნდა გამოვყოთ მისი ისეთი ფორმებიც ანუ სახეებიც, როგორებიცაა მისი საშინაო (საოჯახო) და საგარეო (ოჯახის გარეშე) ფორმები.

და, მართლაც, სულ სხვაა ვერბალური კომუნიკაცია “შინ”, საკუთარ სახლში, ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში და სულ სხვა – მის “გარეთ”, დავუშვათ, სამსახურში.

თუმცა ვერბალური კომუნიკაციის ამ მეორე ფორმას კიდევ უამრავი თავისი ქვესახეებიც ანუ ქვეფორმებიც გააჩნია, ვინაიდან ძალიან ფართოა სპექტრი ოჯახის (სახლის) გარეთ ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციისა.

ვერბალური კომუნიკაცია შინ, საკუთარ სახლში უფრო ინტიმურია მაშინ, როდესაც მის გარეთ – უფრო ოფიციალური. იმისდა მიხედვით კი, თუ სად ვიმყოფებით, შინ თუ გარეთ, ჩვენს სახლში თუ სახლს გარეთ, შესაბამისად ვმეტყველებთ. უცხო კაცს, მაგალითად, შინაურივით როდი დაველაპარაკებთ. და ა.შ. და ა.შ.

ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა სახე-ფორმას შორის განსხვავებისა გამო და იმის გამოც, რომ თითოეულ მათგანს თავ-თავისი თავისებურებანი ახასიათებს, ჩვენც შესაბამისად იმ წესებისდა მიხედვით უნდა ჩავერთოთ ვერბალურ კომუნიკაციაში, რა წესებიც მოგვეთხოვება ამ თავისებურებათა შესაბამისად.

ვერბალური კომუნიკაციის წესებს კი სხვადასხვა სიტუაციაში ანუ მისი სხვადასხვა სახე-ფორმის შემთხვევაში სწორედ მათი კერძო თავისებურებანი განსაზღვრავენ, სხვადასხვა ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმასა (სახესა) და, მაშასადამე, შესაბამისად სხვადასხვა წესებს სწორედ ისინი გვკარნახობენ.

ამის ცოდნას კი ადამიანთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ვერბალურ კომუნიკაციას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, თავისი “კულტურა” გააჩნია. და, აქედან გამომდინარე კი, ვერბალური კომუნიკაციის შესაბამისად სხვადასხვა ფორმასაც (სახესაც) – თავ-თავისი.

ასე რომ, სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარ ვერბალურ კომუნიკაციას, მის სხვადასხვაგვარ სახეს მივმართავთ, იმისდა მიხედვით, თუ რა სიტუაციაა, მდგომარეობაა და, შესაბამისად ამისა, რა თქმა უნდა,

ჩვენც იმ წესებისდა მიხედვით უნდა მოვიქცეთ, რა სიტუაციაშიც ვიმყოფებით და რა წესებიც მოგვეთხოვება შესაბამის სიტუაციაში ვერბალური კომუნიკაციის ამა თუ იმ განსხვავებული ფორმისდა (სახისდა) მიხედვით.

ასეთია ვერბალური კომუნიკაციის მრავალსახეობა და მათი მოკლე ზოგადსოციოლოგიური ანალიზი.

ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორები

“ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორებში” ჩვენ აქ გვესმის, ქართულად რომ ვთქვათ, “სიტყვიერი ურთიერთობის პირობები”, ხოლო ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორები ანუ პირობები სხვა არაფერია, თუ არა ის გარემოებანი, რომლებიც აუცილებელია და საკმარისი მისი განხორციელებისათვის. ამ პირობების თუ ფაქტორების გარეშე, მართლაც, შეუძლებელია ვერბალური კომუნიკაცია.

ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორები შეიძლება დავყოთ ვერბალური კომუნიკაციის შინაგან და გარეშე ფაქტორებად.

ვერბალური კომუნიკაციის შინაგან ფაქტორებში იგულისხმება ვერბალური კომუნიკაციის ის ფაქტორები, რომლებიც თავად ვერბალური კომუნიკაციის წიაღში მოქმედებენ, ხოლო ვერბალური კომუნიკაციის გარეგან ფაქტორებში კი – ის ფაქტორები, რომლებიც მის გარეთ და გარედან მოქმედებენ მასზე.

ვერბალური კომუნიკაციის შინაგან და გარეგან ფაქტორთა შორის, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი ფაქტორებია მთავარი, და, მაშასადამე, განმსაზღვრელი, ხოლო გარეგანი ფაქტორები არამათავარია და განსაზღვრული. თუმცა ორივე ერთად აუცილებელია იმისათვის, რომ განხორციელდეს ვერბალური კომუნიკაცია.

ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორები უამრავი სახისაა და ისინი სხვადასხვანაირად შეიძლება დავყოთ იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით (საფუძველზე) დავყოფთ მათ.

ვერბალური კომუნიკაციის შინაგან და გარეგან ფაქტორებად დავყოფა საერთოდ ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორთა დაყოფის ერთი მაგალითია იმისდა მიხედვით, საკუთრივია თუ არასაკუთრივი ვერბალური კომუნიკაციისთვის ეს ფაქტორები.

ხოლო გარდა ვერბალური კომუნიკაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორებისა, შეიძლება გამოვყოთ კიდევ უამრავი სხვა ფაქტორებიც, სულ სხვა პრინციპით (საფუძველზე).

ამ მხრივ კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვერბალური კომუნიკაციის დაყოფა შემდეგ სამ ფაქტორად ანუ პირობად: ერთია ვერბალური კომუნიკაციის ობიექტი (საგანი), ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტი (პირი) და მესამე – თავად ვერბალური კომუნიკაცია

ვერბალური კომუნიკაციის ეს სამი პირობა, სხვა მხრივ, გამოდის ვერბალური კომუნიკაციის ე.წ. სამი მხარე, ე.ი. ეს სამი პირობა ვერბალური კომუნიკაციის სხვა მხრივ სამი მხარეა და, პირიქით, ეს სამი მხარე – ვერბალური კომუნიკაციის სამი პირობა. გააჩნია რა კუთხით შევხედავთ მათ.

ვერბალური კომუნიკაციის სამი პირობიდან სამივე ცალ-ცალკე აუცილებელია, ხოლო სამივე ერთად კი – საკმარისი პირობა ვერბალური კომუნიკაციისთვის.

ვერბალური კომუნიკაციის ობიექტი (საგანი) არის ის, ვისზედაც მიმართულია ვერბალური კომუნიკაცია, ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტი(პირი) – ის, ვინც წარმართავს ვერბალურ კომუნიკაციას, ხოლო თავად ვერბალური კომუნიკაცია – საკუთრივ ვერბალური კომუნიკაცია, როგორც ასეთი, ანუ როგორც პროცესი (მსვლელობა).

ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტს სხვა სიტყვებით ვერბალური კომუნიკატორი შეიძლება ვუწოდოთ, ვერბალური კომუნიკაციის ობიექტს კი – ვერბალური კომუნიკანტი.

ვერბალურ კომუნიკატორს, ვერბალურ კომუნიკანტსა და საკუთრივ ვერბალურ კომუნიკაციას შორის მთავარი, რა თქმა უნდა, ვერბალური კომუნიკატორია, ვინაიდან სწორედ იგია წარმმართველი ვერბალური კომუნიკაციისა, იგი განსაზღვრავს მის ფორმასაც და შინაარსსაც. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ვერბალურ კომუნიკანტსაც, ვინაიდან “კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდა”. ვერბალური კომუნიკაცია ამ მხრივ ორმხრივი პროცესია, ორივე განაპირობებს ვერბალური კომუნიკაციის ბედ-იღბალს, მის წარმატებასა თუ წარუმატებლობას.

ვერბალური კომუნიკაციის პირობათა შორის შეიძლება გამოვყოთ მისი ე. წ. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. პირველი ვერბალური კომუნიკაციის მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი პირობებია, მეორე-მათზე დამოკიდებული და მათით განსაზღვრული. ორივე აცილებელია, ვინაიდან ვერბალური კომუნიკაციის ობიექტური პირობების გარეშე ეს ვერბალური კომუნიკაცია ან ვერ განხორციელდება ანდა, ყოველ

შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად შეფერხდება, ხოლო სუბიექტური ფაქტორის არარსებობის შემთხვევაში იგი საერთოდ ვერც განხორციელდება. ამ მდგომარეობიდანაც ჩანს ვერბალური კომუნიკაციის ობიექტურსა და სუბიექტურ ფაქტორს შორის სუბიექტური ფაქტორის უპირატესი როლი.

ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ვერბალური კომუნიკაციის ე.წ. აქტიურ და პასიურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება. და, მართლაც, საქმე ისაა, რომ იმაზე, თუ რამდენად მაღალი იქნება აქტიურობის თანაფარდობა პასიურობასთან პირველის სასარგებლოდ, მით უფრო მაღალი იქნება ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობაც (შედეგიანობაც) ნებისმიერ შემთხვევაში.

ვერბალური კომუნიკაციის “აქტიური ფაქტორი” ქართულად ნიშნავს მის “მოქმედ პირობას”, “პასიური ფაქტორი” კი – მის “უმოქმედო პირობას”. ყოველი ვერბალური კომუნიკაცია, მართლაც, გარკვეულ “ძალისხმევას”, “ხელის გამოღებას” მოითხოვს, ე.ი. აქტიურობას, მაგრამ ჩვეულებრივ გარკვეულწილად მას პასიური მომენტიც თან ახლავს ხოლმე.

ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორთა ანალიზისას (გარჩევისას), საყურადღებოა ისეთ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა : ვერბალური კომუნიკაციის პოზიტიური (დადებითი) ანუ ხელის შემწყობი და ნეგატიური (უარყოფითი) ანუ ხელის შემშლელი ფაქტორები. ამ ფაქტორთა გამოყოფა და მათთვის თავ-თავისი ადგილის მიჩენა – დადებითისათვის დადებითისა და უარყოფითისათვის უარყოფითისა, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობისათვის (ნაყოფიერებისათვის).

ვერბალური კომუნიკაციის დადებითი, ხელის შემწყობი ფაქტორები ვერბალური კომუნიკაციის იმგვარი პირობებია, რომლებიც რაღაცას მატებენ ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობას (შედეგიანობას), ე.ი. ამაღლებენ მის ეფექტურობას, აუმჯობესებენ მას, ხოლო უარყოფითი, ხელის შემშლელი ფაქტორები კი, საწინააღმდეგოდ ამისა, - იმგვარი პირობები, რომლებიც რაიმეს აკლებენ მის ეფექტურობას (შედეგიანობას), ამცირებენ მის ეფექტურობას, აუარესებენ მას, აფერხებენ მის მსვლელობას.

ვერბალური კომუნიკაციის უარყოფით, ხელის შემშლელ ფაქტორებს სხვანაირად ვერბალური კომუნიკაციის ე.წ. “ბარიერებს” უწოდებენ .საწინააღმდეგოდ ამისა კი, ვერბალური კომუნიკაციის დადებით, ხელის შემწყობ ფაქტორებს, სხვანაირად, ვერბალური კომუნიკაციის “ სტიმულები ” შეიძლება ვუწოდოთ.

“ბარიერი“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად “ზღუდეს”, “დაბრკოლებას” ნიშნავს. იგი “რისამე, რაიმე მოქმედების შემაფერხებელ გარემოებას” გულისხმობს. “სტიმული” კი ლათინური სიტყვაა და ქართულად “ბიძგს” ნიშნავს. იგი “რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელ მიზეზს” გულისხმობს.

ვერბალური კომუნიკაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორები უამრავი სახისაა, იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით (საფუძველზე) დავყოფთ მათ. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს პრინციპი (საფუძველი) ვერბალური კომუნიკაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორებისა, იგი ზოგადად მაინც დაემთხვევა საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურული (აღნაგობრივი, შემადგენლობრივი) ერთეულების ფაქტორს (პირობას).

ასე, მაგალითად, “საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი სფეროების” მიხედვით შესაძლებელია გამოვყოთ ვერბალური კომუნიკაციის იმგვარი ფაქტორები, როგორებიცაა : ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული, მორალური, რელიგიური, ესთეტიკური, საყოფაცხოვრებო და მისთანა ფაქტორები, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით.

ასე რომ, ზოგჯერ ვერბალური კომუნიკაციის ფაქტორი (პირობა) ზუსტად იმდენი იქნება, რამდენიც საზოგადოების სტრუქტურული ერთეულია, ოღონდ ვერბალური კომუნიკაციის შესაბამისი სახისათვის, ვინაიდან ვერბალური კომუნიკაციის სახეც იმდენი იქნება, რამდენიც შესაბამისად საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის მხარეა.

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ შესაძლებელია ვისაუბროთ როგორც ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიაზე საერთოდ, ასევე ვერბალური კომუნიკაციებზეც კერძოდ.

პირველ შემთხვევაში საუბარი იქნებოდა ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიაზე ზოგადად, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში – მასზე მთელი მისი მრავალსახეობით.

ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ კერძო უკვე გულისხმობს ზოგადს, ამიტომ ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე მსჯელობასაც

ლოგიკურად წინ უნდა უძღოდეს ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიაზე ზოგადად მსჯელობა.

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგია საერთოდ გულისხმობს ვერბალური კომუნიკაციის ტექნიკაზე მოძღვრებას, ხოლო ვერბალური კომუნიკაციის ტექნიკა ესაა ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნება.

პირველი ამ შემთხვევაში ვერბალური კომუნიკაციის თეორია გამოდის მაშინ როდესაც მეორე – მისი პრაქტიკა; პირველი ესაა მოძღვრება, სწავლება იმ ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებიც მოიხმარება, გამოიყენება ვერბალური კომუნიკაციის პროცესში, მეორე კი თავად ხერხები თუ საშუალებანი მოქმედებაში.

ასეთია ვერბალური კომუნიკაციის ტექნიკისა და ტექნოლოგიის ცნებათა შორის ურთიერთთანაფარდობა.

და ტერმინოლოგიადაც ეს ასეა. კერძოდ, ტერმინი “ტექნიკა” ბერძნულად “ოსტატობას, ხელოვნებას” ნიშნავს, ხოლო “ტექნოლოგია” - შესაბამისად “ტექნიკაზე მოძღვრებას” (“ლოგია” ბერძნული სიტყვის “ლოგისისაგან” მომდინარეობს და “მოძღვრებს, სწავლებას” ნიშნავს).

მაშასადამე, ტერმინები “ტექნიკა” და “ტექნოლოგია” თავ-თავიანთი ზუსტი მნიშვნელობებით არ ემთხვევა ერთმანეთს და ერთმანეთისაგან განსხვავდება სწორედ აღნიშნული ნიშნებით, კერძოდ, ტექნიკა ერთ შემთხვევაში როგორც გარკვეული ხელოვნება, ოსტატობა ვერბალური კომუნიკაციისა, ხოლო – ტექნოლოგია, მეორე შემთხვევაში, როგორც ცოდნა, მოძღვრება, სწავლება ამ ხელოვნებაზე.

მაგრამ ვერბალური კომუნიკაციის ტექნიკასა და ტექნოლოგიას შორის ზოგჯერ აღნიშნულ სხვაობას არ ატარებენ და ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგია კერძოდ მის ტექნიკაზე დაჰყავთ. ამ შემთხვევაში კი ვერბალური კომუნიკაციის “ტექნოლოგიაც”, ისევე როგორც მისი “ტექნიკა” უბრალოდ ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნებას, ანუ იმ წესების ერთობლიობას ნიშნავს, რაც ვერბალური კომუნიკაციის პროცესში გამოიყენება.

ორივე ზემოაღნიშნული გაგება ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიისა გარკვეული შეთანხმებით მისაღებია. ამჯერად მთავარია შეთანხმება. ჩვენც ამ შემთხვევაში ვერბალური კომუნიკაციის “ტექნოლოგიას” მეორე მნიშვნელობით მოვიხმართ, კერძოდ კი, ტერმინ “ტექნიკის” იდენტური (იგივეობრივი) მნიშვნელობით. მითუმეტეს, რომ ვერბალური კომუნიკაციის სფეროში ამ ტერმინებს უფრო ხშირად სწორედ ეგრე მოიხმარენ ხოლმე.

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგია ვერბალური კომუნიკაციის აუცილებელი მხარეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერბალური კომუნიკაცია არც კი შეიძლება არსებობდეს გარკვეული ტექნოლოგიის გარეშე. და მართლაც, განა ყოველგვარი ვერბალურ-კომუნიკაციური აქტი არ გულისხმობს მის წარმართვას გარკვეული წესების მეშვეობით, რომელთა გარეშეც იგი უბრალოდ ვერც შესდგება, რომ არაფერი არა ვთქვათ დახვეწილ ტექნოლოგიებზე, როგორც ასევე დახვეწილი ვერბალური კომუნიკაციის საშუალებებზე? და რაც უფრო დახვეწილია ეს ტექნოლოგიებიც, მით უფრო დახვეწილი იქნება თავად ვერბალური-კომუნიკაციური აქტებიც (მოქმედებანიც).

ასე რომ, იმაზე, თუ რამდენად გამართული იქნება და ჯეროვანი ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ამაზე დიდადაა დამოკიდებული ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობაც. ყოველ შემთხვევაში მინიმალური, უმცირესი ტექნოლოგიური ღონისძიებანი მაინც აუცილებელია ვერბალური კომუნიკაციის ეფექტური უზრუნველყოფისათვის. მითუმეტეს სასურველია ეს ტექნოლოგიები მაქსიმალურად, ანუ რაც შეიძლება მეტად ავამაღლოთ ამ მხრივ.

მოკლედ, ვერბალური კომუნიკაციების ტექნოლოგიების ამაღლება ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობის ანუ შედეგიანობის ამაღლების, მისი გაზრდის აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია (პირობაა).

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები ანუ ტექნიკანი, ანუ კიდეც მისი ის ტექნიკური ხერხები და საშუალებანი, რაც ვერბალური კომუნიკაციის პროცესში, ანუ მსვლელობაში მოიხმარება, უამრავი სახისა შეიძლება იყოს და ისინი სხვადასხვა პრინციპით თუ საფუძველზე სულ სხვადასხვანაირად შეიძლება დაიყოს. გააჩნია, თუ რა პრინციპით დავყოფთ მათ ამა თუ იმ შემთხვევაში.

თუმცა კი ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნოლოგია იმდენი და იმგვარი შეიძლება იყოს, რამდენიცა და რამდენგვარიც – თავად ვერბალური კომუნიკაცია. მხედველობაში, სახელდობრ, გვაქვს ვერბალური კომუნიკაციის კონკრეტული სახეები. ამ მხრივ კი ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სახე, ასე, მაგალითად, რიტორიკაც, შეიძლება განვიხილოთ ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიის ჭრილში. კერძოდ, რიტორიკა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სფერო თუ სახე ვერბალური კომუნიკაციისა, ამავე დროს მისი ტექნოლოგიური სახეც გამოვა. ოღონდ თუ ვერბალური კომუნიკაციის ამ თუ

სხვა ნებისმიერ მხარეს ჩვენ შევხედავთ როგორც ვერბალური კომუნიკაციის სპეციფიკური (თავისებური) ტექნოლოგიის კუთხით.

და მართლაც, განა ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სახესხვაობა ამავე დროს ვერბალური კომუნიკაციის ასევე გარკვეული ხერხიც და საშუალებაც არ არის? ხომ შეიძლება ვერბალური კომუნიკაციისათვის ხერხად და საშუალებად მის ამა თუ იმ განსხვავებულ სახეს მივმართოთ.

მაგრამ სხვა არის ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები ვერბალური კომუნიკაციის ამა თუ იმ ფართო სფეროს სახითა და მასშტაბით (ფარგლებში) და სხვა არის კიდევ ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები თავად ვერბალური კომუნიკაციის ამ სახეთა შიგნით.

ამასთან ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიებში ჩვენ უფრო ვგულისხმობთ ტექნოლოგიებს ამ მეორე განხრით, კერძოდ კი, როგორც სპეციალურად, საგანგებოდ შემუშავებულ წესებს, ხერხებს, საშუალებებს ვერბალური კომუნიკაციის ამა თუ იმ პროცესისათვის ანუ მსვლელობისათვის.

ამ მომენტს თუ მხარეს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიების არსის გასაგებად, ვინაიდან ვერბალური კომუნიკაციის ესა თუ ის ტექნოლოგია, მართლაც, თავისთავად, ავტომატურად, სხვათა შორის კი არ ყალიბდება, არამედ მასზე გაწეული ხდება საგანგებო, სპეციალური ღონისძიებანი, რათა ამით ამაღლდეს ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობა.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის მაღალეფექტურობისათვის თურმე საჭირო ყოფილა გარკვეული ძალისხმევა ამ მიმართულებით. ვერბალური კომუნიკაცია გარკვეული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გარეშე, მაშასადამე, ნაკლებეფექტური იქნება. ხოლო ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიის მიზანიც ხომ სხვა არაფერია, თუ არა მისი მაღალეფექტურობის, მისი მაღალშედეგიანობის უზრუნველყოფა.

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიურ სახე-საშუალებებს განსაზღვრავს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებიც.

პირველი ამ მხრივ თავად ვერბალური კომუნიკაციის ჩვენთვის საინტერესო სახესხვაობის შესაძლებლობებით განისაზღვრება. მეორე კი უკვე ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტთა დამსახურებაზეა დამოკიდებული.

ვერბალური კომუნიკაციების ტექნოლოგიებზე მსჯელობისას აუცილებელია მათში ერთმანეთისაგან გამოვყოთ და გავარჩიოთ ორი – საკუთრივ ტექნიკური და არასაკუთრივ ტექნიკური მხარეები.

პირველში ჩვენ ვგულისხმობთ იმ მატერიალურ (ნივთიერ) ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ვერბალური კომუნიკაცია (ასე, მაგალითად, რადიო ანდა ტელევიზია). ესაა ვერბალური კომუნიკაციისათვის გამოსაყენებელი მატერიალური სხეულები, ხელოვნურიცა და ბუნებრივიც, განსაკუთრებით კი ხელოვნური, რომლებიც სპეციალურად შექმნილია ადამიანის მიერ აღნიშნული საჭიროებისათვის (ასე, მაგალითად, ავტოკალამი).

მოკლედ, ვერბალური კომუნიკაციის ე.წ. ტექნოლოგიის “საკუთრივ ტექნიკური” მხარე გულისხმობს, სახელდობრ, მის ნივთიერ მხარეს, ზოგჯერ კი, მართლაც, სწორედ ამგვარად ესმით ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიების ცნება. ე.ი. ეს ტექნოლოგიები დაჰყავთ მათ სწორედ მატერიალურ შინაარსზე. და ეს გაგებაც გარკვეულწილად მისაღებია. ის კი არადა, საერთოდაც ტექნიკა, ერთის გაგებით, წარმოდგენილია სწორედ როგორც ადამიანის მიერ რაიმესათვის სპეციალურად, საგანგებოდ დამზადებული ნივთიერი საშუალებების ერთობლიობა.

მაგრამ არსებობს არა მხოლოდ მატერიალურის დონეზე არსებული ტექნიკა თუ ტექნოლოგია, არამედ უფრო მეტიც. არსებობს აგრეთვე ზენივთიერი (ზემატერიალური), არამატერიალურში (არანივთიერში) განხორციელებული, რეალიზებული ტექნიკაც, თუ ტექნოლოგიაც საერთოდ.

ვერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით ეს ტექნიკა თუ ტექნოლოგია გულისხმობს უკვე იმ არამატერიალურ (არანივთიერ) საშუალებებს, რომლებიც საჭიროა ვერბალური კომუნიკაციისათვის (ასე, მაგალითად, ინტონაცია, როგორც ვერბალური კომუნიკაციის საშუალება), რომელსაც ნივთიერი (მატერიალური) სახე არ გააჩნია. მასში მოექცევა ის აურაცხელი ხერხი თუ მიდგომა, რომლითაც ჩვენ ვახორციელებთ ვერბალურ კომუნიკაციას.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები მოიცავენ ვერბალური კომუნიკაციის ურიცხვ, როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ საშუალებებსაც, ამასთან მეორეს არანაკლებს პირველთან შედარებით, რაოდენობრივადაც და რაგვარობრივადაც, თვისობრივადაც.

ვერბალურმა კომუნიკაციამ კაცობრიობის ისტორიაში თავისი ტექნოლოგიებით იმხელა გზა განვლო, რომ მასში შეიძლება გამოვყოთ მთელი რიგი ეტაპებიც (საფეხურებიც) კი იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით, ანუ საფუძველზე გამოვყოფთ მათ, დაწყებული უმარტივესით და დამთავრებული ურთულესით.

ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიამ საერთოდ თავისი თუნდაც საკუთრივ ტექნიკური კუთხით იმხელა მასშტაბებს (ზომებს) მიაღწია, რომ იგი გახადეს “გლობალური” ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვინაიდან ამ ტექნიკური საშუალებებით ადამიანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ დედამიწის ყველა წერტილიდან. სულ მარტო ფიჭური კავშირი და ინტერნეტი ამისი ნათელი მაგალითია. მათი მეშვეობით დედამიწა, მართლაც, ხდება საყოველთაო, ერთიანი.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაცია უახლესი ტექნოლოგიებით ე.წ. გლობალიზაციის მძლავრი ფაქტორია. და ეს იმიტომ, რომ ვერბალური კომუნიკაციის თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი სწორედ შესაძლებელს ხდიან მთელი მსოფლიოს გაერთიანებას (ისინი შესაძლებელს ხდიან ადამიანებმა “ხმა მიაწვდინონ” ერთმანეთს დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერ წერტილში). ხოლო ვერბალური კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთობისა და, მითუმეტეს, აღნიშნული ტექნოლოგიების ეპოქაში კი, ხომ უკვე კაცობრიობის მსოფლშეკავშირების უმთავრესი სფეროა, ვინაიდან ეს ურთიერთობანი ადამიანთა შორის განმსაზღვრელი სფეროა მათი ცხოვრებისა.

როდესაც ჩვენ ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ გარემოება, კერძოდ ის გარემოება, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ამა თუ იმ ხერხისა თუ საშუალების “ტექნოლოგიურობა”. და, მართლაც, საქმე ისაა, რომ ვერბალური კომუნიკაციის ხერხ-საშუალებანი ცოტა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მათი ტექნოლოგიები, ვინაიდან ვერბალური კომუნიკაციის ხერხები და საშუალებები შესაძლოა “ტექნოლოგიურ” დონეს არც კი აღწევდეს. განა ვერბალური კომუნიკაციის ხერხ-საშუალებანი, თუ ისინი გარკვეულ “დახვეწილობას” ანუ სპეციალურ (საგანგებო) დამუშავებას ვერ აღწევენ ამ მიმართულებით, შეიძლება ჩაითვალოს “ტექნოლოგიებად” ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით?

ასე რომ, როცა საუბარია ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე, საუბარი უნდა იყოს არა უბრალოდ მის ხერხებსა და საშუალებებზე, არამედ სწორედ იმ ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებზეც გაწეულია საგანგებო (სპეციალური) სამუშაო, რომლებზედაც გაწეულია საგანგებო ძალისხმევა ამ მიმართულებით. კერძოდ, ეს ძალისხმევა ამ მხრივ მიმართული უნდა იყოს ვერბალური კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მოკლედ, ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები ამ მხრივ გულისხმობს სწორედ იმგვარი ხერხებისა და საშუალებების შერჩევასა და შემუშავებას, რომელთა

მიზანიც უშუალოდ იქნებოდა ვერბალური კომუნიკაციის, სახელდობრ, მაღალი დონის მიღწევა, რაოდენობრივადაც და რაგვარობრივადაც, თვისობრივადაც. ამიტომაცაა, რომ “ტექნოლოგია” საერთოდ უკვე “ოსტატობას”, “ხელოვნებას” გულისხმობს.

ამრიგად, ვერბალური კომუნიკაციის “ტექნოლოგია” თავისი საკუთარი მნიშვნელობით გულისხმობს სწორედ “დახვეწილ” უზრუნველყოფას, განხორციელებას, რეალიზაციას. როგორც ვხედავთ, ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიის შემთხვევაში წინ იწევს ვერბალური კომუნიკაციის სწორედ სუბიექტური მხარე, ანუ ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტთა შეგნებული, გეგმაზომიერი ძალისხმევანი ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობის ამაღლების მიმართულებით.

ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობა (შედეგიანობა)

კომუნიკაციების სოციოლოგიაში, როგორც სოციოლოგიის ერთ-ერთ კერძო დარგში, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ლაპარაკია საერთოდ კომუნიკაციისა და, კერძოდ კი, სოციალური კომუნიკაციის ეფექტიანობაზე. და, მართლაც, იმას, თუ რამდენად ეფექტურია კომუნიკაცია საერთოდ, და სოციალური კომუნიკაცია განსაკუთრებით, ამაზე დიდადაა დამოკიდებული მათი “ზედ-ილბალიც”. ის კი არაა, საერთოდ კომუნიკაციისა და კერძოდ სოციალური კომუნიკაციის ეფექტურობის საკითხს განმსაზღვრელი და ამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ენიჭება მათი ხარისხიანობის ანუ დანიშნულების აღსრულების საქმეში. და თუ კომუნიკაცია, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ჯეროვნად ეფექტური ვერ იქნება ამა თუ იმ სიტუაციაში, მაშინ იგი თავის დანიშნულებას ვერც კი შეასრულებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველივე, რაც ითქვა კომუნიკაციაზე საერთოდ და სოციალურ კომუნიკაციაზე განსაკუთრებით, იგივე ითქმის ვერბალურ კომუნიკაციაზეც, როგორც სოციალური კომუნიკაციის ერთ-ერთ სახეზე. მითუმეტეს, რომ ვერბალური კომუნიკაცია საერთოდ სოციალური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი თუ არა, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე მაინცაა. ადამიანი ხომ “ჰომო ლოგუენსია”, “მეტყველი კაცია”.

ვერბალური კომუნიკაციის თეორიისა (ხედვისა) და პრაქტიკის (საქმის) ყველა საკითხს შორის უმთავრესი საკითხი ვერბალური კომუნიკაციის სწორედ ეფექტიანობისა ანუ შედეგიანობის საკითხია.

ასეთია ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობის საკითხის ადგილი და, აქედან გამომდინარე კი, მისი მნიშვნელობა ვერბალური კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების მთელს წრეში, სისტემაში.

და, მართლაც, ლოგიკურად ანუ თანმიმდევრულობის კუთხით, აბა, სხვა კიდევ რაღა უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ვერბალური კომუნიკაციის თეორიასა და პრაქტიკაში, თუ არა სწორედ ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობის საკითხი, ვინაიდან სახელდობრ იმით, თუ რა სარგებლობა მოაქვს ვერბალურ კომუნიკაციას საზოგადოებისათვის, უნდა გაიზომოს სწორედ მისი ეფექტიანობაც. შედეგი ხომ სარგებლიანობით უნდა გაიზომოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერბალური კომუნიკაციის თეორიისა თუ პრაქტიკის ნებისმიერი სხვა საკითხი ემსახურება სწორედ ამ საბოლოო საკითხს - საკითხს ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობისას. ყველა სხვა მხარე თუ ელემენტი ვერბალური კომუნიკაციის მთელი სისტემისა ექვემდებარება და ემსახურება ვერბალური კომუნიკაციის საბოლოო მიზანს, ანუ სწორედ იმას, თუ რამდენად ამართლებს იგი თავის თავს. ხოლო ვერბალური კომუნიკაცია ამართლებს თავის თავს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ასრულებს თავის დანიშნულებას, ახორციელებს იმ მიზანს, იმ აზრს, რაც ჩადებულია მასში. ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უკვე განპირობებულია, განსაზღვრულია თავად ვერბალური კომუნიკაციის შინაგანი ბუნებით.

ტერმინი “ეფექტი” ლათინურია და ქართულად სწორედ “შედეგს” ნიშნავს, აქედან “ეფექტიანობა” - “შედეგიანობას”. ხოლო “ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობა” ტერმინობრივად (სახელწოდების კუთხით) “სიტყვიერი ურთიერთობის შედეგიანობას” ნიშნავს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ვერბალურ კომუნიკაციას უამრავი კონკრეტული სახე გააჩნია, ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობაც, ამის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, კერძო შემთხვევაში კონკრეტულ, კერძო ხასიათს შეიძენს. ეს კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი იქნება ამა თუ იმ ვერბალური კომუნიკაციის კონკრეტული, კერძო მიზანი. ასე, მაგალითად, თუ საუბარია ვერბალური კომუნიკაციის ისეთ კერძო შემთხვევაზე, როგორცაა ლექცია, მაშინ მისი ეფექტიანობაც განსაზღვრული იქნება ლექციის მთელი პედაგოგიური პრინციპებით გამართულობაზე, ე.ი. აქ შედეგიანობა გულისხმობს ლექციისადმი მაქსიმალური, რაც შეიძლება მეტი მოთხოვნებით მიდგომას და ამ მოთხოვნების მაქსიმალურად, რაც შეიძლება მეტად განხორციელებას. და

თუ შედეგი შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რაც მას პედაგოგიური პრინციპებიდან გამომდინარე წაეყენება, მაშინ ლექციის შედეგიც დადებითი იქნება და თუ არადა – არა.

იგივე ითქმის ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერ, თუნდაც სულ მთლად უმნიშვნელო ფორმაზეც კი. მთავარია მხოლოდ, ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერმა ფორმამ (სახემ) აღასრულოს თავისი მიზანი და ეს იქნება მისი სწორედ ეფექტიანობაც. თუ ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სახე, როგორც არ უნდა იყოს იგი, ვერ აღასრულებს თავის საქმეს, ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რაც მას წაეყენება იმ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, რა მიზნებსაც და ამოცანებსაც იგი ისახავს, ყოველი მათგანი უშედეგო ანუ უეფექტო იქნება და იგი “დაკარგავს აზრს”.

და, მართლაც, ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სახის ეფექტიანობა, მისი შედეგიანობა იმდენად მნიშვნელოვანია მათთვის, რომ სწორედ ეფექტიანობით, შედეგიანობით “ენიჭება მას აზრი”, მის გარეშე კი “იგი კარგავს აზრს”.

ასე რომ, ეფექტიანობა ანუ შედეგიანობა ვერბალური კომუნიკაციის, თუ ასე შეიძლება ითქვას, “სული და გულია”. უნაყოფო ხე უსარგებლოა, ნაყოფიერი – სასარგებლო. თუ ვერბალურმა კომუნიკაციამაც ნაყოფი არ გამოიღო, მაშინ იგიც უსარგებლო იქნება.

ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობის, მისი შედეგიანობის კრიტერიუმი ანუ საზომი ამ მხრივ მისი ნაყოფიერებაა ანუ ვერბალური კომუნიკაციის მოთხოვნების შესაბამისად მისი წარმოება. ვერბალური კომუნიკაცია ამ მხრივ გამართლებული იქნება, თუ იგი შეასრულებს მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ასე, მაგალითად, დიპლომატიური მოლაპარაკების როგორც ვერბალური კომუნიკაციის კონკრეტული შემთხვევის ეფექტიანობა განიზომება იმ მოთხოვნების მაქსიმალური შესრულებით, რაც მას დიპლომატიური ხელოვნების კანონებით წაეყენება.

ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობაზე მსჯელობისას უნდა ვიცოდეთ, რომ ეფექტიანობაც არის და ეფექტიანობაც. ეფექტიანობა ამ მხრივ შეიძლება მინიმალურიც იყოს და მაქსიმალურიც, ანდა არც მინიმალური და არც მაქსიმალური. ვერბალური კომუნიკაციის პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ ყოველი, ყველგან და ყოველთვის ამ მხრივ “თავის დონეზე” როდი დგას. ზოგჯერ იგი “პიკს” (უმაღლეს დონეს, ანუ მწვერვალს) აღწევს, მაგრამ ზოგჯერ “კონდიციას”, ე.ი. თავის სისრულეს ვერ აღწევს, რის გამოც ლოგიკურია, თანმიმდევრულია მოთხოვნა ვერბალური კომუნიკაციის

ეფექტიანობის ამაღლებისა თუ გაუმჯობესებისა. სხვაგვარად, ამ მოთხოვნას აზრი დაეკარგებოდა.

ასე რომ, ცხოვრებაში მუდამ იდგა და მუდამ იდგება ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობის ამაღლებისა თუ გაუმჯობესების ამოცანა. ეს კი იმიტომ, რომ ვერბალური კომუნიკაცია ყველგან და ყოველთვის ბოლომდე როდია მოწესრიგებული. ამაში მას უამრავი ფაქტორი უშლის ხელს. ეს ფაქტორები შეიძლება ობიექტურიც იყოს და სუბიექტურიც, მაგრამ ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში მაინც საჭიროა ძალისხმევა იმისათვის, რომ ვერბალური კომუნიკაცია ადამიანთა ცხოვრებაში სრულყოფილი გახდეს.

ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობა უამრავ მხარეს გულისხმობს და მასში, კერძოდ, შეიძლება გამოვყოთ ვერბალური კომუნიკაციის საკუთრივი და არასაკუთრივი მხარეები. საკუთრივში იგულისხმება ვერბალური კომუნიკაციის თავად ვერბალური მხარე, ხოლო არასაკუთრივში – ყოველივე სხვა, ოღონდ ვერბალურის გარდა (ასე, მაგალითად, ეთიკური). ე.ი. ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობა მარტო მისი საკუთრივი (ვერბალური) მხარის სრულყოფილებით როდი განიზომება, არამედ მასში ადამიანური ცხოვრების სხვა მხარეებიც მონაწილეობს. ასე, მაგალითად, ხუმრობა როგორც ვერბალური კომუნიკაციის ფორმა შეიძლება მასხარაობაშიაც კი გადაიზარდოს, მიუხედავად იმისა, რომ ვერბალური კუთხით ეს ხუმრობა ლინგვისტურ კანონებს სრულიად ესადაგებოდეს.

ასე რომ, როცა ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ყველა მისი შესაძლებელი მხარე და ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობაც მისი სისრულის პრინციპით უნდა შეფასდეს. სწორედ ამგვარი, სრული მიდგომა ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობისადმი იქნებოდა მისაღები და გამართლებული, თორემ სხვა შემთხვევაში ვერბალური კომუნიკაცია შესაძლოა ერთის მხრივ კი იყოს “ეფექტური”, მაგრამ მეორეს მხრივ კი არ იყოს ასეთი.

ამასთან ეფექტურობის კრიტერიუმიც არის და კრიტერიუმიც. ეფექტურობა უნდა განიზომებოდეს იმით, საბოლოო ჯამში თუ რამდენად ამყარებს იგი ჰარმონიას ადამიანთა შორის. ყოველგვარი “ეფექტურობა” ვერბალური კომუნიკაციისა სხვა მიდგომის შემთხვევაში ჩვენთვის მიუღებელია და გაუმართლებელი. ასე, მაგალითად, გინებაც ვერბალური კომუნიკაციაა, მაგრამ იგი სრულიადაც როდი უწყობს ხელს საზოგადოებაში ადამიანთა შორის ჰარმონიას.

ვერბალური კომუნიკაციის ე.წ. საკუთრივი და არასაკუთრივი მხარეების თაობაზე ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობასთან დაკავშირებით

საჭიროა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ვერბალური კომუნიკაციის საკუთრივი, სახელდობრ, ვერბალურ-კომუნიკაციური ანუ ამ შემთხვევაში, მოკლედ, ვერბალური მხარე, იმის გამო, რომ, იგი მართლაც, “საკუთრივი” მხარეა მისი, სრულიადაც როდია მთავარი ვერბალური კომუნიკაციის არასაკუთრივ მხარესთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი, მართლაც, მისი “არასაკუთრივი” მხარეა, არამედ სწორედ პირიქით. მართალია, წმინდა ვერბალური კუთხით ვერბალურ კომუნიკაციაში მთავარი ლოგიკურად, მართლაც, ისევ ვერბალური უნდა იყოს, მაგრამ ვერბალური მხოლოდ და მხოლოდ ვერბალური ფენომენი როდია, არამედ იგი, როგორც ნებისმიერი მოვლენა კავშირშია სხვა მოვლენებთან და ამიტომაც “ცარიელი” ვერბალური კომუნიკაცია როდია. და თუ ასე იქნება, მით უარესი მისთვის, იმიტომ, რომ სიტყვა სიტყვისათვის კი არ ითქმის, არამედ რაღაც უფრო მეტისათვის, რაც მას აღემატება თავისი ღირებულებით. და ეს უმაღლესი რამ ადამიანთა შორის ნორმალური “წესიერი”, ჰარმონიული (თანხმიანი) ურთიერთობის ჩამოყალიბებაა.

ასე რომ, ვერბალური კომუნიკაცია თვითღირებულება როდია, არამედ მისი ღირებულება განიზომება უფრო მეტითაც, ვიდრე მასშია თავად ვერბალური. ვერბალური მხარე ხომ ადამიანის მთლიან ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს?

ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვერბალური კომუნიკაციის უმთავრეს მხარედ მისი, სახელდობრ, ეთიკური მომენტი მიგვაჩნია. ამიტომაც ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობის კრიტერიუმიც (საზომიც) უბრალოდ ვერბალური კომუნიკაცია კი არ უნდა იყოს, არამედ ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც ეთიკურ იდეალებს ექვემდებარება. არა ვერბალური კომუნიკაცია ვერბალური კომუნიკაციისათვის, არამედ ვერბალური კომუნიკაცია ადამიანის ბედნიერებისათვის. მხოლოდ ამგვარი ვერბალური კომუნიკაცია იქნებოდა ნამდვილად “ეფექტური”. და, მართლაც, თუ ვერბალურ კომუნიკაციას უბედურება მოჰყვება, რაღა იქნება მისი ეფექტურობის ფასიც?

მაგრამ ეთიკური მომენტის პრიორიტეტი (უპირატესობის აღიარება) ვერბალურ კომუნიკაციაში როდი აკნინებს ან, უფრო მეტიც, როდი გამორიცხავს ვერბალურ კომუნიკაციაში საკუთრივ-ვერბალური მომენტის მნიშვნელობას, არამედ სრულიად პირიქით. ვერბალური მომენტი ვერბალურ კომუნიკაციაში ხომ აუცილებელი და აუცილებელი რამ მომენტია მასში, მაგრამ, თუ ეს მომენტი დამატებით ასევე “აღივსება” სხვა, არასაკუთრივ-ვერბალური მომენტებითაც (ასე, მაგალითად, ეთიკურითა და

ესტეტიკურით) განა ამ შემთხვევაში პირველი მომენტიც უფრო არ “მოიგებს” “ეფექტურობის” მხრივ?

საბოლოო ჯამში კი. ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ის, რომ ვერბალური კომუნიკაცია ადამიანთა შორის ორიენტირებული (მიმართული) უნდა იყოს ღვთისა და კაცის სიყვარულზე. და, მართლაც, თუ ჩვენი სიტყვა “გამსჭვალული” იქნება ამ ორი, უმაღლესი რელიგიური მცნებით, მაშინ ვერბალური კომუნიკაციაც იქნება უმაღლესად სრულყოფილი და, მაშასადამე, მაქსიმალურად “ეფექტურიც”. და ამ შემთხვევაში იგი, მართლაც, შეასრულებს თავის უმაღლეს დანიშნულებას.

ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობასთან დაკავშირებით დიდად მნიშვნელოვანია მეტყველების ღირსება-ნაკლოვანებათა საკითხი. და, მართლაც, მეტყველების ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ეს ხომ ვერბალური კომუნიკაციის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

წმინდა ვერბალური ეფექტიანობის კუთხით ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებობს თვით მეტყველების ნაკლთა შესახებ სპეციალური, საგანგებო მეცნიერებაც კი, რომელსაც “ლოგოპედია” ეწოდება და რომელიც შეისწავლის ამ ნაკლთა გამოსწორების საშვალეებს (ტერმინი “ლოგოპედია” მომდინარეობს ორი ბერძნული სიტყვისაგან - “ლოგოსი” [“სიტყვა”, “მეტყველება”] და “პაიდია” [“აღრზდა”] და ერთიანად გულისხმობს “ მეცნიერებას მეტყველების სხვადასხვა ნაკლისა და მათი მკურნალობის შესახებ”) (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობა ვერბალური კუთხით სწორედ რომ პირდაპირ-პროპორციულ დამოკიდებულებაშია მეტყველების უნაკლობასთან.

მეტყველების უამრავი ნაკლი არსებობს, რომელთა ცამოთვლიც კი შორს წაგვიყვანდა, არა თუ მათი გარჩევა – ანალიზი. სწორმეტყველებისა თუ მართლმეტყველების დაუფლება გარკვეული ხელოვნებაც კია, იმდენად “დახვეწას” მოითხოვს იგი. ამასთან დაკავშირებითაუცილებლად უნდა ვახსენოთ ე.წ. მეტყველების კულტურა. და, მართლაც, მეტყველების კულტურა საერთო – საკაცობრიო კულტურის არანაკლებისფეროა თავისი მნიშვნელობით, ვიდრე ეს მისი სხვა სფეროებია, ვინაიდან ის, თუ როგორ მეტყველების ადამიანი- ჯეროვნად სწორმეტყველების კანონებით (წესებით) თუ უჯეროდ, ამ კანონების (წესების) გარეშე, დიდად მეტყველების თავად მეტყველი ადამიანის კულტურაზე. მეტყველების კულტურა კი ხომ მეტყველების უმაღლესი ნორმების (წესების), მისადმი წაყენებული

უმაღლესი მოთხოვნებისადმი ადამიანია ზიარებას გულისხმობს. ხოლო თუ რაოდენ დიდად “ზრდის” მეტყველების კულტურა ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანობას ანუ შედეგიანობას, ამას მტკიცებაც კი არ სჭირდება, იმდენად ცხადი და ნათელია იგი.

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია

ვერბალური კომუნიკაცია სოციალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეა და მის გარდა იგი შეიცავს კიდევ არავერბალურ კომუნიკაციასაც.

ის, რომ არსებობს ვერბალური კომუნიკაციის ეს ორო სახე, უკვე აყენებს საკითხს მათი ურთიერთდამოკიდებულებისას. ხოლო ეს ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის ჩვენ ამ შემთხვევაში უფრო გვაინტერესებს არავერბალური კომუნიკაციის ვერბალურ კომუნიკაციაზე ზემოქმედების ასპექტით. თუმცა სხვა შემთხვევაში პირუკუ დამოკიდებულებაც შეიძლება უფრო გვაინტერესებდეს.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ვერბალურ კომუნიკაციაზე არავერბალური კომუნიკაციის ზემოქმედების საკითხი, ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, გავარკვიოთ, თუ რა არის თავად არავერბალური კომუნიკაცია, და, მეორეც, - როგორია არავერბალური კომუნიკაციის როლი და ადგილი სოციალურ კომუნიკაციაში ვერბალურ კომუნიკაციასთან მისი დამოკიდებულების კუთხით.

არავერბალური კომუნიკაცია არის არასიტყვიერი კომუნიკაცია ანუ იმგვარი სოციალური კომუნიკაცია, რა დროსაც სიტყვები არ გამოიყენება.

მაგრამ რა გამოიყენება მაინც არავერბალურ კომუნიკაციაში სიტყვების ნაცვლად საკომუნიკაციოდ?

არავერბალური კომუნიკაცია ე.წ. “სხეულის ენაა” და ამიტომ მასში გამოიყენება ყველაფერი, რაც კი რამ დაკავშირებულია მის სხეულთან.

იმის გამო, რომ არავერბალური კომუნიკაცია, ისევე როგორც ვერბალური კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთობის პროცესში მაინც რაღაცას გვატყობინებს, ისიც ამ მხრივ გარკვეული ენობრივი ფენომენია. ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს როგორც “სიტყვის ენა” (ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში), ასევე “სხეულის ენაც” (არავერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში).

თუმცა აქ ერთი რამ გარემოება უნდა აღვნიშნოთ. კერძოდ ის, რომ ამ სიტყვის ზუსტი, თავისთავადი მნიშვნელობით ე.წ. “სხეულის ენა” არცაა ენა,

ვინაიდან ენა ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით სიტყვის გარეშე არც არსებობს. და რომ ენა თავის სტიქიაში სწორედ რომ მხოლოდ სიტყვის ფორმით არსებობს.

მაგრამ როდესაც ჩვენ “სხეულის ენაზე” ვლაპარაკობთ, ენაზე აქ გადატანითი, არაპირდაპირი მნიშვნელობით ვლაპარაკობთ, ხოლო სინამდვილეში ამ “სხეულის ენაშიაც” ჩვენ სიტყვის ნაცვლად აღებული სხეულის მდგომარეობებით მაინც სიტყვებს ვგულისხმობთ, თითქოსდა სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა, მართალია, არაპირდაპირ, არასაკუთრივ, მაგრამ მაინც როგორც სიტყვების შემთხვევაში რაღაცას გვეუბნებოდეს.

ის, რომ არავერბალური კომუნიკაციის შემთხვევაშიას არავერბალური კომუნიკაციის საშუალებანი, ისევე როგორც ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში, მაინც რაღაცას გვეუბნება, რაღაცას გვატყობინებს, იმას მეტყველებს, რომ არავერბალური კომუნიკაციაც არსებითად იმავე ვერბალური კომუნიკაციის როლს ასრულებს, ოღონდ სულ სხვა ფორმებით.

მაშასადამე, არავერბალური კომუნიკაციის “ენაც” ენაა, ოღონდ არა საკუთრივი აზრით, არამედ – არასაკუთრივი აზრით. თუ ვერბალურ კომუნიკაციაში ენა, თუ ასე შეიძლება ითქვას, თავის სტიქიაში იმყოფება, არავერბალური კომუნიკაციაში ენა არ არის თავის სტიქიაში.

აქედან გამომდინარე, იკვეთება არავერბალური კომუნიკაციის როლიცა და ადგილიც საერთოდ სოციალურ კომუნიკაციაში, ამასთან ვერბალურ კომუნიკაციასთან მისი დამოკიდებულების კუთხით.

არავერბალური კომუნიკაცია არის, თუ ასე შეიძლება ითქვას, მეორადი სოციალური კომუნიკაცია, მაშინ როდესაც ვერბალური კომუნიკაცია – პირველადი სოციალური კომუნიკაცია. პირველი დამოკიდებულია მეორეაზე, მეორე განმსაზღვრელია პირველისა.

მაგრამ არავერბალურ კომუნიკაციასაც გარკვეული როლი ეკისრება სოციალურ კომუნიკაციაში, კერძოდ კი, ვერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი დამხმარე როლს თამაშობს მასში. და, მართლაც, არავერბალური კომუნიკაცია ბევრს მატებს ხოლმე ვერბალურ კომუნიკაციას და ამდიდრებს მას შინაარსითაც და ფორმითაც.

მაშასადამე, არავერბალური კომუნიკაცია დამხმარე ფუნქციას ასრულებს ვერბალურ კომუნიკაციასთან მიმართებით სოციალური კომუნიკაციის სისტემაში. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა არავერბალურმა კომუნიკაციამ არანაკლები როლი შეასრულოს მასში. ეს კი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. მაგრამ, ვიმეორებთ, საერთო

ჯამში ვერბალური კომუნიკაცია მაინც განმსაზღვრელია არავერბალურ კომუნიკაციასთან შედარებით.

არავერბალური კომუნიკაციის ანუ არასიტყვიერი ურთიერთობის აღსანიშნავად მოკლედ გამოიყენება სამუშაო ტერმინი - “არავერბალიკა” და “სხეულის ენა”.

არავერბალური კომუნიკაციის სტრუქტურა ძალიან რთულია და ამდენად მდიდარი, ვინაიდან იგი მოიცავს მისი ტიპებისა და ქვეტიპების, გვარებისა და სახეობების უაღრესად ფართო სპექტრს.

გამოყოფენ ისეთ ტიპებს არავერბალური კომუნიკაციისას, როგორებიცაა: 1) ბგერითი, 2) ხედვითი, 3) ნიშნური, 4) შეხებითი, 5) სივრცით-დროითი, რომლებიც ამავე დროს არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი საშუალებანიცაა. და თითოეული მათგანი მოიცავს კონკრეტულად უამრავ სახეს არავერბალური კომუნიკაციის სახეებისას და საშუალებებისას.

არავერბალურ კომუნიკაციას თავისი ტექნოლოგია გააჩნია. საქმე ეხება მისი წარმართვის ხერხების დახვეწილ ცოდნას, რაც აუცილებელია არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობისათვის, მისი შედეგიანობისათვის. ხოლო ეს ტექნოლოგია კი აუცილებელ კავშირში უნდა იყოს შესაბამისად არავერბალური კომუნიკაციის კულტურასთან, ვინაიდან სხვა შემთხვევაში არავერბალური კომუნიკაცია უკუეფექტს მოგვცემდა.

ასე რომ, არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობისათვის საჭიროა მისი სხვადასხვა ხერხის სწორი, კორექტული გამოყენება. სხვა შემთხვევაში იგი თავის მიზანს ვერც მიაღწევს. არავერბალური კომუნიკაციის მიზანი კი ვერბალურ კომუნიკაციასთან ერთად ხომ სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა შორის ურთიერთობის მოგვარება. ამ შემთხვევაში იგი, მართალია, არაგანმსაზღვრელია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ცხოვრების უკეთ წარმართვაში.

საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR)

და

ვერბალური კომუნიკაციები (VC)

პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი, მართლაც, აქტუალური

(სადღეისო) საკითხია. და იგი ჩვენგან ნამდვილად მოითხოვს შესაბამის ყურადღებას.

პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის აქტუალურობა ანუ მისი სადღეისო მნიშვნელობა გამოწვეულია თავად ამ ორი სფეროსა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების აქტუალურობით.

და, მართლაც, როგორც პიარი, ისე ვერბალური კომუნიკაციაც დღევანდელი ჩვენი სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროებია.

საქმე ისაა, რომ პიარი დღეს სოციალური ცხოვრების მოწესრიგების, მისი რეგულირების ლამის უმთავრესი ხელოვნება გახდა. ხოლო იმის გამო, რომ ვერბალური კომუნიკაცია ამ მიმართებით ადამიანთა შორის ურთიერთობის უპირველესი საშუალებაა, ამიტომაც პიარის ხელოვნებასთან ერთად იგიც დღევანდელი ფრიად აქტუალური სფერო ხდება.

როცა პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, ეს ურთიერთდამოკიდებულება ორი ასპექტით შეიძლება წარმოვადგინოთ. ერთია პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულება მეცნიერებათა თუ ხელოვნებათა დონეზე და მეორე - თავად პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის სფეროთა დონეზე. და როცა ვიხილავთ პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, ამ შემთხვევაში ჩვენ ორივეს ვგულისხმობთ. თუმცა ამჯერად მაინც უფრო პირველი ანუ მეცნიერული ასპექტი გვაქვს მხედველობაში. ე.ი. საუბარი გვაქვს პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის როგორც მეცნიერებათა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ხოლო იმასთან დაკავშირებით, რომ ნათელი იყოს პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულებაში ორი – მეცნიერული თუ ხელოვნებითი და საგნობრივი ასპექტები, ამისათვის უმჯობესი იქნებოდა მოგვეხდინა გარკვეული ტერმინოლოგიური განსაზღვრებანი თუ გამიჯვნანი. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმგვარი ტერმინები ანუ სახელწოდებანი, რომელნიც შეგვაძლებინებენ ჩვენ მკაფიოდ განვასხვაოთ ერთმანეთისაგან პიარი როგორც რეალური სფერო და პიარი როგორც მეცნიერება ამ სფეროს შესახებ, ერთის მხრივ, და ვერბალური კომუნიკაციაც როგორც რეალური სფერო და ვერბალური კომუნიკაციაც როგორც მეცნიერება ამ სფეროს შესახებ, მეორეს მხრივ.

ამ მიმართებით კი კარგი იქნებოდა, რომ პიარის მეცნიერება, განსხვავებით თავად პიარის სფეროსაგან, “პიარისტიკად” გვეწოდებინა, ხოლო ვერბალური კომუნიკაციის მეცნიერება კი, თავად ვერბალური კომუნიკაციის სფეროსაგან განსხვავებით, - “ვერბალოკომუნიკატივისტიკად”, მითუმეტეს, რომ ეს ტერმინები ზედმიწევნით სწორად აღნიშნავენ შესაბამის სფეროებს. და თუ ეს ტერმინები დღეს-დღეობით ჩვენს ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში ფართოდ მაინც, არ მოიხმარება, ეს საფუძველს როდი ქმნის იმისათვის, რომ ჩვენც უარი ვთქვათ მათზე, მითუმეტეს, თუ ეს ტერმინები სწორად აღნიშნავენ შესაბამის საგნებს.

“პიარისტიკად” პიარის, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების, ხოლო “ვერბალოკომუნიკატივისტიკად” - ვერბალური კომუნიკაციის შესახებ მეცნიერებათა სახელდების შედეგად ის, მართლაცდა, ორი მეცნიერული უზუსტობა გასწორდებოდა, რასაც ადგილი აქვს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში. ამით ყოველივე თავის ადგილზე დადგებოდა. თორემ საწინააღმდეგო შემთხვევაში, ლოგიკურად ადგილი ექნება “ცნებათა აღრევას”. და, მართლაც, როგორ შეიძლება ერთი და იგივე სახელი ეწოდებოდეს ორ სხვადასხვა მოვლენას, საგანსაც ამა თუ იმ მეცნიერებისას და ამ საგნის შესახებ მეცნიერებასაც.

პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულება, სხვა მხრივ, ორი რაკურსით შეიძლება წარმოვადგინოთ. კერძოდ, პიარის კუთხით ვერბალურ კომუნიკაციაში, ერთის მხრივ, და ვერბალური კომუნიკაციის კუთხით პიარში, მეორეს მხრივ. ამ თვალსაზრისით ორივე აუცილებელია და სასარგებლო.

და, მართლაც, პიარს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვერბალურ კომუნიკაციაში, ისევე როგორც ვერბალურ კომუნიკაციასაც – პიარში. ეს ორი რამ ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რა თქმა უნდა, მათი განსაზღვრებანი, რაც, თავის მხრივ, უფრო ნათელს გახდის მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების სარგებლიანობის საკითხსაც.

პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ვერბალური კომუნიკაციის თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, მითუმეტეს, საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ძალუმაღ გაიზარდა პიარის როლი საზოგადოებაში.

პიარსა და ვერბალურ კომუნიკაციას შორის ურთიერთობის საკითხი გულისხმობს ორმხრივ კავშირს მათ შორის, ე.ი. საკითხს, ჯერ ერთი, პიარის როლისას ვერბალურ კომუნიკაციაში და, მეორეც, ვერბალური კომუნიკაციის როლისას საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

მაგრამ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ჩვენ ამ შემთხვევაში უფრო გვინტერესებს სწორედ ის მხარე პიარისა და ვერბალური კომუნიკაციის ურთიერთობაში, როგორცაა პიარის როლი ვერბალურ კომუნიკაციაში, ვინაიდან ჩვენი შემეცნების საგანიც ამჯერად არის სწორედ ვერბალური კომუნიკაცია.

პიარის როლი ვერბალურ კომუნიკაციაში ზოგადად გულისხმობს მის შესაძლებლობებს ვერბალური კომუნიკაციის, რა თქმა უნდა, ეფექტურობის (ნაყოფიერების, შედეგიანობის) მაქსიმალურად (რაც შეიძლება მეტად) ამაღლების საქმეში.

და, მართლაც, პიარს მთელი თავისი “რესურსებით” შეუძლია უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანოს ვერბალური კომუნიკაციის საქმეში. ეს გამომდინარეობს თავად პიარის შინაგანი არსიდან, ვინაიდან პიარის მიზანიც სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადამიანთა შორის ურთიერთობების მოგვარებაა, ხოლო ვერბალური კომუნიკაციის ასპექტით ადამიანთა შორის ურთიერთობის “დალაგებას” მასში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ასე რომ, პიარის როლი ადამიანთა ურთიერთობის მოგვარებაში მნიშვნელოვანწილად გადის ამ ურთიერთობათა (კომუნიკაციათა) სწორედ ვერბალურ ნაწილზე. ვერბალური კომუნიკაცია ხომ საერთოდ სოციალური კომუნიკაციის უპირატესი ნაწილია მის არავერბალურ ნაწილთან შედარებით, რაგვარობრივადაც და რაოდენობრივადაც.

პიარის როლი ვერბალურ კომუნიკაციაში, მაშასადამე, გულისხმობს მის როლს საზოგადოებასთან ურთიერთობის ვერბალურ ნაწილში.

“PR” ლათინური აბრევიატურაა (შემოკლებული აღნიშვნაა) იმ მეცნიერებისა, რომელსაც ინგლისურად “ფაბლიკ რილეიშენზი” ჰქვია და ქართულად სიტყვასიტყვით “საჯარო ურთიერთობებს” ნიშნავს. თუმცა მას “საზოგადოებრივ ურთიერთობებად” ანდა “საზოგადოებასთან ურთიერთობებადაც” თარგმნიან. “PR”-აბრევიატურას ქართულად “პიარად” გადმოსცემენ ხოლმე.

PR-ი (ანუ პიარი) ეს მეცნიერების ახალი დარგია. მართალია, ეს მეცნიერება ახალია, მაგრამ პიარის ხელოვნება კი ძველთაგან ცნობილია.

იმისათვის, რომ ჯეროვნად გაირკვეს პიარის როლი ვერბალურ კომუნიკაციაში, აუცილებლად საჭიროა ჯერ სწორად გაირკვეს პიარის არსი საერთოდ.

PR-ი ანუ პიარი ეს არის კომუნიკაციის (ურთიერთობის) მართვის ხელოვნება, იგულისხმება ადამიანებთან კომუნიკაციის (ურთიერთობის) მართვა. ეს არის ამ კომუნიკაციის მოწესრიგების საგანგებო ხელოვნება.

პიარის მიზანი, ამ განმარტებიდან გამომდინარე, სწორედ ადამიანია, ვინაიდან იგი სახელდობრ ადამიანურ ურთიერთობათა მოწესრიგებას ემსახურება.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს მეცნიერება იმაზე უფრო ჰუმანური (კაცთმოყვარეობრივი), ვიდრე ეს სწორედ პიარია, ვინაიდან მისი საგანგებო მიზანიც სწორედ ადამიანურ ურთიერთობათა ნორმალიზაციაა, მისი ჰარმონიზაციაა. ამიტომ ვერბალური კომუნიკაციის დროს პიარის როლი სწორედ ამ ჰუმანური ინტერესებიდან გამომდინარე იკვეთება. და თუ ვერბალური კომუნიკაციაც პიარის მთელი “ტექნოლოგიით” იქნება აღჭურვილი და უზრუნველყოფილი, მისით იქნება იგი “გამსჭვალული”, მაშინ, ბუნებრივია, რომ ვერბალური კომუნიკაციაც თავის უმაღლეს დანიშნულებასა და ამდენად ეფექტურობას მიაღწევს.

ასე რომ, პიარით ვერბალური კომუნიკაციის “გამსჭვალვა” თუ “გაჯერება” ვერბალური კომუნიკაციის აუცილებელი, ნორმალური მოთხოვნაც კია, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოიღებს იგი მაქსიმალურ, რაც კი შეიძლება მეტ შედეგს, ანუ ნაყოფს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიარი და მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი პიარი ვერბალური კომუნიკაციის უმაღლესი ეფექტურობის, მისი უმაღლესი “ნაყოფიერების” მთავარი ფაქტორი (პირობა) და საწინდარი (გარანტი) რამ არის.

ბოლოსიტყვაობა

ჩვენ განვიხილეთ ვერბალური კომუნიკაციის მთელი რიგი საკითხები. ამასთან ეს საკითხები ჩვენ უფრო ზოგადი კუთხით გვინტერესებდა.

ვერბალურ კომუნიკაციას ზოგადი განასერით ფილოსოფია შეისწავლის, კერძოდ კი მისი ის ნაწილი, რომელსაც სოციოლოგია ეწოდება.

სოციოლოგიაც უკვე, თავის მხრივ, ვერბალურ კომუნიკაციას ზოგადი ჭრილითაც შეისწავლის და კერძო ჭრილითაც. მაგრამ ორივე ამ შემთხვევაში ეს მაინც კერძო, არაფილოსოფიურ მეცნიერებათაგან განსხვავებით, ვერბალური კომუნიკაციის ზოგადი შესწავლა იქნება, ვინაიდან ვერბალურ კომუნიკაციას, ისევე როგორც ნებისმიერ მოვლენას, ფილოსოფიური მეცნიერებანი სწორედ რომ ზოგადად შეისწავლიან, მაშინ როდესაც მას არაფილოსოფიური მეცნიერებანი კერძო ასპექტით შეისწავლიან.

ვერბალური კომუნიკაცია კერძომეცნიერული კუთხით საკმაოდ დამუშავებულია, მაშინ როდესაც ზოგადმეცნიერული კუთხით საკმაოდ როდია დამუშავებული.

ჩვენც ამიტომ შევეცადეთ მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში და მკითხველსაც შევბედეთ წიგნი ვერბალურ კომუნიკაციაზე სოციოლოგიის კუთხით.

ვფიქრობთ, რომ ყოველივე კარგი კეთილშობილი მიზნით გამართლებულია. ხოლო ის, რომ “ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიაც” ამ წიგნის სახით მიზანს მოკლებული არ არის, ცხადია და იგიც, ალბათ, თავის წვლილს შეიტანს ვერბალური კომუნიკაციის შესწავლაში. მითუმეტეს, რომ ეს წიგნი პირველი ცდაა ვერბალური კომუნიკაციის სოციოლოგიის როგორც სოციოლოგიის კერძო დარგის გადმოცემისა, ყოველ შემთხვევაში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ავტორი

2013

ლიტერატურა

1. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია. თბ., 1970.
2. Аберкромби Н., Хилл С., Тернер Б.С. Социологический словарь. М., 2007.
3. Конечкая В. Социология коммуникации (WWW.gumer.inpro)
4. Маркс К.Тезисы о Фейербахе. – В кн.: К. Маркс, Ф. Энгельс. соч.Т.3.
5. Науменко В.С. Социология массовой коммуниуации. Тб., 2005.
6. Непряхин Н. Основы еффективной коммуникации (www.yan.ru)
7. Общая социология. М., 2002.
8. Список альтернативных названий видов человека разумного (www.ru.wikipedia.org)
9. Хайдеггер М. Язык. СПб.,1991.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი / ა.ჩიქობავას საერთო რედ.: 8 ტომად. ტ. IV. თბ., 1955.
11. Латинско-русский словарь / Сост. А.М. Малинин; Отв. ред. А.Н. Попов. М.,1952.
12. Родионов Б. А. Коммуникация как социальное явление / Отв. ред. В. Е. Давидович. Ростов н/Д,1984.
13. Шибутани Т. Социальная психология / Общ. ред. Г.В. Осипова. М., 1969.
14. Маркс К. Тезисы о Фейербахе. – Маркс К. и Энгельс Ф. Соч-ия. Изд. 2-ое. Т.3, М., 1955.
15. Фейербах Л.Основные положения философии будущего. Избр. филос. произв.: В 2-х т. Т.1. М.,1955.
16. ს.-ს. ორბელიანი. სიბრძნე-სიცრუისა. თბ., 1990.
17. Общая психология / Под ред. В.В.Богославского, А.Г. Ковалёва, А.А. Степанова. М., 1981.
18. Булацкий Г.В., Прилюк Ю.Д. Социология общения / Науч. ред. Л.П. Буевой. Минск, 1987.
19. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (www.preg.gov.ge)
20. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი (www.preg.gov.ge)
21. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი (www.preg.gov.ge)
22. Попова Л.Л. Современные технологии общения: Уч. пос. Томск, 2009 (window.edu.ru).